

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ზაზა გოიშვილი

აღწარმოების პრობლემა საქართველოს სოფლის  
მეურნეობაში და აგროდაკრედიტების სისტემის როლი  
მის გადაწყვეტაში

წარდგენილია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - აგრარული ეკონომიკა,  
შიფრი 0701

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
თბილისი, 0175, საქართველო  
ივლისი, 2018 წელი

საავტორო უფლება © 2018 წელი „ზაზა გოიშვილი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის  
ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავცანით ზაზა გოიშვილის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „აღწარმოების პრობლემა საქართველოს სოფლის მეურნეობაში და აგროდაკრედიტების სისტემის როლი მის გადაწყვეტაში“ და ვამღებთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

რეცენზენტი:

---

რეცენზენტი:

---

რეცენზენტი:

---

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2018 წელი

ავტორი: ზაზა გოიშვილი

დასახელება: „აღწარმოების პრობლემა საქართველოს სოფლის მეურნეობაში და აგროდაკრედიტების სისტემის როლი მის გადაწყვეტაში“

ფაკულტეტი: აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგი

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პროვინების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის რომელიც საქართველოს აქვს გადასაჭრელი წარმოადგენს აგრარული სექტორის დაჩქარებული განვითარება, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. ამ კუთხით მეტად აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კვლავწარმოების ზრდა და აგრარული სექტორის დაფინანსების ახალი სისტემის დანერგვა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სამომავლო წარმატებებზე საუბარი.

აგრარული სექტორისათვის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებანი რომელთა გათვალისწინება და დროული გადაჭრა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ამ სექტორის შემდგომ განვითარებას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის კვლავწარმოების გაფართოვების და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, რომელიც მყარი გარანტიაა სოფლად გაფართოვებული აღწარმოების მიღწევისათვის.

**სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში - „სოფლის მეურნეობის მდგრადი აღწარმოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები“** - განხილულია სოფლის მეურნეობის აღწარმოების არსი და თავისებურებანი. განსაზღვრულია აღწარმოების რეგულირების ოთხი ძირითადი პრინციპი, რომელიც გულისხმობს სოფლად მდგრად განვითარებაზე გადასასვლელად მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას, რათა მიღწეული იქნეს ეკონომიკის ამ სექტორის დაბალანსებული განვითარება. ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აღწარმოების სამ სახეს: მარტივს, კლებად და გაფართოვებულ აღწარმოებას. თეორიული თვალსაზრისით სოფლის მეურნეობაში აღწარმოების ქვეშ გაგებულია წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ეკონომიკური პროცესების განახლება. სწორედ აღწარმოებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

სასოფლო-სამეურნეო აღწარმოების სისტემაში სახელმწიფო რეგულირება განხილულია, როგორც ურთიერთობა მართვის პროცესში ხელისუფლების ორგანოების, ფერმერული (გლეხური) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და კორპორაციულ ბიზნეს-სტრუქტურებთან, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, პირველ რიგში საწარმოო და სავაჭრო პროტექციონიზმის ინსტრუმენტების ადექვატურ შერჩევაზე. მისი განხორციელების დროს სახელმწიფო ზრდის ეფექტიან ურთიერთზემოქმედებას სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო საწარმოებზე პარტნიორული მხარდამჭერი და ორგანიზაციულ-გამკარგულებელი მეთოდების გამოყენების ხარჯზე.

აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ უწინარეს ყოვლისა განიხილება ფასწარმოქმნის რეგულირება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესატყვისად ფასების ჩამოყალიბება, პროტექციონისტული პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, საგადასახადო რეგულირება, დარგისა და აგრარული ბაზრების სახელმწიფო მართვა.

**ნაშრომის მეორე თავში- „ სოფლის მეურნეობის აღწარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“-** განხილულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე და გაანალიზებული ის ძირითადი ძვრები რომელის მოხდა ქვეყნის აგრარულ სექტორში დღემდე. ახსნილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტში არსებული სისუსტეები და მათი გამომწვევი პრობლემები. წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო საქონლის ექსპორტის ზრდის მიმართულებები. გამოვლენილია საბანკო სექტორის სისუსტეები აგრარული სექტორის დაფინანსების მიმართულებით. წარმოდგენილია DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში შესაბამისი დირექტივის დანერგვის და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სისტემის რეფორმირების

მიმართულებები. იმისათვის რომ საქართველოში წარმოებული საქონელი საბაჟო ტარიფების გარეშე შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული პირობები. ამიტომ საჭიროა საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის - EVR-ის აღება, რომელიც გაცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან 4 თვის განმავლობაში. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროდირექტივებთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და დასრულდეს 2030 წელს.

ნაშრომში გაანალიზებულია შეღავათიანი აგროკრედიტის, შეღავათიანი აგრო ლიზინგის, „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსური ინსტრუმენტები და შედეგები, რომელთა დანერგვითაც მიღწეული იქნა აგრარულ სექტორში ხელშესახები შედეგები. ავტორის მიერ ამავე თავში განხილულია ის არსებული ნაკლოვანებები, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ამ პროექტების განხორციელების პროცესში.

კვლევის შედეგად საინტერესო აღმოჩნდა მცირე ფერმერებზე პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობის დაჯგუფება მიზნობრიობის მიხედვით, ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე ფერმერებზე საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობამ შეადგენა 49%, ხოლო ძირითადი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობამ შეადგენა 51%.

ამავე თავში დისერტანტის მიერ გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის გაფართოვებული აღწარმოების რეგულირების განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს აშშ-ის და ევროკავშირის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაზე, რომლის თანმიმდევრულმა გატარებამ წლების განმავლობაში ეს ქვეყნები გახადა განვითარებული აგრარული სექტორის მქონე ქვეყნებად. საქართველომ ამ კუთხით უდაოდ უნდა გაითვალისწინოს საკუთარი აგრარული პოლიტიკის ფორმირების პროცესში ამ ქვეყნების გამოცდილება.

ნაშრომის მესამე თავში- „გაფართოვებული აღწარმოების ხელშეწყობის მიმართულებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“- განხილულია სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში, რომლის თანახმადაც თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს აგრარული სექტორის გრძელვადიანი (5-7 წლიანი) განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კვლავწარმოების გაფართოების საქმეში მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავება, აღნიშნული კანონის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ფერმერული მეურნეობებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და ფუნქციონირების სპეციფიკის განსაზღვრა. აგრარულ სექტორში მოღვაწე ფიზიკურ პირებს არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნით მათ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, შეღავათიანი აგროკრედიტების მიღებისას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და ა.შ.

თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება. ამ საქმეში სხვა ქვეყნებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ.

აუცილებელია სოფლად კოოპერატივების მატერიალურ ტექნიკური ბაზის მცირე ფინანსური რესურსების ფორმირება, ამავდროულად არ უნდა გამოირიცხოს იმ პროექტების სრული დაფინანსება გრძელვადიანი დაფარვის პირობებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მრავალწევრიანი,

მაგრამ შედარებით დაბალი საბაზისო სასტარტო ქონების მქონე კოოპერატივებით.

ჩვენი გათვლებით სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემას პერსპექტივაში შემდეგი სახე ექნება. სისტემის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ქვეყნის „აგრობანკი.“ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერიტორიული მოწყობის პრინციპის გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე შეიქმნება ქ. თბილისში ცენტრალური (საქართველოს) აგრობანკი და შესაბამისად ქ. ქუთაისში ფილიალი. შესაბამისად ქ. თბილისის ცენტრალური ფილიალი მოემსახურება ადმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქ. ქუთაისის ფილიალი დასავლეთ საქართველოს.

ავტორის მიერ შემოთავაზებულია წინადადება, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი გარდაქმნას სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, რომლის კრედიტი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმერისათვის და სას.სამ. კოოპერატივისათვის. მაგალითად, ფრანგული ფინანსური ორგანიზაცია Frances Credit Agricole-ს და ნიდერლანდების Rabobank-ს მრავალი წლის წარმატებული გამოცდილება აქვს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორმხრივი მფლობელობის პირობებში. საჭიროა, რომ საქართველოშიც შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე მეწარმეებს ისარგებლონ კრედიტით.

აუცილებელია გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებული ეროვნული სააგენტოდ, უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს მხრიდან სესხებს თანაბარი ხელმისაწვდომობა ფერმერებისათვის და დამწყები მეწარმეებისათვის.

ეროვნული ბანკის მიერ უნდა დამუშავდეს სოფლის მეურნეობისათვის ფინანსური რისკების გათვლის შეღავათიანი მექანიზმი, რომელიც მიეხმება ფინანსურ დაზღვევას და სახელმწიფო სოფლის



მეურნეობასთან ფინანსური ურთიერთობის დროს გაითვალისწინებს საკუთარი მხრიდან სოფლის მეურნეობის ამ სადაზღვევო მექანიზმის ამოქმედების ხელშემწყობ პირობებს.

აგრარული სექტორის დაკრედიტების შემოთავაზებული მექანიზმის ამოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდება ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოებული აღწარმოების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას და სტიმულს მისცემს სასურსათო პროდუქციის საექსპორტო რეალიზაციას.

## **Abstract**

Among the most important problems that Georgia has to solve is the accelerated development of the agrarian sector, which will ensure the economic growth of the country in the future. In this regard, more relevant is to increase reproduction of agricultural products and implement new system of financing agricultural sector, without which it is inconceivable to speak about future success.

Unlike other sectors of the economy, the agrarian sector is characterized by a number of peculiarities, taking into account and timely solution of what ensures the further development of this sector of the country's economy. In order to expand reproduction and increase efficiency of agricultural production, it is important to enact economic leverage of state support, which is a firm guarantee of achieve agricultural expanded procreation.

**In the first chapter of the thesis - "Theoretical and methodological basics of sustainable procreation of agriculture"** - the essence and peculiarities of agricultural procreation are reviewed. There are defined four main principles of regulating procreation that imply carrying out a number of measures to switch to sustainable development in agriculture order to achieve a balanced development of this sector of the economy. The ecumenical literature highlights three types of procreation: simple, descending and the extended procreation. According to the theoretical view, within the procreation in agriculture, renewal of economic processes of production, distribution, exchange and consumption is comprehended. The establishment of favorable economic conditions for procreation is one of the main tasks of the state.

State regulation in the system of agricultural procreation is considered as the relationship between government bodies, farms, agricultural cooperatives and corporate business structures in the management process, which mainly are focused on adequate selection of production and trade protection tools. During its implementation the state increases the efficiency of interaction through the use of methods of agriculture, refinery, partnership support and organizational-management methods for transportation and trade enterprises.

Within the economic leverage of state support for agriculture field, first of

all is considered pricing regulation and establishment of prices for agricultural products, protectionist policies, financing of credit support, tax regulation, state management of the sector and agricultural markets according to market demand and supply.

**In the second chapter of the thesis "The modern state of agricultural procreation and the main directions of its improvement"**-the index of agricultural products in Georgia is reviewed from the 90s of the last century and analyzed the main changes in agrarian sector of the country. There are explained the weaknesses in the export of agricultural products and its problems. The directions for increment of export of agricultural products are presented. There are also identified the weakness of the banking sector in terms of financing the agricultural sector. There are presented the directions for implementing the relevant directive in Georgia and reformation of food safety, veterinary and plant protection systems, according to requirements by DCFTA. In order, goods produced in Georgia to enter the EU market without customs tariffs, they must satisfy the conditions relating to the origin of the goods. Therefore, it is necessary to obtain a certificate of preferential origin - EVR, which is issued by the revenue service. The certificate of origin will be valid through 4 months from the date of its issuance in exporting country. Convergence of Georgian legislation to European directives should be gradual and end in 2030.

The work analyzes the preferential agro-credit, preferential agroleasing, financial instruments and the results of the program "Enterprise Georgia", implementing by which were achieved tangible results in the agrarian sector. In the same chapter, the author also discusses the disadvantages that still exist in the process of implementing these projects.

As a result to the survey, it was interesting to group the amount of loans granted to small farmers under the project by the purposes, the analysis has shown us that the amount of loans granted to small farmers for working capital was 49% and the volume of loans granted for fixed assets was 51%.

In the same chapter the author analyses the experience of developed countries in regulating the extended procreation. The author focuses on the agrarian policy of the countries USA and the EU countries, whose consistent implementations for many years have turned these countries to in the countries with the developed agrarian sector. In this regard, Georgia should take into account the experience of these countries in shaping its agrarian policy.

**In the third chapter of thesis - "Promoting directions of expanded procreation in the agriculture of Georgia"**- there are reviewed the main directions of state regulation for development of procreation of agricultural products, according to which on the modern stage, the new long term (5-7 years) development strategy for agrarian sector must become effective tool of state regulation of procreating agricultural goods, that will become relevant to the agreement about free trade zone with EU countries (DCFTA).

In the terms of market economy, in the process of expanding reproduction of agricultural products, it is important to develop the law of Georgia about farming, based on the mentioned law it will be possible to grant legal status to farmers in the country and determine the specifics of their functionality. Individuals working in the agrarian sector have no legal status, which creates some problems for them in relation to public and private legal entities, receiving preferential agro-credits, settlement with the budget, etc.

In modern conditions, it is crucial for the state to create legislative warranties for agriculture development and food safety. Considering this, we think it is appropriate to develop and enact the law of Georgia "about food safety". Other countries have good experience in this case.

It is necessary to form small financial resources of the material technical base of the cooperatives in villages, at the same time we shouldn't exclude full funding with long-term repayment terms of the projects, which will be represented by multi-member cooperatives but with relatively low base startup assets.

According to our calculations, the special farming credit system will have the following look. The main structural unit of the system is the "agrobank" of the country, taking into consideration the geographical location of the country and the principle of territorial arrangement. At the first stage will be created Central (Georgia) Agrobank in Tbilisi and accordingly the Kutaisi Branch. Accordingly, Tbilisi Central Branch will serve East Georgia, Kutaisi branch of western Georgia.

The author offers a proposal that a preferential agro-credit project should be funded by the government for agriculture development in Georgia should be converted into a state-owned or bilateral ownership agricultural bank whose credit will be available to any size of farmer and cooperative. For example, the French financial organization Frances Credit Agricole and the Netherlands Rabobank have many years of successful experience in the conditions of bilateral ownership of the agricultural bank. It is necessary to develop a mechanism that will allow small entrepreneurs to use credit in Georgia.

It is necessary to continue improvement of the agro-insurance program, which will eventually be established as a state or bilateral owned national agency. To ensure equal availability of loans for farmers and startup entrepreneurs that are provided by state.

The national bank must develop a preferential mechanism for calculating financial risks for agriculture that will be linked to financial insurance and during government's financial relations with agriculture sector will consider favourable conditions for enacting this insurance mechanism of agriculture.

As a result of enacting the proposed mechanism of lending agrarian sector, the development of expanded procreation of agricultural goods in the country will be available, which will promote effective performance of the country's grocery market and will stimulate export of grocery products.

## შინაარსი

|  |     |
|--|-----|
| ტიტულის გვერდი-----  | I   |
| ხელმოწერების გვერდი-----   | II  |
| საავტორო უფლებების გვერდი-----   | III |
| რეზიუმე (ქართულ ენაზე)-----  | IV  |
| რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)-----  | X   |
| შინაარსი-----  | XIV |
| ცხრილების და სქემების ნუსხა-----   | XVI |
| შესავალი-----  | 17  |
| ლიტერატურის მიმოხილვა-----   | 23  |
| <br>   |     |
| თავი I სოფლის მეურნეობის მდგრადი აღწარმოების<br>თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები-----                              | 28  |
| 1.1 სოფლის მეურნეობის აღწარმოების არსი და<br>თავისებურებანი-----   | 28  |
| 1.2 სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო<br>რეგულირების თეორიული ასპექტები-----                                | 56  |
| 1.3 აგრარული მეწარმეობის პოტენციალის<br>თვითრეგულირების თეორიული საფუძვლები-----                                   | 64  |
| 1.4 სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო<br>მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმი-----                             | 74  |
| <br>   |     |
| თავი II სოფლის მეურნეობის აღწარმოების თანამედროვე<br>მდგომარეობა და მისი სრულყოფის ძირითადი<br>მიმართულებები ----- | 85  |
| 2.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე<br>მდგომარეობა-----  | 85  |
| 2.2 დაკრედიტების პრობლემები საქართველოს აგრარულ<br>სექტორში-----   | 101 |

|  |     |
|--|-----|
| 2.3 საზღვარგარეთ ქვეყნების გამოცდილება<br>აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სფეროში -----                                | 111 |
| თავი III გაფართოებული აღწარმოების ხელშეწყობის<br>მიმართულებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში -----                        | 153 |
| 3.1 სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები<br>სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების<br>განვითარების საქმეში----- | 153 |
| 3.2 აგროდაკრედიტების ახალი სისტემის ფორმირების<br>პერსპექტივები საქართველოს აგრარულ სექტორში-----                          | 168 |
| დასკვნები და წინადადებები-----   | 182 |
| გამოყენებული ლიტერატურა-----   | 190 |

## ცხრილების, გრაფიკების და სქემების ნუსხა

|                |       |
|----------------|-------|
| სქემა#1-----   | 29    |
| სქემა#2-----   | 34    |
| სქემა#3-----   | 38    |
| სქემა#4-----   | 40    |
| სქემა#5-----   | 41    |
| ცხრილი#1-----  | 47    |
| სქემა#6-----   | 52    |
| ცხრილი#2-----  | 52-53 |
| ცხრილი#3-----  | 54    |
| სქემა#7-----   | 55    |
| სქემა#8-----   | 69    |
| სქემა#9-----   | 70    |
| სქემა#10-----  | 72    |
| სქემა#11-----  | 74    |
| ცხრილი#4-----  | 86    |
| ცხრილი#5-----  | 88-89 |
| ცხრილი#6-----  | 90    |
| ცხრილი#7-----  | 91    |
| გრაფიკი#1----- | 92    |
| ცხრილი#8-----  | 95    |
| ცხრილი#9-----  | 98    |
| ცხრილი#10----- | 106   |
| ცხრილი#11----- | 106   |
| ცხრილი#12----- | 107   |
| ცხრილი#13----- | 108   |
| ცხრილი#14----- | 122   |
| ცხრილი#15----- | 124   |
| სქემა#12-----  | 162   |
| ცხრილი#16----- | 174   |



## შესავალი

### თემის აქტუალობა.

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება და გაფართოვებული აღწარმოების უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული პრობლემა დღეისათვის მეტად აქტუალურია, როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე საქართველოსათვის, სწორედ ამ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს აგრარულმა სექტორმა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სფეროა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოება მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უწყვეტ განახლებას, რომლის დროსაც გამოიყენება ძირითადი საწარმოო ფაქტორები წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა. სასოფლო-სამეურნეო აღწარმოება წარმოადგენს მეტად რთულ ფორმას სამეურნეო საქმიანობისა და საჭიროების გამოყენებული რესურსის ელემენტების შორის ოპტიმალური პროპორციების დაცვას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოება მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებს, ამ უკანასკნელის უგულებელყოფას მივყავართ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის დაცემასთან, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებასთან და ა.შ. დღეისათვის ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილი მდგომარეობა ნათლად მიგვანიშნებს, რომ პრობლემის რეალური გადაჭრა შესაძლებელია სპეციალიზებული აგროდაკრედიტების სისტემის ფორმირებით. თანამედროვე აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შედეგად შეიქმნება რეალური პირობა ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტებისთვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწყის ეტაპზე აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია სახელმწიფო ჩარევის (რეგულირების) გარეშე, რომელიც მიმართული უნდა იყოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების მიღწევისათვის, აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს აგრარულ სექტორში

შემავალ დარგთა რაციონალურ ტერიტორიულ გადაადგილებას და ერთიანი საბაზრო სივრცის ფორმირებას.

შრომის ტერიტორიული დანაწილების გათვალისწინებით და ერთიანი სასურსათო ბაზრის ფორმირებისათვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მწარმოებელთა სახელმწიფო მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და რეალიზება. ამასთან ერთად სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მოთხოვნის მხარდაჭერას და რეგულირებას, მომხმარებელთა შემოსავლების სტაბილიზაციას და ზრდას.

აღნიშნული საკითხების გადაჭრა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების ზრდას და აგრარული სექტორის დაკრედიტების მექანიზმის სრულყოფას, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის, ამჟამად ქვეყანაში ყალიბდება ხელსაყრელი პირობები აგრარულ სექტორში გასატარებელი რეფორმების დაჩქარებისათვის, რათა საქართველომ დროულად შეასრულოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის თემა მეტად აქტუალურია, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ქვეყანაში საკვლევ თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხის აქტუალობამ, დაუმუშავებლობამ და სადისკუსიო ხასიათმა, მათმა მაღალმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განაპირობა მოცემული სადისერტაციო კვლევის მიზნისა და ამოცანების, ობიექტისა და საგნის, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, ინსტრუმენტალური მეთოდოლოგიური და ინფორმაციული ბაზის შერჩევა.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგრადი აღწარმოების განვითარების ხელშეწყობა აგროდაკრედიტების სისტემის ფორმირების და ამოქმედებით, დასახული მიზნის მისაღწევად

ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილია შემდეგი ძირითადი ამოცანები.:

- სამამულო და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული შეხედულებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოკვლეულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების აღწარმოების ადგილი და როლი სახელმწიფო რეგულირების პროცესში;

- შედეგებზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის აღწარმოების თავისებურებების შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომების ახსნა და გაფართოება;

- საქართველოში სოფლის მეურნეობის აღწარმოების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი დაკრედიტების პრობლემის წარმოჩენა;

- სოფლის მეურნეობის აღწარმოების პრიორიტეტების ფორმირების მიმართულებების ანალიზი საქართველოში;

- აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების პროცესში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში;

- სოფლის მეურნეობის აღწარმოების პროცესში სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებების სრულყოფის თავისებურებანი;

- ქვეყანაში აგროდაკრედიტების სისტემის ფორმირების ძირითადი ფორმებისა და მეთოდების გამოყენების ახალი მიდგომების შეთავაზება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტს კვლევის მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე წარმოადგენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების ხელშეწყობა და აგროდაკრედიტების თანამედროვე სისტემის ფორმირება, ხოლო კვლევის საგანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის აღწარმოების შედეგებზე ორიენტირებული აგროდაკრედიტების ახალი სისტემის ფორმირებისას ჩამოყალიბებული საფინანსო-საკრედიტო და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზად გვევლინება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოებასა და აგროდაკრედიტების სისტემის შედეგებზე

ორიენტირებულ შეხედულებათა ევოლუციის ამსახველი მეცნიერული შრომები.

მეთოდოლოგიური მიდგომა მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების შედეგებზე ორიენტირებული ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტთა ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის შედეგად შემუშავებული თეორიული დებულებებისა და მეცნიერული პრინციპების განზოგადებასა და გამოყენებაში.

კვლევის ინსტრუმენტალურ ბაზას წარმოადგენს მეცნიერული შემეცნების მეთოდების, დიალექტიკური და სისტემურ-სტრუქტურული მეთოდების შეთანაწყობა, ისეთ ეკონომიკურ მეთოდებთან როგორცაა: ეკონომიკური ანალიზი და სინთეზი, ისტორიული და ლოგიკური, განზოგადება და აბსტრაქცია, ინდუქცია და დედუქცია, შედარებითი და გრაფიკული ანალიზი, სტატისტიკური დაჯგუფების და დინამიური მწკრივების მეთოდების გამოყენება.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომში კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მდიდარი უცხოური და სამამულო ლიტერატურული წყაროების შესწავლასა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გაფართოვებულია სასოფლო-სამეურნეო აღწარმოების ცნების ეკონომიკური შინაარსი და გამოკვლეულია მისი ადგილი და როლი კვლავწარმოების პროცესში;

- განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების არსი და თავისებურებანი, ახსნილია კვლავწარმოების თვითრეგულირების შინაარსი და მოცემულია მისი სრულყოფილი ფორმულირება;

- შემოთავაზებული და დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრედიტების ახალი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების მექანიზმი, რომელიც თავის თავში მოიცავს მიზანს, ამოცანებს, ობიექტს და სუბიექტებს;

- შეფასებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური ბერკეტები და მოცემულია მათი

სრულყოფის მიმართულებები;

- გაანალიზებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების საქმეში და მისი დანერგვის შესაძლებლობების საქართველოს რეალობისათვის.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომის თეორიული ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ავტორის მიერ მიღებული შედეგები შესაძლებელია საფუძვლად დაედოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების კუთხით კვლევების შემდგომ გაშლას და განვითარებას.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება ავტორის მიერ ფორმულირებული დებულებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის კონცეფციის შემუშავებისათვის მეთოდოლოგიურ ბაზად გამოყენების შესაძლებლობით.

განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ აგრარული სექტორის დაკრედიტების ახალი სისტემის დანერგვის ღონისძიებებს და რეკომენდაციებს, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კვლავწარმოების ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული შედეგები და დასკვნები შესაძლებელია გამოყენებული იქნას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო პროგრამების დამუშავებისას, ასევე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობაში.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა;** განპირობებულია განსახილველი საკითხების ხასიათით, კვლევის ამოცანებითა და მეთოდებით. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 196 გვერდს, შედგება შესავალი ნაწილის, ძირითადი ტექსტი (შესავალი, ლიტერატურის

მიმოხილვა, სამ თავად წარმოდგენილი შედეგების განსჯა და დასკვნა) და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

## ლიტერატურის მიმოხილვა

სადოქტორო თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მრავალფეროვანი ლიტერატურა მოიპოვება, როგორც სამამულო, ისე უცხოური გამოცემები. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე:

ა) ს. თურმანიძის, გ. ძაგნიძის, ი. ფალელიშვილის, ე. ფუტყარაძის, გ. გაბაიძის ნაშრომი „აგრობიზნესი“ (თბილისი, 2010. 241 გვ.), რომელიც ორი ნაწილისა და 10 თავისაგან შედგება. ნაშრომში განხილულია აგრარული სფეროს თანამედროვე აქტუალური საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის აღწარმოების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემის გაშუქებას. სოფლად აგრარული წარმოების განვითარება მოითხოვს არა მარტო რესურსებით უზრუნველყოფას, არამედ პროდუქციის წარმოებას, დამზადებას, რეალიზაციას და მომხმარებლებთან ურთიერთობას, რომელმაც საბოლოო ჯამში უნდა უზრუნველყო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეებისათვის გარანტირებული მოგება, მინიმალური დანახარჯების პირობებში. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა აგრარული წარმოების ციკლურ ბუნებას და ფასების არამდგრადობას სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ავტორები ყურადღებას ამახვილებენ მემცენარეობის და მეცხოველეობის საწარმოთა თანამედროვე გაძღოლის სისტემებზე, სტრატეგიული განვითარების მიმართულებებზე. ნაშრომში გაანალიზებულია ქვეყნის აგრარული წარმოების ოპტიმალური მოცულობის პირობებში დანახარჯების ოპტიმიზაციის შედეგები და სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის შეფასება პერსპექტივაში.

ბ) პ. კოლუაშვილის, გ. ზიბზიბაძის, ნაშრომი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ (თბილისი 2010.) ჩვენს მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი. მონოგრაფია მოიცავს 15 თავს, რომელშიც დეტალურადაა განხილული საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირების და ინტეგრირების ფორმები, სოფლის მეურნეობაში მატერიალურ ტექნიკური რესურსების გამოყენების თავისებურებანი, აგრარულ სექტორში მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების და რაციონალური მართვის

პრინციპები. განსაკუთრებით საყურადღებოა აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება, მისი ობიექტური აუცილებლობა და ის დადებითი შედეგები რომელიც მოაქვს ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვის მის გამოყენებას.

გ) ე. ბარათაშვილის და ნ. გრძელიშვილის ნაშრომი „**რეგიონული ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება საქართველოში**“. (თბ., 2012. -256 გვ) განიხილავს რეგიონული და მუნიციპალური ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებს და საქართველოში საბიუჯეტო ფედერალიზმის პრობლემებს. ნაშრომში გაანალიზებულია საზღვარგარეთის ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის, საინოვაციო, საინვესტიციო, რეგიონული მონიტორინგის, დაგროვილი გამოცდილება. ნაშრომში ავტორები გამოყოფენ რეგიონული პოლიტიკის სრულყოფის პრიორიტეტებს საქართველოში და ასაბუთებენ, რომ აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის ტერიტორიული განვითარების რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია. ასევე ყურადღება აქვს დათმობილი რეგიონული ეკონომიკის პირობებში აგრარული სექტორის განვითარებასა და სრულყოფას. ნაშრომი შედგება 3 თავისა და 9 პარაგრაფისაგან. სადისერტაციო თემასთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის შემდეგი პარაგრაფები: რეგიონული მენეჯმენტი, რეგიონული აგრარული პოლიტიკა და სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგია აგრო სექტორში.

დ) DCFTA-ის მოთხოვნები პირველადი წარმოებისათვის (გზამკვლევი). ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ევროკავშირის აგრარული ბაზრის მოკლე ანალიზს, სურსათის პირველად წარმოებას, HACCP- ს მოთხოვნებს პირველადი წარმოებისათვის სოფლად. საბაჟო სატარიფო რეგულაციებს, საქონლის წარმოების წესს, პირველადი წარმოების სერტიფიკაციას. სურსათის უვნებლობის სტანდარტებს და მონიტორინგს ქვეყნის მაშტაბით.

ე) ბარათაშვილი ე. ჯოლია გ. გრძელიშვილი ნ. მამალაძე ი. სეხნიაშვილი დ. ჩახვაშვილი დ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. თბ.



2012. I-II წიგნში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკური პროცესების რეგულირების სახელმწიფო მექანიზმები, აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიები, საბაზრო ეკონომიკის ფორმირება და ფუნქციონირება, სოფლად საბაზრო ურთიერთობები და საკუთრება, მეწარმეობა და მისი სახელმწიფო რეგულირების საფუძვლები, სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, სახელმწიფოს სტრუქტურული პოლიტიკა, აგრარული ეკონომიკის მყარი განვითარების მართვა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა, ქვეყნის ეკონომიკის საბიუჯეტო რეგულირება, აგრარული ეკონომიკის საკადრო რესურსები და დასაქმება სოფლად, საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები აგრარულ სექტორში და სხვა.

ვ) ოქროცვარიძე ავთანდილი, ლაჭყევიანი თენგიზი, ოქროცვარიძე ლალი - მსოფლიო ეკონომიკა - დამხმარე სახელმძღვანელო თბილისი-2010; სახელმძღვანელოში გადმოცემულია მეცნიერ-ეკონომისტების შეხედულებები მსოფლიო ეკონომიკის შესახებ, განხილულია მსოფლიო მეურნეობის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მეგაეკონომიკის წარმოშობის, ტრანსნაციონალიზაციის და ეკონომიკის ინფორმატიზაციის საკითხები, მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკის ანალიზი, რომელთა შესწავლის გარეშე თანამედროვე გლობალური მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის სრული წარმოდგენა შეუძლებელია. გაანალიზებულია მსოფლიო კონტინენტების, რეგიონებისა და ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით აგრარული ეკონომიკის აქტუალური პრობლემები. მოცემულია მსოფლიო მიწის ფონდებისა და მიწათსარგებლობის სტრუქტურა, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიმართულებები, განხილულია ცალკეული სახელმწიფოების ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, წარმოების ორგანიზაციის

სხვადასხვა ფორმები, გატარებული აგრარული რეფორმები და მიღწეული შედეგები

ზ) ნ. კოვანენკოს, ი. აგირბოვის, ნ. სეროვას ნაშრომი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ (მოსკოვი, 2004, 384გვ.). ნაშრომში განხილულია პოსტსაბჭოთა სივრცეში სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმები, მიღწეული შედეგები და ნაკლოვანებები, რომელიც რეფორმების გატარებას მოჰყვა, რუსეთის ფედერაციაში აგრარულ სექტორში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლით გამოწვეული ცვლილებები. წიგნში საუბრია სოფლად წარმოების ორგანიზაციული ფორმების ცვლილებებზე, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ტრანსფორმაციაზე და სახელმწიფოს მიერ აგრარული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერაზე. მოცემულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების თეორიული საფუძვლები და სოფლად ურთიერთობათა ფორმირების ახლებური ასპექტები.

თ) ლისენკო ე. ვოდიანიკოვი ვ. ხუდიაკოვა ე. „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“ (მოსკოვი, 2015). ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობაში საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების თავისებურებანი. მათი გავლენა სოფლად საკუთრებით ურთიერთობებზე და ამის შედეგად ახალი ორგანიზაციული ფორმების ფორმირებაზე. ფერმერული მეურნეობების როლზე აგრარული წარმოების განვითარებაზე და ქვეყნის აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე. გაანალიზებულია სოფლად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დანერგვის შედეგად გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები და მისი გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაზე. წიგნში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მართვის ინოვაციური ფორმების გამოყენებას და აგრარულ სექტორში სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების ეფექტურ გამოყენებას.

ი) ა. სიჭინავას, პ. კოლუაშვილის, დ. ეგიაშვილისა და ა.მესხიშვილის ნაშრომში „უძრავი ქონების ეკონომიკა“ (სახელმძღვანელო, სტუ, 2013; - 320 გვ.) ავტორების მიერ განხილულია უძრავი ქონების მართვის ეკონომიკურ-

ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხები. მასში გადმოცემულია უძრავი ქონების არსი, მისი ძირითადი მახასიათებლები, ჩამოყალიბების თავისებურებები და პერსპექტივები, გაანალიზებულია უძრავი ქონების მნიშვნელობა თანამედროვე აგრარული ეკონომიკის განვითარებისათვის. ნაშრომი შედგება 20 თავისა და 118 პარაგრაფისაგან. ნაშრომმა დახმარება გაგვიწია სადისერტაციო თემის დამუშავებისას ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ საფუძვლებისა და ქონების გამოყენების მაჩვენებლების დამუშავებისას.

ნაშრომზე მუშაობის დროს ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა მოქმედი საკანონმდებლო ბაზა.

# თავი I სოფლის მეურნეობის მდგრადი აღწარმოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

## 1.1 სოფლის მეურნეობის აღწარმოების არსი და თავისებურებანი

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების და სურსათზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარება. ნაშრომში დასმული პრობლემის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამ საკითხზე მრავალი სამეცნიერო ნაშრომია შექმნილი, მაგრამ აგრარულ სექტორში დღემდე არ არსებობს მდგრადობისა და აღწარმოების ერთმნიშვნელოვანი განმარტება, პრობლემების კვლევის ერთიანი თეორია და მეთოდიკა. ქვეყანაში არსებული საბაზრო გარემო ახლებურად, რეგულარულად და კომპლექსურად მოითხოვს მთელი რიგი საკითხების გადაჭრას.

კვლევის მიზანია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და აღწარმოების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება და მისი სრულყოფის საფუძველზე მოსალოდნელი შედეგების დასაბუთება. ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის მაშტაბების ზრდამ, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებამ გააძლიერა ბუნებაზე უარყოფითი გავლენა და დაარღვია პლანეტის ეკოლოგიური წონასწორობა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერებმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში ბუნებრივი შეზღუდვების პრობლემებს. 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აღნიშნა სტოკჰოლმის კონკურენციის 20 წლისთავი ("საერთაშორისო კონკურენცია გარემოსა და მისი განვითარების შესახებ), სადაც მიღებული იქნა მდგრადი განვითარების პროგრამა - "წესრიგი XXI საუკუნეში". ქ. რიო-დე-ჟანეიროში კონფერენციაზე 1992 წელს ოფიციალურად შემოღებული იქნა ცნება "მდგრადი განვითარება", რომელიც კაცობრიობასთან მიმართებაში, სწორედ ისეთ განვითარებას ნიშნავს, რომელიც არ აყენებს გარემოს გარდაუვალ ზარალს.

"მდგრადი განვითარება" ნიშნავს მუდმივ სტაბილურ ზრდას.

ევროპულ ქვეყნებში ამ ტერმინს (Sustainable Development) აქვს უფრო ვიწრო გაგება, კერძოდ იგი არის "თანდათანობითი (შეიძლება ითქვას "თვითსაკმარისი") განვითარება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კაცობრიობას სამომავლო არსებობას.


მდგრადი განვითარების კონცეფციის შინაარსი ასახულია ვ. ლაფერტის განსაზღვრაში [1; 7] "მდგრადი განვითარების-ნორმატიული კონცეფცია, ახორციელებს ცხოვრების პირობების რეგულირებას, ეს რეგულირება ხორციელდება ეგრეთწოდებული განვითარების ოთხი პრინციპის საფუძველზე.

- "განვითარების პრინციპი - 1" (მდგრადი განვითარება მოწოდებულია დააკმაყოფილოს ადამიანთა ძირითადი საჭიროებები და ყველა მაცხოვრებლის ცხოვრების დონე);

- "განვითარების პრინციპი - 2" (პლანეტის მთლიანი მოსახლეობის ცხოვრების თანაბარი დონეები);

- "მდგრადობის პრინციპი - 1" (მიიღწევა ბუნებრივი რესურსების ფრთხილი გამოყენებით, ამოწურვის, მრავალფეროვნების, ბუნების რეგენაციული უნარის რღვევის გარეშე);

- "მდგრადობის პრინციპი - 2" (ამჟამინდელი თაობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომავალი თაობის მოთხოვნილებათა ზიანის მიყენების გარეშე, იგივე ცხოვრების დონის პირობებში);



სქემა 1. ვ. ლაფერტის მდგრადი განვითარების ოთხი პრინციპი

მდგრად განვითარებაზე გადასასვლელად ღონისძიებები უნდა გატარდეს სახელმწიფო დონეზეც და მსოფლიო დონეზეც. საქართველოს მდგრადი განვითარება გულისხმობს საზოგადოების მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებას მომავალი თაობისათვის ზიანის მიუყენებლად, სტრუქტურული დაბალანსების საფუძველზე. ამ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს აგრარულმა სექტორმა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფეროა. სოფლის მეურნეობის დარგის წილი მსოფლიო ეკონომიკაში 50%-ს შეადგენს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის დასაქმების 90%-ი მასზე მოდის. სოფლის მეურნეობა უნიკალური, ბიოლოგიურ პროცესებზე გადაჯაჭვული წარმოებაა, რომლის განვითარებას არა მარტო ეკონომიკური, არამედ ტრადიციული და ეროვნული მნიშვნელობაც აქვს. სოფლის მეურნეობის მდგრადი აღწარმოების ქვეშ შესაძლებელია გავიგოთ, როგორც მდგრადობა ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამალღების თვალსაზრისით, ასევე როგორც მდგრადობა დაბალანსებული განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოში სოფლის მეურნეობის პირობები და შესაძლებლობები სხვადასხვაგვარია. ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული პოტენციალის მიხედვით სასოფლო ტერიტორიების ტიპოლოგიზაციის გარეშე ამის გაკეთება წარმოუდგენელია. გამომდინარე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს:

- ბუნებრივად, რომელ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდება ეფექტიანი აგრარული წარმოება;
- რომელ ტერიტორიებს აქვთ პოტენციალი წარმოების ალტერნატიული სახეობებისა და ადამიანთა სხვა სამეწარმეო მოღვაწეობისათვის;
- ამ პრობლემათა გათვალისწინებით დღეისათვის მსოფლიოში მთავარი მიზანია ეკოლოგიურად მდგრადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სისტემის დანერგვა, რათა ყველა ქვეყნის მოსახლეობა მომარაგდეს უსაფრთხო, ჯანმრთელი საკვებითა და წყლით.

ამ სისტემის მთავარი მახასიათებლებია:

- ადგილობრივ განახლებად რესურსებზე დაყრდნობა;
- ბიოლოგიური პროცესების პოტენციალის ეფექტიან გამოყენება;
- ნიადაგის ბიოლოგიური აქტივობის და ნაყოფიერების შენარჩუნება;
- მცენარეების და ორგანული ნივთიერებების, მაქსიმალური გადამუშავება;

- სოფლის მეურნეობის წარმოების პირობებში ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება.

აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენება მოითხოვს, რომ:

- ფერმერები უზრუნველყოფილი იყვნენ წარმოებისათვის საჭირო პირობებით, როგორცაა: მიწის, წყლის და გენეტიკური რესურსების გამოყენება;

- ნორმალური ეკონომიკური პირობები, რომელიც ფერმერობიდან ადეკვატურ შემოსავალს უზრუნველყოფს;

- ადგილობრივი და რეგიონული წარმოების პრიორიტეტულობის აღიარება აგრარულ პოლიტიკაში;

- ტრადიციული ფერმერობის სისტემების დაცვა და აღიარება.

ჩამოთვლილი მახასიათებლების გათვალისწინებით აღწარმოება წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების პროცესის უწყვეტ განახლებას, უწინარეს ყოვლისა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციისა, სამუშაო ძალის და საწარმოო ურთიერთობების, რომლის დროსაც აუცილებლად გამოიყენება ძირითადი საწარმოო ფაქტორები: როგორცაა წარმოების საშუალებები (ძირითადი და საბრუნავი) და სამუშაო ძალა. [2; 9-11] მაკრო დონეზე "აღწარმოების" კატეგორია ხასიათდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიმდინარე რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებებით, რომელიც თავისი არსით ნიშნავს ეკონომიკური პროცესების უწყვეტ განახლებას, პირველ რიგში კი აღწარმოების პროცესის [3; 6].

მიკრო დონეზე აღწარმოების პროცესი მოიცავს წარმოების დახარჯულ ფაქტორების აღწარმოებას (ბუნებრივი რესურსები, სამუშაო ძალა, წარმოების საშუალებები) მათი შემდგომი წარმოებისათვის [4; 210]. აღწარმოება

წარმოადგენს მატერიალურ კეთილდღეობათა და მომსახურებათა მუდმივად გამეორებად პროცესს, რომლის დროსაც ხორციელდება წარმოების საშუალებათა, მოხმარების საგნების, მომსახურების, სამუშაო ძალის და საწარმოო ურთიერთობათა აღწარმოება [4; 115].

მდგრადი აღწარმოება სოფლის მეურნეობაში ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. სოფლის მეურნეობაში ერთმანეთთან გადაჯაჭვულია ეკონომიკური და ბუნებრივი აღწარმოების პროცესები, რომლებსაც ემორჩილება მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების განვითარება;
2. სოფლის მეურნეობაში აღწარმოების პროცესზე დიდ ზეგავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები. ნიადაგურ-კლიმატური პირობები პირდაპირ ზემოქმედებენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეფექტიან საქმიანობაზე;
3. სოფლის მეურნეობაში მიწა წარმოადგენს წარმოების ძირითად საშუალებას და მისი ნაყოფიერების ამაღლება წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გაფართოვებული აღწარმოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას;
4. სოფლის მეურნეობისა და მისი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებისათვის დამახასიათებელია წარმოების სეზონურობა, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე რომ წარმოების პერიოდი არ ემთხვევა სამუშაო პროცესს;
5. სოფლის მეურნეობაში აღწარმოებას გააჩნია წლიური ციკლი, რომელიც ემთხვევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პროცესს;
6. სოფლის მეურნეობაში იქმნება პროდუქცია, რომელიც შემდგომ ფართოდ გამოიყენება მომდევნო აღწარმოების პროცესში (სათესლე მასალა, პირუტყვის საკვები და ა.შ.) [5; 295-296].

უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობაში განხორციელებული რეფორმები აქტუალურს ხდის აღწარმოების პრობლემატიკას. სოფლად ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები კვლავ




რჩებიან სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად მწარმოებლებად. მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობით, სპეციალიზაციით, მომგებიანობის დონით და ფინანსური სტაბილურობით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აღწარმოების სამ სახეს: მარტივს, კლებად და გაფართოვებულს. მარტივი კვლავწარმოების პროცესი ითვალისწინებს აღწარმოების განახლებას უწინდელი რაოდენობითა და ხარისხით. მთლიანი ნამეტი პროდუქტი, თუ იგი ამ დროს იწარმოება, გამოიყენება თვით მწარმოებლების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის. მარტივი აღწარმოების დროს გამოირიცხება დაგროვება. სოფლის მეურნეობაში მარტივი აღწარმოების პროცესში ადგილი აქვს ტექნიკისა და შრომის ნაყოფიერების უცვლელი დონის გამოყენებას. მარტივი აღწარმოების პროცესში მოხმარებელი წარმოების საშუალებების განახლება ხორციელდება სრულად, ხოლო დანახარჯები სამუშაო ძალაზე შესაბამისობაშია მის ღირებულებასთან.

სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აღწარმოების მეორე (კლებადი) ტიპი. კლებადი აღწარმოების პროცესში წარმოებული პროდუქციის ღირებულებით ვერ ანაზღაურდება სრულად მოხმარებული წარმოების საშუალებები და შეუძლებელია ასევე სრულად სამუშაო ძალის შენარჩუნება, უწინდელ (ნორმალურ) მდგომარეობაში.

გაფართოვებული აღწარმოება ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი კაპიტალის დაგროვებას ანუ ნამეტი ღირებულებას გადაქცევას ახალი კაპიტალის ელემენტად. გაფართოვებული აღწარმოების პროცესში წარმოებული პროდუქციის მოცულობა ყოველ მომდევნო ციკლში იზრდება, რომელიც მიიღწევა ასევე პროდუქტის ხარისხის ზრდის ხარჯზე.

თეორიული წარმოდგენით აღწარმოება თავის თავში მოიცავს უწყვეტ, ობიექტურად განპირობებულ წარმოებას, განაწილებას, გაცვლისა და მოხმარების პროცესს (იხ. სქემა 2).



სქემა 2. აღწარმოების დამახასიათებელი თვისებები

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში აღწარმოებას თან ახლავს შემდეგი კანონზომიერებანი:

- წარმოებით ურთიერთობებში პროდუქციისა და რესურსების (მიწაზე შრომის და კაპიტალის) აღწარმოების ერთიანობა;
- აღწარმოების პროცესის ცალკეული სტადიების (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება) ურთიერთგანპირობებულობა და ურთიერთკავშირი;
- აღწარმოების ყველა სტადიისათვის ნატურალურ-ნივთიერ თუ ღირებულებით ფორმაში დამახასიათებელია სისტემის ყველა ელემენტებს შორის პროპორციულობის და დაბალანსებულობის დაცვის აუცილებლობა.

თუ განვიხილავთ აღწარმოებას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას მისი შინაარსი მდგომარეობს წარმოების მუდმივ და უწყვეტ განახლებაში. წარმოებისათვის დამახასიათებელია მატერიალური და ფულადი რესურსების შეერთება, ხოლო განაწილებისათვის დამახასიათებელია მისი შედეგების განვრცობა შემდგომი მოხმარებისათვის. წარმოებასა და განაწილებას შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობები აღმოფხვრილი უნდა

იქნეს სახელმწიფო რეგულირების დახმარებით.

ამრიგად, სოფლის მეურნეობაში აღწარმოების ქვეშ შესაძლებელია გაგებული იქნეს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ეკონომიკური პროცესების განახლება. ამასთან ერთად აღწარმოებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, მიმართულს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისაკენ.

სასოფლო-სამეურნეო აღწარმოება დაკავშირებულია ბიოლოგიურ და ბუნებრივ პროცესებთან, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებას განიცდიან კლიმატური ფაქტორებისა, წარმოების პროცესში ადამიანის, მიწის, მცენარეების და ცხოველთა ჩართვით და სამეურნეო საქმიანობის მეტად რთულ ფორმას წარმოადგენს. აღწარმოების პროცესის უზრუნველყოფა მოითხოვს გარკვეული რესურსების ქონას ნატურალურ-ნივთიერი ფორმით (სამუშაო ძალა, ნედლეული, მასალები ძირითადი საწარმოო ფონდები). თითოეული მათგანი აღწარმოების პროცესში ასრულებს თავის ფუნქციონალურ როლს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მათგან ენიჭება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, ისინი ახდენენ უშუალო ზეგავლენას აღწარმოების სრულყოფაზე და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობაზე. რეალური გაფართოებული აღწარმოების უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს რესურსების ცალკეულ ელემენტებს შორის გარკვეული პროპორციების დაცვა.

თანამედროვე ეკონომიკის პირობები, რომელშიც ფუნქციონირება უხდება აგრარულ წარმოებას, აღწარმოების რეგულირების ქმედითი ეკონომიკური მექანიზმი არ არსებობს, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწარმოების, რომლებიც იხარჯება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოებაზე. გამომდინარე აქედან ნებისმიერი მატერიალური წარმოება იწყება ძირითად და საბრუნავ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციით. ამდენად მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღწარმოების რეგულირების ეკონომიკური მექანიზმი უნდა

მოიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც დაარეგულირებს რესურსების და ინვესტიციების მოხმარებას აღწარმოების პროცესში. "აღწარმოების ცნება სხვა არაფერია თუ არა მატერიალური ფასეულობების და ფინანსების დაგროვება". [6; 43-53].

სოფლის მეურნეობაში აღწარმოების პროცესი და შესაბამისად დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდა გართულებულია მთელი რიგი რისკებით. კერძოდ,

პირველი რისკი დაკავშირებულია ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობის დაბალი შემოსავლიანობასთან, რის გამოც დაბალია აგრარული სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა.

მეორე რისკი - სამამულო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის ბაზარზე ნაკლებ ხელმისაწვდომობაში, რაც განპირობებულია ქვეყანაში სუბსიდირებული სასურსათო პროდუქტების იმპორტის ზეწოლით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განუვითარებლობით.

მესამე რისკი სოფლის მეურნეობაში დაკავშირებულია მის დამოკიდებულებაზე ქვეყანაში წარმოების ისეთი ფაქტორების ფართოდ შემოტანაზე როგორც: სათესლე და სარგავი მასალა, სანაშენო პირუტყვი, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ტექნოლოგიები.

მეოთხე რისკი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში კვალიფიციური კადრების დეფიციტთან, რომელიც განპირობებულია აგრარული-განათლების დაბალი დონით და სოფლად სოციალური პრობლემებით.



მეხუთე რისკი დაკავშირებულია კლიმატურ პირობებთან, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო კოლტურების მოვლა - მოყვანაზე.

აღნიშნული პრობლემების დაძლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანია უცხოური გამოცდილების გამოყენება სოფლის მეურნეობის გაძლიერების საქმეში, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ აღწარმოების ნებისმიერი

ტიპის დროს მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამუშაო ძალა და დახარჯული შრომის ანაზღაურება (იხ. სქემა 3) რომელსაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანახარჯების სტრუქტურაში უჭირავს მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი.

ძირითადი და საბრუნავი ფონდების რაოდენობა გარკვეული თანაფრადობით წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პირობას სოფლის მეურნეობის აღწარმოებაში. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძირითადი საწარმოო ფონდები წარმოადგენენ შრომის საშუალებებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მრავალ საწარმოო ციკლში, ინარჩუნებენ რა საკუთარ ნატურალურ ფორმას და თავიანთი ღირებულების ნაწილი გადააქვთ ახლად შექმნილ პროდუქტში ამორტიზაციის ანარიცხების საშუალებით.

საამორტიზაციო ანარიცხები შედიან პროდუქციის თვითღირებულებაში და თანმიმდევრულად გავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მოგების სიდიდეზე. მაგრამ მას არ მივყავართ ფინანსური რესურსების გადინებასთან, რადგან საამორტიზაციო ანარიცხები რჩება საწარმოებში. ამასთან ერთად ეს ფულადი სახსრები გამოიყენება გაცვეთილი ძირითადი საშუალებების აღსადგენად გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამიტომ ეს ფულადი სახსრები, ისე როგორც მოგება წარმოადგენს წყაროს დანახარჯების დაფინანსებისათვის აღწარმოების პროცესში. მარტივი აღწარმოების პროცესში საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე საწარმოები ახორციელებენ შრომის იარაღების განახლებას, რომელიც ტოლია გაცვეთილი საშუალებების ღირებულებისა. გაფართოებული აღწარმოებისათვის საჭიროა ფულადი სახსრების ახალი დაბანდებები, რომლის მოზიდვაც ხდება დამატებით მოგებიდან, დამფუძნებელთა შენატანებიდან, ფასიანი ქაღალდების ემისიიდან, კრედიტებიდან და ა.შ.



სქემა 3. სოფლის მეურნეობაში ალწარმოების ეკონომიკური პირობები


ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების დაძლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ძირითადი კაპიტალის ეფექტური განახლება. რომელიც შესაძლებელია ძირითადი კაპიტალის ბუნების შესწავლის და ალწარმოების პროცესის შემადგენლობის დადგენის შედეგად.

საბრუნავი საშუალებები და მათი წრებრუნვა წარმოადგენს სოფლის

მეურნეობაში აღწარმოების პროცესის საფუძველს, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობას, რადგან ბრუნვის პროცესი წარმოადგენს საბრუნავი კაპიტალის არსს და აღწარმოების პროცესის ეკონომიკურ პირობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოებული აღწარმოების საფუძველზე მიიღწევა საზოგადოებრივი და პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სურსათზე, და მატერიალურ საშუალებებზე, რომელიც აუცილებელია აღწარმოების პროცესის გაგრძელებისათვის [7; 34 გვ.]. საბრუნავი საშუალებების წრებრუნვაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემო მოტანილი სქემა (იხ. სქემა 4).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საბრუნავი საშუალებები წარმოადგენს ფულადი და მატერიალური რესურსების ერთობლიობას ავანსირებულს წარმოების საშუალებებში, რომლებიც ერთჯერადად დებულობენ მონაწილეობას საწარმოო პროცესში და მთლიანათ გადააქვთ საკუთარი ღირებულება მზა პროდუქციაში. უზრუნველყოფენ ყველა საწარმოო პროცესის მიმდინარეობის რიტმულობას და უწყვეტობას სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საბრუნავი საშუალებები მუდმივად იმყოფებიან მიმოქცევაში და ახორციელებენ წრებრუნვას. წრებრუნვის საწყის სტადიაზე ხორციელდება ფულადი სახსრებით საწარმოსათვის საჭირო მატერიალური რესურსების შექმნა, ხოლო წრებრუნვა სრულდება მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები თანხით, შემდგომი წრებრუნვის ციკლი იწყება თავიდან. საბრუნავი საშუალებები მიმოქცევის პროცესში ერთდროულად იმყოფებიან ყველა სტადიასა და ყველა ფორმაში. სწორედ ამის საფუძველზე მიიღწევა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოების პროცესის რიტმულობა და უწყვეტობა.




სქემა 4. საბრუნავი საშუალებების წრებრუნვა

საწარმოთა აქტივებში განთავსებული რესურსები, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს მიმოქცევაში და უზრუნველყოფდეს ბიზნეს-პროცესების წარმართვას, ხელს უწყობდეს წრებრუნვის მაშტაბების გაფართოვებას და საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წინაშე მდგარი კომერციული ამოცანების რეალიზაციას მივყავართ სახსრების ზრდასთან, მომდევნო წრებრუნვის დასაწყისში (იხ. სქემა 5).

სოფლის მეურნეობაში ყველა საწარმოო ფონდების ეფექტიან გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძირითად და საბრუნავ ფონდებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა. საბრუნავი სახსრების უკმარისობას (საკვები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა) მივყავართ ძირითადი საწარმოო ფონდების (ტექნიკა, შენობა-ნაგებობები და სხვ.) არაეფექტიან გამოყენებასთან, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე.





სქემა 5. სახსრების წრებრუნვა საწარმოთა კომერციულ-საქმიანობის პროცესში

საბრუნავი აქტივების გამოყენების გაუმჯობესება მიმართულია მათი ბრუნვის დაჩქარებაზე ანუ ბრუნვათა რიცხვის გადიდებისაკენ და ბრუნვის პერიოდის შემცირებისაკენ: ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია მიწოდებათა ვალების ოპტიმიზაცია, საიმედო და დისციპლინირებულ მომწოდებელთა შერჩევა, წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების შერჩევა მათი ხანგრძლივობის შემცირებისათვის და გასაღების სტიმულირება. დავალიანებათა ეფექტური მართვის მიზნით აუცილებელია პარტნიორთა გადახდისუნარიანობის გაკონტროლება.

სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარ საშუალებად გვევლინება მიწა. მისი ხარისხობრივი მდგომარეობა უმჯობესდება რაციონალური გამოყენების პირობებში. მიწის ნაყოფიერების სათანადო დონის შენარჩუნებისათვის საჭიროა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური კაპიტალური დაბანდებები. ამის გამო ინვესტიციათა უკუგება გაჭიმულია დროში და წარმოებს რამოდენიმე წლის განმავლობაში (ინვესტირება, მელიორაცია, მოთაბამირება და ა.შ.), რაც გარკვეულად აფერხებს სოფლის მეურნეობაში თანხების დაბანდებას. ამ ფაქტორების

ზეგავლენის შემცირებისათვის მიწის რესურსები ყველა ქვეყანაში განიხილება როგორც საერთო ეროვნული სიმდიდრე.

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ზრდა შეუძლებელი სოფლად ნიადაგის ნაყოფიერების ეფექტიანი აღწარმოების გარეშე, რომელიც მიიღწევა ნიადაგის დამუშავების რესურს-დამზოგველი ტექნოლოგიის, ნიადაგის ლანდშაფტთან ადაპტირებული მიწათმოქმედების სისტემების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ამაღლების და შენარჩუნების სპეციალური პროგრამების გამოყენებით, მათ შორის ნიადაგის აგროტექნიკური და ეკოლოგიური გამოკვლევის და მონაცემთა ბანკების შექმნის მიზნით მათი ნაყოფიერების მდგომარეობის შესახებ, სოფლის მეურნეობის აგროტექნიკური მომსახურების გაუმჯობესებით - ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით, მელიორაციული ღონისძიებების გატარებით, რომელიც მოიცავს სარწყავი სისტემის აღდგენა-განვითარებას, დაშრობითი ღონისძიებების გატარებას, ნიადაგის დარღვეული სტრუქტურის რეკულტივაციას, ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას.

განსაკუთრებულ აღსანიშნავია აგრარულ სფეროში აღწარმოების რეგულირების მექანიზმის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დისპარიტეტის დაქვეითების პირობებში და სამრეწველო საქონელზე, არაექვივალენტური გაცვლა, ღირებულებით საფუძველზე რომლის შეძენასაც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. წარმოადგენს დისპროპორციათა ძირითად მიზეზს აგრარული სექტორის განვითარებაში. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბიუჯეტიდან ფასების დისპროპორციის შედეგად წლების განმავლობაში ათეულ-მილიონობით ლარი არადასაბუთებულად ამოიღება, და არ აძლევს საშუალებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს განაახლონ საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართალია ფასებს არეგულირებს ბაზარი (მოთხოვნა-მიწოდება), მაგრამ სახელმწიფოს შესწევს უნარი ეკონომიკური ბერკეტებით დაარეგულიროს ეს დისპროპორცია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო

საწარმოებში აღწარმოების პროცესის ძირითად წყაროს წარმოადგენს შიდა საკუთარი სახსრები და მოგება. მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში განხორციელებული რეფორმების შედეგად მრავალ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რენტაბელობა გახდა პრობლემატური. ამ პრობლემის დროული მოგვარება არსებითად გააუმჯობესებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებთა ფინანსურ მდგომარეობას და გაზრდის მათ აღწარმოების უნარს.

აშშ-ში და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შიდა ფასები რამოდენიმეჯერ, მაღალია მსოფლიოს დონესთან შედარებით, ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით ფერმერები ღებულობენ სპეციალურ სუბსიდიებს. შესაბამისად ამ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიანობა მიიღწევა სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური სუბსიდიების ხარჯზე.

საქართველოშიც აუცილებელია გადაიხედოს სახელმწიფო დონეზე ფერმერული მეურნეობების მიერ გაწეული ხარჯების კომპენსირების საკითხი და სახელმწიფო რეგულირების დახმარებით შესაძლებელი გახდეს აგრარულ-პოლიტიკის იმგვარი წარმართვა, რომ მისგან მოდიოდეს მოსალოდნელი საშიშროების და კრიზისის გაფრთხილება და არა კრიზისები მართავდნენ ჩვენ აგრარულ ეკონომიკას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საკითხს. რადგან ფერმერულ მეურნეობათა უმრავლესობას დიდი პრობლემები აქვს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაში, ამის გამო ხშირად ფერმერები იძულებულნი არიან არარეალურ ფასებში განახორციელონ წარმოებული პროდუქციის (ციტრუსი, ყურძენი, ხილი) რეალიზაცია გადამამუშავებელ -მრეწველობის საწარმოებზე და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ხშირად ვერ ფარავს ხარჯებს და ფერმეები განიცდიან ზარალს. აღნიშნული გარემოება არ აძლევს საშუალებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს განახორციელონ გაფართოვებული აღწარმოება და აღადგინონ საკუთარი მატერიალურ-

ტექნიკური ბაზა, შეიძინონ და დანერგონ პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ძნელია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს აგრარული სექტორი მყარად ადგას სტაბილური ეკონომიკურ ზრდის სტადიას. დღეისათვის ძველებურად მემცენარეობის დარგის პროდუქტების წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერების შემცირების ხარჯზე. ადგილი აქვს აგრარულ სექტორში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა გადინებას, სახეზე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დაბალი ფინანსური მდგრადობა, მათი მაღალი ფინანსური დავალიანებების გამო, საწარმოთა დავალიანებები (კრედიტორული) 4-5-ჯერ აღემატება მათ მიერ მიღებულ მოგებას.

სოფლის მეურნეობის აღწარმოების მექანიზმის მთავარ ელემენტს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შემოსავლიანობის დონის ზრდა, რომლის ხელშეწყობა აგრარულ სექტორში, სახელმწიფოს შეუძლია ფინანსურ სახსრების სუბსიდირების გზით, როგორც ამას აკეთებს აშშ-ი და ევროპის განვითარებული ქვეყნები.

სოფლის მეურნეობაში აღწარმოების განვითარების მნიშვნელოვან ეკონომიკურ პირობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირება. ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით აგრარული სექტორი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ყველაზე მეტად საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერასა და სახელმწიფო ჩარევას. სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მხარდაჭერის ქვეშ მოიაზრება მეცნიერულად დასაბუთებული საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური, ფინანსური და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთობლიობა დადგენილი სახელმწიფოს მიერ აგრარულ სექტორზე აქტიური ზეგავლენის მიზნით, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სოფლის განვითარების ხელშეწყობას.

ბიუჯეტური დაფინანსება და საბიუჯეტო მხარდაჭერა წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის შემადგენელ ნაწილს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში აგრარული სექტორის საბიუჯეტო დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამორჩება თვითდაფინანსებას. საქართველოში აგრარულ-სექტორის

საბიუჯეტო დაფინანსება ხორციელდება სუბსიდიების (ყურძენი, ხილი), დოტაციების (ციტრუსი, ხილი) სახით. სუბსიდია წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს, განკუთვნილს სხვადასხვა დონის საბიუჯეტო სისტემისათვის, ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის მათი მიზნობრივი ხარჯების დაფინანსებისათვის [8; 15]. დოტაცია განკუთვნილია ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივ ფინანსურ რესურსებს განკუთვნილს ორგანიზაციებისათვის. რომელთა საქონლის წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები აღემატება მათ შემოსავლებს. გარდა საბიუჯეტო სახსრებისა სახელმწიფო მხარდაჭერაში ასევე შედის სხვადასხვა დონისძიებები, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. პრაქტიკაში სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება არამარტო მიზნობრივი საბიუჯეტო თანხებით, არამედ არაპირდაპირი დონისძიებებითაც, ამ დროს საბიუჯეტო სახსრები ატარებენ სტიმულირების ხასიათს. მას განკუთვნილია რესტრუქტურირაცია, საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება, ტექნიკის ლიზინგი, დაზღვევა და სხვა. არასაბიუჯეტო მხარდაჭერის ფორმებს განკუთვნილია ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირება, საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვა.

დღეისათვის აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ფორმებით:

- საბიუჯეტო სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე;
- სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შეღავათიანი დაკრედიტება (შეღავათიანი აგროკრედიტი);
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სანაშენე პირუტყვის ლიზინგი საბიუჯეტო სახსრებით;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და სურსათის სახელმწიფო შესყიდვები;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის

მხარდაჭერა;

- შეღავათები გადასახადებზე;

- ბიუჯეტის მიმართ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ვალდებულებების რესტრუქტურირება;

- საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსება;

- აგრარული მეცნიერების მხარდაჭერა.

საქართველოს მთავრობის მიერ დამუშავებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020". [9; 29] "სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წ.წ." [10; 36]. მსოფლიო საბაზრო აგრარულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ორი მიმართულება: ჩრდილოამერიკული და დასავლეთ ევროპული [11; 56] პირველ მიმართულებას მიეკუთვნებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების და სურსათის ძირითადი ექსპორტიორები (კანადა, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია), მეორეს მიეკუთვნებიან დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია. სახელმწიფო რეგულირების დასავლეთ ევროპული სისტემა მიმართულია შიდა წარმოების და იმპორტმემცვლელი პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების სტიმულირებისაკენ, რომელიც ასევე აქტუალურია საქართველოსთვის. პირველი მიმართულების მოდელში შემავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებითა სახელმწიფო მხარდაჭერა ეფუძნება გარანტირებულ ფასებს, ხოლო მეორეში შემავალის კი ეფუძნება ფერმერთა დოტაციას პროდუქციის წარმოებისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები მიმართულია პირველ რიგში არა წარმოების, არამედ მწარმოებელთა შემოსავლების დონის მხარდაჭერის სტიმულირებისაკენ, ასევე სტრუქტურული, სოციალური და რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ წარმოებასთან, მაგრამ უზრუნველყოფს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ეს პრინციპი უდევს

საფუძვლად ევროკავშირის ქვეყნების აგრარულ პოლიტიკას. ევროკავშირის ერთიან აგრარულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს სოციალური მიმართულება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისათვის, რადგან პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდიები წარმოადგენენ ერთგვარ ფორმას სოციალური უზრუნველყოფისა. (იხ. ცხრილი 1). დღეისათვის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში აგრარული პოლიტიკის ძირითად შემადგენელს წარმოადგენს აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სუბსიდიებით, დოტაციებით და შეღავათებით. სოფლის მეურნეობაში გაწეული ფინანსური დახმებები 1,5-2,0-ჯერ აღემატება ამ პროდუქციის საბაზრო ღირებულებას. ევროკავშირის ქვეყნებში ფერმერების მიერ წარმოებულ სასაქონლო პროდუქციის ღირებულებაში სუბსიდიებმა შეადგინა 45-50%. იაპონიასა და ფინეთში 70%. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და სურსათის წარმოების გადიდებაში მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტი ქვეყნებში, როგორცაა აშშ-ში, კანადა და ევროკავშირი.

ცხრილი 1

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი მოდელები

| მოდელი            | მექანიზმის არსი  | ცვლილებები მექანიზმის მიმართულებებში   |
|-------------------|--|--|
| ჩრდილო ამერიკული  | ფერმერებისათვის დგინდება გარანტირებული ფასები პროდუქციაზე და უზრუნველყოფენ საჭიროების შემთხვევაში ამ ფასებით პროდუქციის შესყიდვას                                      | საბიუჯეტო გადახდები დიფერენცირდება ფერმერების შემოსავლების მიხედვით  |
| დასავლეთ ევროპული | ფერმერებისათვის დოტაციის გადახდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციაზე წარმოებს დადგენილი ქვოტის ფარგლებში, ხოლო ქვოტის ზემოთ წარმოებულ პროდუქციაზე დოტაციის გაცემა არ ხდება | ფერმერებისათვის საბიუჯეტო სახსრების განაწილება ხორციელდება, მათი მიწის ფართობის და ბუნებრივი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით |

სოფლის მეურნეობის პირდაპირი მხარდაჭერა გადახდებით ხორციელდება ეკონომიკური თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში, მაგრამ მისი სტრუქტურა და დონე მკვეთრად დიფერენცირებულია. ასე მაგალითად, სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ხარჯების სტრუქტურაში პირდაპირი გადახდები ყველაზე მაღალია ნორვეგიაში, აშშ-ში, ავსტრალიაში. დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნებში, ხარჯების სტრუქტურებში ყველაზე დიდი ნაწილი მოდის მემცენარეობის დარგზე. ხოლო მეცხოველეობის დარგებში - ფინეთში, ნორვეგიაში, შვეიცარიაში. პირდაპირ გადახდებს აქვს ორი სახე: პირველი წარმოების შეწყვეტისათვის - კომპენსაციის სახით, და პირდაპირი გადახდები წარმოების არახელსაყრელი პირობებისათვის.

მეცხოველეობის დარგში პირდაპირი გადახდები დამახასიათებელია ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის. მათი გადახდა ძირითადად ხორციელდება სამოვრების, პირუტყვის სულადობის და წარმოების ცუდი პირობების გამო. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი პირდაპირი გადახდები დაკავშირებულია წარმოების პირობებთან, მით უფრო მეტი ეფექტი მიიღწევა მათი ზემოქმედებით.

დღეისათვის ფერმერულ მეურნეობებში დანახარჯების სუბსიდირებისათვის მრავალ ქვეყანაში პირველ რიგში წარმოდგენილია გადახდები საბანკო კრედიტების დასაფარად, დამწყები ფერმერებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც წარმოებას უძღვებიან არასასურველ გარემო პირობებში. ბიუჯეტის ხარჯები ასევე მიმართულია ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილებისათვის, მიწების მელიორაციაზე, სოფლის ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდირების პოლიტიკაში სერიოზული ცვლილებები შეიტანა ურუგვაის GATT რაუნდმა, ამ რაუნდზე წარმოების ხარჯების სუბსიდირება მიჩნეული იქნა რეალური ფასწარმოქმნის პროცესის დამახინჯებად. მაგრამ ვმო-ს წესები არ ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბუნებრივი ეკონომიკური პირობების განსხვავებებს [12].

სოფლის მეურნეობის პირდაპირი სუბსიდირების ერთ-ერთი მთავარი



ამოცანა არახელსაყრელი კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში მყოფ რეგიონებში მწარმოებელთათვის გადახდების განხორციელება. ამის ნათელი მაგალითია ჩრდილოეთის ქვეყნები ფინეთი, ნორვეგია, ისლანდია. ფინეთში მეურნეობები, რომლებიც განლაგებულია ჩრდილოეთ განედის 62<sup>0</sup> ზევით სახელმწიფო უხდის მწარმოებლებს გადიდებულ სუბსიდიებს ჰექტარზე და სულადობაზე. ნორვეგიაში უზარმაზარი სახსრები ხმარდება ფერმერების მხარდაჭერას. დღეისათვის ერთ დასაქმებულზე თვეში ხდება 4 ათას ევრომდე სუბსიდიის და დოტაციის გადახდა. ანალოგიური სუბსიდიები დაწესებულია სხვა ქვეყნებში, როდესაც ფერმერი ცხოვრობს და მუშაობს არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში და არ ტოვებს საკუთარ ფერმას. კომპენსაციის გადახდის ასეთი მიდგომები მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ამიტომ საქართველოს შეუძლია ამ კუთხით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება.

ამრიგად სახელმწიფო მხარდაჭერა განხილული უნდა იქნას როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხარჯების კომპენსაცია სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაჭრისათვის, მოსახლეობის დასაქმებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენებისათვის, აგროლანდშაფტის მხარდაჭერისათვის და სხვა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო ქმნის სოფლის მეურნეობაში ეკონომიკურ პირობებს აღწარმოებისათვის. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში აღწარმოების პროცესი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, მართალია ამ ქვეყნებში ასევე შეინიშნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჭარბწარმოება და სახელმწიფო აქტიურად ახორციელებს ღონისძიებებს მისი დამღვეისთვის სამწუხაროდ საქართველოში სოფლის მეურნეობის აღწარმოების მხარდაჭერის პოლიტიკა განსხვავდება განვითარებული ქვეყნების პოლიტიკისაგან და ხშირად მხარდაჭერა ჩვენთან ორიენტირებულია მაღალრენტაბელურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე, ხოლო სუსტი საწარმოები მოკლებულნი არიან სახელმწიფო მხარდაჭერას, მხარდაჭერის არსებული ღონისძიებები ჩვენ ქვეყანაში ვერ ქმნიან ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ეფექტიანი გამოყენების პირობებს

დაბალშემოსავლიანი მეურნეობების განვითარებისათვის.

აგრარული სექტორის აღწარმოების პროცესის გეგმაზომიერი და სტაბილური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას და დღეისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ქვეყნის მოქალაქეებისათვის ბაზარზე ხელმისაწვდომი და უვნებელი სურსათის მიწოდება. ამ პრობლემის მოგვარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარული სექტორის საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. ქვეყანაში მომგებიანი საექსპორტო სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად ფერმერულ მეურნეობებში არსებული საწარმოო დანადგარები და აღჭურვილობა არაეფექტიანი და მოძველებულია.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღწარმოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარკვეული საქონლის გასაღების ახალი ბაზრების მოძიება, სწორედ სოფლის მეურნეობის მარკეტინგის სტრატეგიამ უნდა განსაზღვროს ბაზრების ის ნიშა, სადაც არსებობს ქართული პროდუქციის გასაღების რეალური შესაძლებლობა [13; 81].

ქვეყნის კონკურენტუნარიანი აგრარული სექტორის ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტს კლასტერების ჩამოყალიბება წარმოადგენს. მაიკლ პორტერის ნაციონალური, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორიაში წამყვანი როლი სწორედ კლასტერებს ეთმობა [14; 408]. კლასტერი არის გეოგრაფიული ნიშნით კონცენტრირებული, ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, სპეციალიზირებული მიმწოდებლების, შესაბამისი დარგების ფორმების ჯგუფები, განსაზღვრულ სფეროებში კონკურენტი, მაგრამ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული და ერთობლივად მომუშავე ორგანიზაციები. კლასტერი დამახასიათებელია ყველა ნაციონალური და რეგიონული ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში.

ქვეყნის აგრარულ სექტორში კლასტერების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები კარგადაა წარმოდგენილი მე-6 სქემაზე. მეტად მნიშვნელოვანია

კლასტერების განვითარება სოფლის მეურნეობის კუთხით. კლასტერები მეტწილად მოიცავს მზა პროდუქციის კომპანიებს ან მომსახურე (სერვისულ) კომპანიებს, საფინანსო ინსტიტუტებს, ფირმების შესაბამის დარგში.


მსოფლიო ბაზარზე ქართულ პროდუქტს ინდუსტრიული აგროწარმოების დაბალფასიან, სუბსიდირებულ პროდუქციასთან უწევს კონკურენცია. საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგი და კარგი კლიმატური პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად, ამიტომ სახელმწიფო თავისი ეკონომიკური ბერკეტებით აქტიურად უნდა ახორციელებდეს სოფლის მეურნეობის აღწარმოების სტიმულირებას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსური საქმიანობა დამოკიდებულია პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე, რომელიც მიიღწევა წარმოებაში თანამედროვე რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის გამოყენებით, მაგრამ საწარმოთა უმრავლესობა დაბალი შემოსავლების გამო ხელი არ მიუწვდება თავისუფალ ფინანსურ რესურსებზე. ამიტომ სახელმწიფომ აღწარმოების პროცესის რეგულირების მიზნით უნდა განახორციელოს ფონდების ფორმირება, რომლითაც უნდა შექმნას სოფლის მეურნეობაში სასურველი ეკონომიკური გარემო, რათა უზრუნველყოს პირობები გაფართოვებული აღწარმოებისათვის.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებასა და საწარმო ძალების განვითარების კვალობაზე სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილოს იკავებენ დარგები, რომლებიც პირდაპირ არ მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესში, მაგრამ არაპირდაპირი არხებით გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის წარმოების პროცესზე და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეები სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან ისეთ მომსახურებაზე, როგორცაა მანქანა-დანადგარების რემონტი, სამელიორაციო ნაგებობების მომსახურება, აგრო-ზოოვეტერინალური და სხვა მომსახურება.

სოფლის მეურნეობის საწარმოო ინფრასტრუქტურა მოიცავს ტრანსპორტის ყველა სახეს, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და

სამაცივრო მეურნეობას. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებითად იცვლება ინფრასტრუქტურის დარგები და ცალკე აღებული მომსახურე საწარმოების ფუნქციები. ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად ზრდის სოფლის მეურნეობის აღწარმოებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ფულად-მატერიალურ და შრომით დანახარჯებს წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.



სქემა 6. აგროსექტორის კონკურენტუნარიანობის გამსაზღვრელი გარემო  
 ცხრილი 2  
 სოფლის მეურნეობის აღწარმოების კვლევის აღიარებული მეთოდები

| დასახელება   | შინაარსი   |
|--------------|--|
| 1            | 2  |
| დაკვირვება   | კვლევის საგნის უშუალო აღქმა  |
| შედარება     | ეკონომიკური ანალიზის ობიექტებს შორის მსგავსების და განსხვავების დადგენა                |
| ანგარიში     | კვლევის ობიექტის რაოდენობრივი მახასიათებლების ანგარიშით დადგენის პროცესი               |
| გაზომვა      | სხვადასხვა სიდიდეების გაზომვა და შედარება ეტალონურ მაჩვენებლებთან                      |
| ექსპერიმენტი | წარმოდგენილი ჰიპოთეზების პრაქტიკული შემოწმება  |
| განზოგადება  | საერთო ცნების განსაზღვრა, რომელთანაც კონცენტრირდება კვლევის ობიექტის ძირითადი შინაარსი |

|               |   |
|---------------|---|
| ანალიზი       | საკვლევი ობიექტის დაყოფა ცალკეულ საანალიზო ნაწილებად  |
| სინთეზი       | საკვლევი საგნის შესწავლა, როგორც ერთიანი მთლიანის, მის შემადგენელ ნაწილებთან ერთად ან მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებით |
| ინდუქცია      | ერთეული მსჯელობა საერთო წესის დადგენისაკენ  |
| დედუქციაცია   | საერთო წესებიდან კონკრეტული წესის დადგენა   |
| რანჟირება     | საგნის ძირითადი ფაქტორების გამოყოფა და არაძირითადის გამორიცხვა  |
| აბსტრაგირება  | საგნის არსებით თვისებებზე კონცენტრირება და მისი საწარმოო კავშირებიდან ჩამოშორება  |
| კონკრეტიზაცია | კვლევის ობიექტის თვისებების და ურთიერთკავშირის რეალური ცნების გამოკვეთა   |
| ფორმალიზაცია  | საკვლევი ობიექტის არსის გამოკვეთა ფორმულების, ნიშნებისა და სიმბოლოების საშუალებით   |
| მოდელირება    | კვლევის ობიექტის თვისებების კვლევა მოდელების ფარგლებში, რომელიც ადარებს ორიგინალის ნიშანთვისებებს                             |

ამ მეთოდების გამოყენება საშუალებას გვაძლევს სოფლის მეურნეობის აღწარმოების პროცესის კვლევისას ერთმანეთს დაუკავშიროთ საკვლევი ობიექტის შესახებ თეორიული მსჯელობა და შემუშავებული რეკომენდაციები, რომელთაც გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის თეორიული დონე ითვალისწინებს ისეთი წესების გამოყენებას, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ ცნება და შევიმუშაოთ აზრობრივი დასკვნები აბსტრაგირების, ფორმალიზების, ანალიზის, სინთეზის, დედუქციის და ანალიტიკური მასალის განზოგადების საფუძველზე. მასთან შედარებით ანალიზის ემპირიული დონე საჭიროებს წესების გამოყენებას, რომლებიც კონკრეტულად დაკავშირებულნი არიან საკვლევ პროცესთან ჰიპოთეზის ფორმირების ეტაპზე დაკვირვების, შედარების, ანგარიშის და გაზომვის საშუალებით.

ამავე დროს სამეცნიერო კვლევის თეორიულ და ემპირიულ შემადგენლებს აქვთ საერთო მახასიათებლები, რომლებიც ხასიათდებიან ანალოგიის, იდეალიზაციის, მომავალი მოვლენების პროგნოზირების და ასევე სისტემური ანალიზის წარმოების საშუალებით (იხ. ცხრილი 3).

სოფლის მეურნეობის აღწარმოების ანალიზის  
თეორიული და ემპირიული შემადგენელი


| დასახელება           | შინაარსი   |
|----------------------|--|
| 1                    | 2  |
| ანალოგიის მეთოდი     | ობიექტების კვლევა სხვადასხვა მსგავსი ნიშანთვისებების საფუძველზე. მათი სხვადასხვა ნიშანთვისებების მსგავსება გვაძლევს საშუალებას გავაკეთოდ დასკვნა სხვა ობიექტებთან მსგავსებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან შესწავლილი. დასკვნების საიმედოობა ანალოგიის საფუძველზე, მით უფრო მაღალია, რაც უფრო ბევრი მსგავსი ნიშანთვისებები გააჩნიათ საკვლევ ობიექტებს. |
| იდეალიზაცია          | საკვლევი ობიექტების წარმოსახვითი კონსტრუირება. იდეალიზაციის პროცესში რეალურ ობიექტებს აშორებენ ფაქტიურად მათთვის დამახასიათებელ თვისებებს და ანიჭებენ სხვა თვისებებს   |
| პროგნოზირების მეთოდი | მომავალი სიტუაციის მეცნიერული განჭვრეტა, სუბიექტებს შორის არსებული ურთიერთობების სპეციალური განვითარების სცენარების განჭვრეტა  |
| აქსიომატური მეთოდი   | საკვლევი ობიექტების თეორიის აგება რაიმე დეტალების საფუძველზე, რომელიც მიიღება დასაბუთების გარეშე   |
| ჰიპოთეტური მეთოდი    | მეცნიერული ჰიპოთეზის შემუშავება და მისი შესწავლა და მისი რეალურობის დასაბუთება პრაქტიკული საქმიანობის პროცესში   |
| ისტორიული მეთოდი     | საკვლევი ობიექტების შესწავლა წარმოშობის, ჩამოყალიბების და განვითარების ქრონოლოგიურ პროცესში  |
| სისტემური მეთოდი     | ობიექტების კვლევა, როგორც რთული სისტემისა მრავალფეროვანი კავშირებით და ელემენტებით   |

აგრარულ სექტორში კვლევის ეს ხერხები და მეთოდები გვევლინებიან ინფორმაციულ მასალად სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული მეთოდები ავსებენ კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველებს სოფლის მეურნეობაში საბაზრო-ინსტიტუციონალური გარემოში, რომელშიც სახელმწიფოს მართვის ორგანოები ახორციელებენ მმართველობით ზემოქმედებას, სამეურნეო ხარჯების ფორმირების დონეზე.

აღნიშნული მეთოდების გამოყენება გვადლევს საშუალებას შევისწავლოთ სახელმწიფო და სამეწარმეო სტრუქტურების ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში, დროში და სივრცეში მათი ცვლილებების პროცესში. კონკრეტული ჰიპოთეზების და ემპირიული დასკვნების დასაბუთებისათვის მათი გამოყენება მიზანშეწონილია შემდეგი მეთოდოლოგიური მიდგომების დროს, რომელიც მოცემულია მე-7 სქემაზე.

არსებული მიდგომა აერთიანებს საერთო მეცნიერულ მეთოდებს კვლევის ამა თუ იმ დონესთან, რომელშიც:

- თეორიული დონე ეყრდნობა მეთოდებს, რომელიც საშუალებას გვადლევს გამოვიძიოთ და ჩამოვაყალიბოთ მსჯელობა, აზრი, თეორია და კანონზომიერებანი (ანალიზის და სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის განზოგადების და აქსიომატური მეთოდით);



სქემა 7. სოფლის მეურნეობაში ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური ანალიზის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები

- ემპირიული დონე საჭიროებს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოვლენის ან პროცესების ჰიპოთეზის ფორმირების პროცესთან (დაკვირვება, შედარება, გაზომვა);

- ემპირიულ თეორიული დონე ითვალისწინებს ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ფაქტების შერჩევა და მათი კლასიფიკაცია განვახორციელოდ ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის და დედუქციის, მოდელირების და სხვა მეთოდების საფუძველზე.

ამრიგად სოფლის მეურნეობის აღწარმოების განვითარების ხელშეწყობისათვის და სოფლად სოციალური გარემოს გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სტრატეგიას სწორად შემუშავებას და მის ცხოვრებაში გატარებას. ამ საქმეში სახელმწიფომ უნდა შეიტანოს თავისი მნიშვნელოვანი წილი სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით.

## **1.2. სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების თეორიული ასპექტები**

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელობის გათვალისწინებით, დღეისათვის კვლავ აქტუალურია სახელმწიფო მართვის და სამეწარმეო საქმიანობის რეგულირების საკითხები სოფლის მეურნეობაში და სახელმწიფოს ზეგავლენა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევაზე.

სასურსათო საქონლის წარმოების მატერიალურ-ნივთიერ ფაქტორად გვევლინება მემცენარეობასა და მეცხოველეობაში გამოყენებული შეზღუდული რესურსები, მკვლევართა უმრავლესობაც საკუთარ შრომებში მხარს უჭერენ მათი მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმის გატარების იდეის აუცილებლობას. ამასთანავე მათ მიერ სახელმწიფო რეგულირება გაცნობიერებულია როგორც, ფერმერული მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და მათთან ინტეგრირებულ სამეწარმეო



ფორმირებათა საქმიანობის მართვის ეკონომიკური კატეგორია. რეალობაში სახელმწიფო მართვა წარმოადგენს პირდაპირ და შუალედურ ზეგავლენას სოფლის მეურნეობის ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე. ამავე დროს რეგულირება წარმოადგენს არაპირდაპირი ზემოქმედების ბერკეტს კომერციული სტრუქტურების ფუნქციონირებაზე.

სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითად მეთოდებსა და ინსტრუმენტებს იმ საწარმოების მიმართ რომლებსაც გააჩნიათ სამეწარმეო სტატუსი მიეკუთვნება შემდეგი:

- სასურსათო საქონლის წარმოების ორგანიზაციაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არაპირდაპირი ზემოქმედება. [ 56 , 164 გვ.].

- სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობაზე სახელმწიფოს უშუალო ზეგავლენის მეთოდები; [ 59, 19 გვ.].

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერის ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს მათი შემოსავლების სხვადასხვა დონის გათანაბრებას; [ 54, 35 გვ.].

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის მარაგების ფორმირების ორგანიზაციული ინსტრუმენტები; [ 60, 8 გვ.].

- ხელისუფლების, საზოგადოების და ბიზნესის ურთიერთობის წარმატებული სამართლებრივი უზრუნველყოფა; [ 53, 432 გვ.].

- სამეწარმეო საქმიანობის სახელისუფლებო-რეგულირების არსის განსაზღვრისას ავტორთა უმრავლესობა მიიჩნევს მას ორგანიზაციულ ცნებად, რომელიც განსაზღვრავს წარმოების განვითარების პერსპექტივებს ეკონომიკის რეალურ სექტორში; [ 52, 140 გვ.].

წარმოდგენილი პოზიცია იმსახურებს მეცნიერულ აღიარებას რამდენადაც იგი ეყრდნობა ორგანიზაციულ მიდგომას საკვლევი კატეგორიის საფუძვლების განსაზღვრისას. ჩვენი აზრით, ერთის მხრივ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს ობიექტურად აუცილებელ პროცესს, რომელი დამატებით ავსებს მეურნეობათა თვითრეგულაციას, როგორც საწარმოო ისე სასურსათო საქონლის მიმოქცევის სფეროში. სამეწარმეო ორგანიზაციების ფინანსური

მდგრადობის ამალღებისათვის სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს სამეურნეო ხარჯების შემცირებას, რომელიც ფორმირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, სოფლის მეურნეობის სერვისული უზრუნველყოფის და სასურსათო პროდუქციის რეალიზაციის სფეროებში. გამომდინარე აქედან დასაბუთებულად გვესახება აგრარულ სექტორში სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების კატეგორიის განხილვა სახელისუფლებო ორგანოებსა და კომერციული ტიპის საწარმოებს შორის ურთიერთობა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, სურსათის წარმოების, გადამუშავების და რეალიზაციის კონტექსტში.

საბაზრო ინსტიტუციონალურ გარემოში აგრარული მეწარმეობის სისტემები, ფერმერული (გლეხური) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და კოოპერატივები ამყარებენ კომუნიკაციას შემდეგ ეკონომიკურ სუბიექტებთან:

- ხელისუფლების ცენტრალური, რეგიონული და მუნიციპალური ორგანოები;
- სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სამეწარმეო სტრუქტურების ფინანსურ დახმარებას ახორციელებენ;
- სალიზინგო კომპანიები, რომლებიც სოფლის მეურნეობის ბიზნეს სტრუქტურების ტექნიკურ აღჭურვას ახორციელებენ;
- საბანკო დაწესებულებები, რომლებიც უხსნიან საკრედიტო ხაზს სოფლად საკუთრების სხვადასხვა ფორმის მეწარმე სუბიექტებს;
- სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობაში სამეწარმეო რისკების დაზღვევას;
- ბიზნეს-სკოლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დახმარებას დამწყებ მეწარმეთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამალღებაში;
- აუდიტორული და კონსალტინგური ფირმები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოთა მიმდინარე საქმიანობას აუდიტს და უწყვენ მათ კონსალტინგურ და მარკეტინგულ მომსახურებას;
- ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებიც ახორციელებენ კადრების

მომზადებას ინოვაციური ფორმაციის მქონე სამეწარმეო სუბიექტებისთვის.

აღნიშნული კომუნიკაციის სახეები გადიან აგრარული სპეციფიკის სახეებიდან და გამოიყენება არამარტო სასოფლო-სამეურნეო სექტორში, არამედ წარმოების საშუალებათა ბაზარზე. იგი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ მმართველობითი ურთიერთობები ხელისუფლებასა და სამეწარმეო სტრუქტურებს შორის საწარმოო სივრცეში ერთ სიბრტყეზე. ასევე სახელმწიფო ზემოქმედების ასპექტში გადამამუშავებელი მრეწველობის და სავაჭრო საწარმოების ქცევაზე.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელისუფლების ორგანოების შუამავლობა გამართლებულია ფერმერული (გლეხური) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და კოოპერატივების ხარჯების მართვაში, თუ იგი ხელს შეუწყობს მათ ინიციატივას და სამეწარმეო ალღოს აქტივიზაციას. საბაზრო პირობებში აღნიშნული მონაწილეობა ეფუძნება ინსტიტუციონალურ ფორმებს ორგანიზაციათა ურთიერთობისა, რომლებიც ახორციელებენ მართვას მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურებას. ასეთი ურთიერთობის ფორმები პოულობს გავრცელებას მაკრო და მიკრო ეკონომიკურ დონეზე, რომლითაც ნათლად დასტურდება სადისერტაციო ნაშრომში საგნის და ობიექტის შერჩევის სისწორე.

მეცნიერთა ცალკეული ჯგუფი აიგივებს სახელმწიფო რეგულირების ობიექტს ცნებასთან "აგრომეწარმეობა" და "აგრობიზნესი", თუ ამ თვალთახედვას ჩავთვლით მისაღებად, მაშინ მივიღებთ, რომ სოფლის მეურნეობაში ბიზნესის განვითარებისთვის სახელმწიფო შემოიფარგლება ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მატერიალური დანახარჯების შემცირებას. პრაქტიკაში კი აგრარული სფეროს პროდუქციის დანაკარგების თავიდან აცილებისათვის და სასურსათო საქონლის ბრუნვის დაჩქარებისათვის ხელისუფლების ორგანოები საკუთარ ძალისხმევას მიმართავენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების სტრუქტურაში დამატებული ღირებულების შესამცირებლად.

ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ ფერმერული (გლეხური)

მეურნეობის და ბიზნეს სტრუქტურების კომერციული საქმიანობა, მოითხოვს არამატერიალური ხარჯების გაზრდას, რაც განპირობებულია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, კერძოდ მომხმარებელთათვის სასურსათო საქონლის მიწოდება მინიმალური დანახარჯებით დროში, მეწარმე სუბიექტებისაგან მოითხოვს ახალი ინსტიტუციურ ხელშეკრულებების გაფორმებას გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტებთან. ამდენად კომუნიკაციის დამყარება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის მყიდველებთან გვევლინება სამეწარმეო ორგანიზაციების ხარჯების ზრდის ძირითად წყაროდ. ამ დროს ხელისუფლების ორგანოების მმართველობითი ზემოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მეურნეობათა ქცევაზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ აგენტთა კონკურენტულ სტრატეგიათა გადახრის შეზღუდულობაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები ხშირად არღვევენ საკონტრაქტო ვალდებულებებს და უწყვეტად ზრდიან ფასებს საკუთარ მომსახურებაზე, სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს კონტროლი აგრარულ სექტორში პარტნიორებს შორის ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი კონტროლი ზღუდავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მიმოქცევის ხარჯებს და უზრუნველყოფს მზა პროდუქციის დაჩქარებულ გადაადგილებას მომხმარებელთან.

სასოფლო-სამეურნეო აღწარმოების სისტემაში სახელმწიფო რეგულირება კანონზომიერია განვიხილოთ, როგორც ურთიერთობა მართვის პროცესში ხელისუფლების ორგანოების, ფერმერული (გლეხური) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და კორპორაციულ ბიზნეს-სტრუქტურებთან, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, პირველ რიგში საწარმოო და სავაჭრო პროტექციონიზმის ინსტრუმენტების ადეკვატურ შერჩევაზე. მისი განხორციელების დროს სახელმწიფო ზრდის

ეფექტიან ურთიერთზემოქმედებას სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო საწარმოებზე პარტნიორული მხარდამჭერი და ორგანიზაციულ-გამკარგულებელი მეთოდების გამოყენების ხარჯზე.

აღნიშნული ინსტრუმენტარია წარმოადგენს საფუძველს სახელისუფლებო სტრუქტურების არაპირდაპირი ზემოქმედებისა სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოების და გასაღების ორგანიზაციაზე. მისი გამოყენება ნათლად მოწმობს იმაზე, რომ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ არაპირდაპირი მონაწილეობის მიღება სამეურნეო ხარჯების ფორმირებაში, აგრარული სექტორის წარმოებასა და სასურსათო საქონლის მიმოქცევის სფეროში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში სახელმწიფო პროდუქციონიზმის საფუძველს შეადგენს შემდეგი ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეწარმეთათვის და საწარმოებისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევას, პირდაპირი გადახდები გაანგარიშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და პირუტყვის სულადობაზე, წარმოების საშუალებების შესაძენად საპროცენტო განაკვეთებს სუბსიდირება და სხვა ეკონომიკური ინსტრუმენტები.

სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს დამატებული ღირებულების შემცირებას აგრარული სფეროს პროდუქტების ფასების სტრუქტურაში, რომელიც მიიღწევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელ საწარმოებზე ზემოქმედების ხარჯზე. გადამამუშავებელი საწარმოების მოდელირების და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გადამამუშავებელი და სავაჭრო საწარმოები, ისე როგორც აგრარული სფეროს, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ორგანიზაციები, ურთიერთობაში არიან საგადასახადო სამსახურებთან, ბანკებთან, საბაჟო სამსახურთან, პროდუქციის სერტიფიცირების და ლიცენზირების ორგანოებთან, მათ შორის

ურთიერთობაც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მიმოქცევის ხარჯების შემცირებისაკენ. ეს გარემოება ნათლად მიუთითებს მათ შორის ურთიერთობის განვითარებისა და სტიმულირებაზე, რათა დროულად გადაიჭრას წამოჭრილი საფინანსო და სამეურნეო საკითხები. ეკონომიკური მოტივაციის არ არსებობა სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკისათვის და ასევე ეკონომიკური ინტერესების დაუბალანსებლობა მიგვანიშნებს სახელმწიფოს მონაწილეობის გააქტიურების საჭიროებაზე, მათთვის მატერიალურ და არამატერიალურ მომსახურების გაწევისას. სასურსათო საქონლის ბაზრის თვითრეგულაციის კონცეფციის აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ კანონზომიერად დავსვათ საკითხი და დავეყრდნოთ მხოლოდ წმინდა საბაზრო მოდელებს. ისე როგორც სახელმწიფოს პირდაპირ ზემოქმედებას სოფლის მეურნეობის ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე. ამ კუთხით სოფლის მეურნეობაში სამეწარმეო საქმიანობაზე ზეგავლენა მდგომარეობს იმის აღიარების პერსპექტივაში, რომ სახელმწიფომ ცალმხრივად სახელისუფლებო სტრუქტურების ცვლილებით უნდა მოახდინოს ზეგავლენა აგრარული სფეროს პროდუქციის წარმოებაზე. [54, 261 გვ.]

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსური არამდგრადობა, რომლებიც ფუნქციონირებენ არაკეთილსაიმედო ეკონომიკურ პირობებში, გვევლინება წინაპირობად მათი მაქსიმალური ან მინიმალური მხარდაჭერის საფუძვლად. ეს სტრუქტურები საჭიროებენ სახელმწიფოსაგან ეფექტურ ურთიერთობას, რომელიც მხარდაჭერილია მათი მაღალი დონის მატერიალური და მიმოქცევის ხარჯებით, არსებობის თვალსაზრისი მეურნეობათა თვითგანვითარების შესახებ, მათი განსხვავებული სპეციალიზაცია შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ თეორიულ მსჯელობაში. მათი რესურსების შეზღუდულობას არ შესწევს უნარი უზრუნველყოს მეწარმე სუბიექტების მდგრადობა მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში.

მთლიანობაში სახელმწიფო პროტექციონიზმის ინსტრუმენტების და მიმართულებების არჩევა მეწარმე სუბიექტებისათვის დამოკიდებულია

მეურნეობათა ფინანსურ მდგომარეობაზე ანუ მათი თვითრეგულირების პოტენციალზე. გაფართოვებულ კვლავწარმოების მოთხოვნის პირობებში სახელმწიფო ხარჯებს არ უნდა ჰქონდეს ნულოვანი დონე, როგორც ამას აღიარებენ ცალკეული მკვლევარები. [49, 115 გვ.]

აგრარულ სექტორში სახელმწიფო რეგულირების კომპლექსური დასაბუთებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ ხელისუფლებისა და სამეწარმეო სტრუქტურების ურთიერთობის პრინციპები. მოცემულ ასპექტში მათი საფუძველი ეყრდნობა:

- გარკვეული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების სტიმულირებას, რათა მიღწეული იქნეს სახელმწიფოს სასურსათო უზრუნველყოფა;

- თანმდევი ეკონომიკური პირობების შექმნა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მთლიან რაოდენობას საშუალებას მისცემს განახორციელონ გაფართოვებული კვლავწარმოება;

- საკვები პროდუქტების ეკონომიკურობის ამაღლებას, თვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს შორის. [51.48 გვ.]

განსახილველ პრინციპებს ასევე შესაძლებელია მივაკუთვნოთ:

- აქტიური სავაჭრო პოლიტიკის წარმოება, რომელიც მოიცავს შიდა ინსტიტუციური გარემოს ადმინისტრირებას;

- აქციზების, ტარიფების, გადასახადების და ანტიმონოპოლიურ კონტროლს სასურსათო საქონლის ფასებზე;

- მოქნილი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის წარმოება, მიმართული ერთის მხრივ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში თანდათანობით შესვლაში, მეორეს მხრივ კი ეროვნული ეკონომიკის "ზრდის წერტილების" დაცვა იმ დონემდე, სანამ ისინი არ აღმოჩნდებიან მსოფლიო ბაზარზე წარმატებულ კონკურენტულ მდგომარეობაში. [58, 178 გვ.]

წარმოდგენილი პრინციპები გვევლინებიან სახელმწიფოს არაპირდაპირი მონაწილეობის ობიექტურობის აუცილებელ დასაბუთებად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების ორგანიზაციაში, მის

სამრეწველო გადამამუშავებაში და მზა პროდუქციის მომხმარებელამდე მიტანაში. ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფო რეგულირების შესახებ წარმოდგენის ფორმირებას აგრარულ სექტორში, როგორც ურთიერთობათა მართვისა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა, გადამამუშავებლებსა და სავაჭრო საწარმოებს შორის.

ხელისუფლების ორგანოების მმართველობით ზემოქმედება მიმართული ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ, არ ზღუდავს მეურნეობათა ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და აძლევს მათ საშუალებას გადაჭრან საწარმოო და კომერციული ამოცანები მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. ისინი ხელს უწყობენ სამეწარმეო აქტივობის დონის ზრდას მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში, იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო საქონელ-მწარმოებელთა მატერიალური და მიმოქცევის ხარჯების მინიმიზაციას.

### **1.3. აგრარული მეწარმეობის პოტენციალის თვითრეგულირების თეორიული საფუძვლები**

ეკონომიკური ლიტერატურის გაცნობის შედეგად ნათელი ხდება, რომ მეურნეობათა თვითრეგულირების პოტენციალის გაზომვა ძირითადად განისაზღვრება მათი სამეურნეო საქმიანი მაჩვენებლების შეფასებით, მეცნიერ ეკონომისტთა გარკვეული კატეგორია მას აფასებს მემცენარეობასა და მეცხოველეობაში საწარმოო დანახარჯების გამოვლენის საფუძველზე. მაგრამ ასეთი მიდგომა არ სცილდება ნედლეულის ზონებს და არ ითვალისწინებს ხარჯებს რომელიც ფორმირდება სოფლის მეურნეობის პროდუქციას რეალიზაციის სფეროში.

ჩვენი აზრით პერსპექტივაში სოფლად არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში სამეწარმეო სტრუქტურებს ფუნქციონირებისას გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონელმწარმოებლების მატერიალური და მიმოქცევის ხარჯები, მათი შეფასება ახასიათებს ინდივიდუალური და საოჯახო ფერმების, სასოფლო-



სამეურნეო კოოპერატივების, აგროფირმების, აგროკომბინატების ფაქტიურ მოთხოვნებს სახელმწიფო რეგულირების ამა თუ იმ ინსტრუმენტების პირობებში. ამოსავალ ელემენტს წარმოადგენს მატერიალური დანახარჯები, რომელიც ყალიბდება ნედლეულის და მასალების, სათბობის და ელექტრო ენერჯის მოხმარების პროცესში. ამ დანახარჯების ცვლილებები დინამიკაში ნათლად მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსურ მდგომარეობაზე და მათ კონკურენტუნარიანობას საკუთრების მრავალფეროვნების პირობებში.

მთლიანობაში მაჩვენებლები, რომლითაც განისაზღვრება ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ფინანსური მდგრადობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კოოპერატივების და ბიზნეს ფორმირებათა დანახარჯები საბაზრო-ინსტიტუციონალურ გარემოში დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებასთან. ეს კრიტერიუმი წარმოადგენს განმსაზღვრელს ღირებულებით სიდიდეთა სისტემას, რომელიც მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო სექტორში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მდგომარეობას. მასში აისახება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დანახარჯები ნედლეულის წარმოებაზე, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ნამატი პროდუქტი, რომელიც იქმნება გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში და ვაჭრობაში. მისი საშუალებით ხდება სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობის შეფასება სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ზონებში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პოტენციალის თვითრეგულირების მახასიათებლად დანახარჯების მაჩვენებლის გამოყენების მიზანშეწონილობაზე მიუთითებს მისი შემადგენელი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შესადარისობა. [59, 90გვ.] იგი საშუალებას გვაძლევს ღირებულებით გამოსახულებაში შევადაროთ და მოვახდინოთ იდენტიფიცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა გაწეული მატერიალური დანახარჯებისა ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, სათბობ-საცხები მასალების, სასუქების და შხამ-ქიმიკატების შესაძენად.

აღნიშნული დანახარჯები ასახვას ჰპოვებენ აგრარული სფეროს

პროდუქციის თვითღირებულებაში და განიცდიან ცვლილებას წარმოების საშუალებებზე საბაზრო ფასების შესაბამისად, მათი საბაზრო დარგებში მოხმარების შესატყვისად. რამდენადაც სოფლის მეურნეობაში მოქმედ სხვადასხვა სამეწარმეო სტრუქტურათა კაპიტალურ დაბანდებათა შესაძლებლობა შეზღუდულია, მათი თვითრეგულირების პოტენციალის გაზომვისათვის მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ერთდროული საექსპლუატაციო და მეწარმე სუბიექტების კაპიტალური ხარჯების თანაფარდობის განსაზღვრა.

ამ დროს შეუძლებელია უგულებელვყოთ ის ფაქტი, რომ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძირითადი მიზანი, ისე როგორც ინტეგრირებულ ბიზნეს ფორმირებათა მიმართულია ადგილობრივ (შიდა) ბაზარზე მყარი პოზიციის მოპოვებისაკენ და ამ ბაზარზე მათი მდგომარეობის და ფუნქციონირების პერსპექტივისათვის გასათვალისწინებელია აგრარული სფეროს პროდუქციის რენტაბელობა.

აგრარული სფეროს პროდუქციის რენტაბელობის დინამიკის განსაზღვრა არსებულ ფასების დისპარიტეტის პირობებში, რომელიც ზემოქმედებს ფერმერული (გლეხური) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე, მეცნიერ-ეკონომისტებს აძლევს შესაძლებლობას მათი პერსპექტივის შეფასებისა. ხოლო მისი ანალიტიკური შეფასება ხელს უწყობს "საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შუალედური და საბოლოო შედეგების" გაზომვას. [56,172გვ.]. აღნიშნულ შემთხვევაში ეკონომიკური მეცნიერება მოწოდებულია შეიმუშაოს მეწარმე სუბიექტებისათვის მატერიალური დანახარჯების მინიმიზაციის მისაღები წესები. რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ხელისუფლების ორგანოებს რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში, და მიმართული იქნება მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში სამეურნეო მიმზიდველობისკენ. სახელმწიფო პროტექციონიზმი მართლზომიერად უნდა ეფუძნებოდეს იმ მეურნეობათა პერსპექტიულ სტიმულირების კონცენტუალურ საფუძვლებს, რომლებიც საკუთარ სამეწარმეო საქმიანობაში იყენებენ ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და

კომპეტენტურ კადრებს.

მეწარმეობის სახელმწიფო პროტეციონიზმის მიმართულების დასაბუთებისას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა მიზანშეწონილია გაითვალისწინონ არა ნებისმიერი, არამედ აუცილებელი სამეურნეო ხარჯები, ანუ დანახარჯები რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულ მეწარმეებს საშუალებას მისცემს სამეწარმეო საქმიანობა გააგრძელონ გაფართოვებული კვლავწარმოების საფუძველზე. ეკონომიკურ სუბიექტთა მატერიალური დანახარჯები, რომლებიც ახორციელებენ სასურსათო საქონლის ღირებულებათა ფორმირებას, უნდა გვევლინებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ყურადღების საგნად. ყოველივე ეს ნათლად მიანიშნებს, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს სახელმწიფოსა და მეწარმე სუბიექტების კომუნიკაციის პროცესში განვითარების ჰორიზონტალური ვექტორის გამოყენებით და თანამდებობის პირებს არ უნდა მიეცეთ უფლებამოსილება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალო მონაწილეობის (ჩარევის).

მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში სამეწარმეო აქტივობის სტიმულირების მიზნით იძლევა შედარებით მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს, მაშინ როდესაც ისინი ეფუძნებიან ობიექტურ და დროულ ინფორმაციას. მის შემადგენლად ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობებში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში გვევლინება მატერიალური დანახარჯების რეტროპექტრული მნიშვნელობა, რომელიც ფორმირდება მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში. მათი შეფასება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ფაქტიური მოდელური მონაცემები აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების დაგეგმვისას, კერძო და კოოპერაციული საკუთრების ფორმების თვითრეგულირების განხორციელების პროცესში.

სოფლად სამეწარმეო ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის განსაზღვრის ძირითად წესად შესაძლებელია მოგვევლინოს მეცნიერული შედეგების შემდეგი ინსტრუმენტები:

- საწყისი წმინდა დროითი მწკრივების ლინგვისტურ მწკრივებად გარდაქმნის მეთოდი;


- საძიებო პროგნოზის მიღების მეთოდი, რომელიც გამოიყენება სამი სახით (ლინგვისტური არაზუსტ სიმრავლეთა  $in+b$ , არაზუსტი სიმრავლეში და რიცხვითი მნიშვნელობა  $Z^0+I$ , სადაც  $I$  და  $Z$  წარმოადგენს ბიზნეს-სტრუქტურების წმინდა შემოსავლის მნიშვნელობას დროებით და ლინგვისტური მწკრივების ფარგლებში);

- ზემოთაღნიშნული პროგნოზის ვერიფიკაციის და ვალიდაციის მეთოდები, რომლებიც მოიცავენ შეფასებას გადახრისა, როგორც რიცხვითი მნიშვნელობით ისე ლინგვისტურ არაზუსტ სიმრავლით.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის და ბიზნეს-სტრუქტურებისათვის სახელმწიფოს მხრიდან მატერიალური დანახარჯების შევსებისათვის სახელმწიფო ხარჯების პროგნოზირების პროცესში გეგმაზომიერია, რომ იგი ეყრდნობოდა მოცულობის განსაზღვრას მაქსიმალურ (პარტნიორულ), კერძო (ნახევრად პარტნიორულს) და მინიმალურს პროტექციონიზმს. ასეთი მიდგომა აიხსნება აუცილებლობით პარტნიორულში (50 პროცენტის) და ნახევრად პარტნიორულში (25 პროცენტის) სახელმწიფოს ფინანსური მონაწილეობით სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაციაში. სოფლად მემცენარეობისა და მეცხოველეობის სამეწარმეო სტრუქტურებში სახელმწიფო პროტექციონიზმის მინიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს ეკონომიკური სუბიექტების მატერიალური დანახარჯების 5-10%.

აღნიშნული დანახარჯების აუცილებლობის დადგენისათვის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ეყრდნობა ინსტიტუციონალურ და ევოლუციურ ეკონომიკურ თეორიის მეთოდოლოგიას, რომლის თანახმადაც მიმოქცევის ხარჯები მიკუთვნებულია სასურსათო საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებათა განხორციელების ეტაპს. ქვემოთ მოტანილი მე-8 სქემა გვიჩვენებს, რომ საქონლის მიმოქცევის სფეროში სამეწარმეო ორგანიზაციების დანახარჯების სტრუქტურაში მიმოქცევის ხარჯების ფორმირება ხდება აგრარულ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის

შესწავლის და ინფორმაციის მოპოვების, ასევე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და რეალიზაციით დაკავებულ ორგანიზაციებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესრულების პირობებთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.



სქემა 8. ტ. ეგერტსონის მიხედვით მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურა საქონლის მიმოქცევის სფეროში . [40, 79 ცვ. ]

ტ. ეგერტსონის აზრით დანახარჯები რომლებიც დაკავშირებულია ბაზრის კონიუნქტურის, ფასების და პირველადი საჭიროების საქონლის მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებასთან, გააჩნიათ ზრდის პერსპექტივა. ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიმოქცევის ხარჯები ფორმირდება სასაქონლო ბაზრებზე და იცვლება სამეწარმეო სტრუქტურების დანახარჯების მიხედვით ბაზარზე საქონლის რეკლამირებისა და სამომხმარებლო მოთხოვნის შესწავლის მიხედვით.

მათი რეალიზაცია ხორციელდება მოლაპარაკებების წარმოებისას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და ამ უკანასკნელ ეკონომიკურ აგენტებს შორის: ამ მიზნით პ. მილერომის და ჯრ. რობერტის მიმოქცევის ხარჯების სტრუქტურაში, რომელიც მოცემულია ქვემოთ მოტანილ მე-9 სქემაზე ნაჩვენებია სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების დანახარჯების თავისებურებანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და სურსათის რეალიზაციის სექტორში.



სქემა 9. პ. მილერომისა და ჯრ. რობერტის მიხედვით მიმოქცევის ხარჯების ფორმირების სტრუქტურა სამეწარმეო სექტორში [41,93-117გვ.]


მიმოქცევის ხარჯების ტიპოლოგიამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ორიენტაცია ხარჯების შემცირებისაკენ მიმართულ ინსტრუმენტებზე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სასურსათო საქონლის მიმოქცევის სფეროში. სახელმწიფოს მხრიდან აგრარული მეწარმეობის სფეროში ხარჯების შემცირებისაკენ მიმართული დამატებით ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელს გახდის მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში მატერიალური დანახარჯების ნაწილობრივ შემცირებას.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალის თვითრეგულირების მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირების დროს გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიმოქცევის ხარჯები, რადგან აგრარულ სფეროს პროდუქციის უმრავლესობა მიეკუთვნება მალფუჭადი პროდუქტების რიცხვს, სოფლად დასაქმებულ მეწარმე სუბიექტთა უმრავლესობას ეზრდება მოთხოვნილება პროდუქციის საბითუმო და საცალო მოხმარების ადგილებზე ოპერატიულ მიწოდებაზე. ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის პროცესში სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიმოქცევის ხარჯები და უნდა განახორციელოს მთელი რიგი ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ღონისძიებები, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს ამ ხარჯების მინიმიზაციას, სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს საკუთარი მაკოორდინირებელი ფუნქცია, რათა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ სუბიექტთა შემოსავლიანობის დონე აღემატებოდეს მათ მიერ წარმოების პროცესზე გაწეულ ხარჯებს. აქვე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და პროდუქციის წარმოებაზე, ხარჯები თანდათან იზრდება საწვავ-სათბობ მასალებზე, ელექტროენერგიაზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე და მთელ რიგ ინფრასტრუქტურული მომსახურების სახეებზე ფასების ზრდის გამო, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მხარდაჭერა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალის შეფასებისათვის ე. შულცი და ფ. ჯრ. კიტჩეპი [63, 241გვ.] გვთავაზობენ. ბიზნეს-ანალიზის მეთოდიკის გამოყენებას. ეს მეთოდიკა ეყრდნობა ეფექტურად ფუნქციონირებად საწარმოებს და მოიცავს მნიშვნელოვან ხარჯებს მენეჯერების, მარკეტოლოგების, იურისტების და პროგრამისტების დასაქმებისათვის. მაგრამ დამწყები მეწარმეების და ფინანსურად არასტაბილური საწარმოების საქმიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია

მათ მიერ გაწეულ მატერიალურ და მიმოქცევის ხარჯებზე.

აღნიშნული მეთოდიკიდან გამომდინარე აგრარული მეწარმეობის სფეროში თვითრეგულირების პოტენციალის შეფასება სქემატურად შემდეგ სახეს მიიღებს (იხ. სქემა 10).



სქემა 10. აგრარული სფეროს პოტენციალის თვითრეგულირების შეფასების მეთოდიკის ძირითადი ელემენტები

წარმოდგენილი სქემიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მეთოდიკის ძირითად ელემენტებს განეკუთვნება: სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალური დანახარჯები დაკავშირებული წარმოების საშუალებების გამოყენებასთან, ხოლო მათი მიმოქცევის ხარჯები - მოიცავს შრომის




ანაზღაურების, საამორტიზაციო ანარიცხების და დანახარჯებს მარკეტინგზე. მათზეა დამოკიდებული სწორედ სასოფლოს-ამეურნეო საწარმოების შემოსავლიანობა (მომგებიანობა), მათი ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში.

ამ მეთოდის გამოყენება ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას მისცემს მიიღონ ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებები და მონიტორინგი გაუწიონ საბიუჯეტო სახსრების განაწილებას, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხარჯების შევსებისა და ჩანაცვლებისათვის.

აგრარულ სექტორში დასაქმებული მეწარმე სუბიექტების საწარმოო პოტენციალის თვითრეგულირების და ეფექტიანი სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქვემოთ მოტანილ მე-11 სქემაზე გამოსახული მაჩვენებლების ურთიერთდამოკიდებულება.

სქემაზე წარმოდგენილი მასალები ნათლად მოწმობს, რომ მეწარმე სუბიექტების შემოსავლები შესაძლებელია დავყოთ პოზიტიურ და ნეგატიურ მაჩვენებლებად. პოზიტიური მაჩვენებლები შემოსავლების მიხედვით ნათლად მიუთითებენ სხვადასხვა საკუთრების ფორმების მქონე მეწარმე სუბიექტების მაღალ კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო ნეგატიური მაჩვენებლების მიხედვით რაოდენობრივი მახასიათებლები ნათლად ასახავენ სასურსათო საქონლის ბაზრებზე სამეწარმეო საქმიანობის არაკონკურენტუნარიანობას.

აგრარული მეწარმეობის სფეროში თვითრეგულირების შეფასების მეთოდური საფუძვლები ეყრდნობა რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებას, რომლებიც წარმოდგენილია ოფიციალურ (საჯარო) სტატისტიკურ ანგარიშებში. ამასთან ერთად აგრარულ სექტორში აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების შერჩევას იგი შესაძლებელია მოიცავდეს დამატებით მაჩვენებლებს შეფასების კუთხით.



სქემა 11. აგრარულ სექტორში სამეწარმეო პოტენციალის თვითრეგულირების მაჩვენებლების ურთიერთკავშირი

#### 1.4. სოფლის მეურნეობის აღწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური მექანიზმი

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა, რადგან ეკონომიკის ეს სექტორი არსებითად განსხვავდება სპეციფიკით სხვებისაგან. აგრარული სექტორის მარეგულირებელი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული სუბიექტების შემოსავლების გაზრდას, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ამ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ცხოვრება პირობების გაუმჯობესებასთან და

აგროსასურსათო სექტორის პროდუქციის გაფართოებულ აღწარმოებასთან.

აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ უწინარეს ყოვლისა განიხილება ფასწარმოქმნის რეგულირება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესატყვისად ფასების ჩამოყალიბება, პროტექციონისტული პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, საგადასახადო რეგულირება, დარგისა და აგრარული ბაზრების სახელმწიფო მართვა.

ეკონომიკის სხვა დარგებისაგან განსხვავებით აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი თავისებურებანი, კერძოდ თანამედროვე სოფლის მეურნეობა ეფუძნება დარგთაშორის სისტემას, რომელიც მას აწვდის წარმოების საშუალებებს (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მოწყობილობებს, სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს და ა.შ.). გადამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და ახორციელებენ მზა სასურსათო პროდუქციის რეალიზაციას მომხმარებლებამდე. სოფლის მეურნეობის ინტეგრირებული კავშირების მნიშვნელობა მრეწველობასთან და ვაჭრობასთან შეფასებული იქნა ჯონ დევისის მიერ, რომელიც მიიჩნევს რომ აგრობიზნესი მოიცავს ყველა ფერმერულ ოპერაციას დამატებული პროდუქციის წარმოებისა და განაწილებით, რომელიც აუცილებელია ფერმერული (გლეხური) მეურნეობების და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (აგროფირმები, სას. სამ. კოოპერატივები) მომარაგებისათვის. ამ უკანასკნელს დამატებული ოპერაციათა ჯამი, რომელიც მოიცავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირებას, შენახვას, გადამუშავებას და განაწილებას. ამდენად აგრობიზნესი მოიცავს ოპერაციათა საერთო ჯამს, რომლებიც ჩართული არიან კვების პროდუქტების წარმოებასა და განაწილებაში. სწორედ აგრობიზნესის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ რგოლს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა.

დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მომუშავეთა 3-ჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. საქართველოში სოფლად მომუშავე ერთ დასაქმებულზე მოდის მაქსიმუმ 5 ადამიანი, რომელიც დაკავებულია მომსახურებით, პროდუქციის

გადამუშავებით, ვაჭრობით. მათ შორის ნახევარზე მეტი დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტით. აშშ-ს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე მოდის 14 კაცი, რომლებიც დაკავებულნი არიან ტექნიკური და ტექნოლოგიური მომსახურებით. სამწუხაროდ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სასურსათო კომპლექსმა მიიღო დაუბალანსებელი დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობის ჰიპერტროფული განვითარებით. რადგან სასურსათო სექტორში დასაქმებული სამეურნეო სუბიექტები მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ ეკონომიკურ უფლებებს და სახელმწიფოს ქსელის საშუალებით რეალიზდებოდა სოფლის მეურნეობის საბოლოო პროდუქციის 70%. სახელმწიფო გვევლინებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლისა და რეალიზატორის როლში, მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შედეგად საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში უკვე სახეზე გვაქვს აგრარულისფეროს სახელმწიფო რეგულირების საბაზრო პრინციპების სიჭარბე.

აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების პრინციპებიდან გამომდინარე აღსანიშნავია შემდეგი:

- მოთხოვნა-მიწოდების რეგულირება;
- მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის სტიმულირება აგრარულ სექტორში;
- სოფლად ტერიტორიალურ-სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა;
- სამეურნეო სუბიექტების ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის შექმნა;
- სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის სერტიფიცირება.

აგრარულ ურთიერთობათა თეორიაში სახელმწიფოს მხარდაჭერის ქვეშ მოიაზრება ლოგიკური და ისტორიული საფეხური სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთობის ფორმირებისა. აგრარული სექტორის საბაზრო პრინციპებით

რეგულირება უკავშირდება ერთის მხრივ სახელმწიფო და ადგილებზე ტერიტორიული მართვის ზემოქმედებას და მეორე მხრივ კერძო სუბიექტებს შორის ურთიერთობას. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მწარმოებელთა პასუხისმგებლობას წარმოებული პროდუქციის ხარისხზე, მიწის გადასახადის გადახდებს, ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობათა სოციალური დაცვის გარანტიებს და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებს. ამ უკანასკნელის უგულვებელყოფას მივყავართ სოფლის მეურნეობის წარმოების დონის დაცემასთან, ინფლაციასთან, მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებასთან. თანამედროვე ეტაპზე სოფლად მეწარმეობის ყველა ფორმას სახელმწიფო მხარდაჭერა ორიენტირებული უნდა იყოს გარანტირებულ და ინდექსირებულ ფასებზე. ასეთი ფასები უნდა განისაზღვრებოდეს თითოეული წლისათვის, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სოფლად მეწარმე სუბიექტების მიმდინარე ხარჯების დაფარვა და მომგებიანობის მინიმალური დონის მიღწევა. თავის მხრივ ფასების ინდექსაცია, უნდა მოიცავდეს პარიტეტულ ინდექსს, რომელიც დააზღვევს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტებს წარმოების საშუალებებზე საბითუმო ფასების უკონტროლო ზრდისაგან.[51, 168 გვ.] თეორიულ ჭრილში პარიტეტის კონცეფცია გვთავაზობს, რომ თანაფარდობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასებს, საქონელსა და მომსახურებაზე რომელსაც მოიხმარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი მეწარმე სუბიექტები უნდა იყოს მუდმივი. აგრარული პოლიტიკა საჭიროებს 100%-იან პარიტეტს, მაგრამ პრაქტიკაში ეს პირობა ყოველთვის არ სრულდება. მაგალითად, 1998 წელს აშშ-ში პარიტეტის ინდექსმა შეადგინა 54%, [6:12] პრაქტიკაში პარიტეტის კონცეფცია ხორციელდება ფერმერთა პროდუქციაზე მინიმალური ფასების შენარჩუნებით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს პოლიტიკა ხორციელდება სხვადასხვაგვარად.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფასების შენარჩუნება როგორც დროებითი ღონისძიება უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში რესურსების

შემოდინებას და ხელს უწყობს წარმოების მოცულობის სწრაფ ზრდას. პარტიტეტული ფასების გამოთვლის მრავალი მეთოდი არსებობს. ასე მაგალითად აშშ-ში პარტიტეტული ფასები იანგარიშება 160 დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ყოველთვიურად ქვეყნის მამტაბით (ცალკეული შტატების მიხედვით მისი გამოთვლა არ წარმოებს). 1933 წლიდან 1949 წლის ჩათვლით პარტიტეტული ფასები გამოითვლებოდა შემდეგი წესით, მოცემული სახის პროდუქციის ფერმერულ სარეალიზაციო ფასს საშუალოდ 1910-1914 წლებში ამრავლებდნენ იმ პროდუქციას ფასების ინდექსზე რომლის შეძენასაც ახორციელებდნენ ფერმერები (პროცენტისა და გადასახადების ჩათვლით). აშშ-ში კონგრესის კანონის და მასში შეტანილი ცვლილების თანახმად 1950 წლის 1 იანვრიდან პარტიტეტული ფასები გაიანგარიშება ეგრეთწოდებული ახალი მეთოდით, რომელიც მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. განისაზღვრება პროდუქციაზე ფერმერის სარეალიზაციო ფასი საშუალოდ წინა ათი წლის განმავლობაში. ამ ფასს ემატება სახელმწიფოს მიერ გაცემული დანამატი იმ პროდუქციაზე რომელზეც ეს არსებობს.

2. ამგვარად კორექტირებულ ფასს (საშუალოდ 10 წლის პერიოდისას) ყოფენ მოცემული პროდუქციის ფერმერის სარეალიზაციო ფასზე (სახელმწიფოს მიერ ფასზე დანამატის გათვალისწინებით) საშუალოდ ასევე 10 წლის განმავლობაში, რომელსაც გააჩნია 1910-1914 წლების ბაზა. მიღებული შედეგი გვაძლევს პროდუქციის კორექტირებულ ფერმერულ საბაზრო ფასს 1910-1914 წლებისათვის.

3. 1910-1914 წლებში პროდუქციის კორექტირებულ საბაზრო ფასს ამრავლებენ თავის პარტიტეტის ინდექსზე (190-1914 = 100) რომელიც შესაბამისია იმ წლის, რომლისთვისაც განმსაზღვრელია პარტიტეტული ფასი.

მაგალითად: სიმინდზე პარტიტეტული ფასის გაანგარიშება 1989 წლის ოქტომბრისათვის განხორციელდა შემდეგნაირად. აიღება საშუალოდ 1979 წლის იანვრიდან 1988 წლის დეკემბრის ჩათვლით სიმინდზე ფერმერის საშუალო სარეალიზაციო ფასი. ჩვენ შემთხვევაში სიმინდის ფერმერის სარეალიზაციო ფასმა კორექტირებულმა სახელმწიფო დანამატის

გათვალისწინებით შეადგინა 45,7 აშშ დოლარი ერთ ტონაზე. ხოლო ფერმერთა ფასის ინდექსმა ამავე პერიოდისათვის შეადგინა 2,52. თუ გავყოფთ 45,7 აშშ დოლარს 2,52-ზე მივიღებთ კორექტირებულ საბაზრო ფერმერულ ფასს ერთ ტონა სიმინდზე 1910-1914 წ.წ., რომელმაც შეადგინა 18,1 აშშ. დოლარი. თუ გავამრავლებთ ამ ციფრს 1989 წლის სექტემბრის თვის პარიტეტულ ინდექსზე, მივიღებთ ერთ ტონა სიმინდის პარიტეტულ ფასს, რომელმაც 1989 წლის ოქტომბრისათვის შეადგინა 67,7 აშშ დოლარი.

აგრარული სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკურ ბერკეტებში გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა შრომის ნაყოფიერება, სუბსიდირება ფონდუკუგება, კაპიტალუკუგება, თვითრეგულირება და მთელი რიგი სხვა მაჩვენებლები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებისათვის ჩნდება აუცილებლობა საანგარიშსწორებო ფასების მაჩვენებლების გამოყენების და შეფასებისათვის შესადარის ფასებში, ასეთი ფასები უზრუნველყოფენ ეფექტიანობის მაჩვენებლების შესადარისობას. თუ შემცირებული ფასების პირობებში დარგი ვერ უზრუნველყოფს საჭირო რენტაბელობას, მაშინ ეფექტის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია შესადარის ფასებში, არ შეიძლება განვახორციელოთ გაფართოებული კვლავწარმოება.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გაფართოვებული აღწარმოებისათვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს რენტაბელობა. იგი განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობას, როგორცაა ინვესტიციები, დაფინანსება და ა.შ.

რენტაბელობის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში გამოყოფენ სამ ჯგუფს:

1. მაჩვენებლები რომლებიც ასახავენ საწარმოო დანახარჯების და საინვესტიციო პროექტების რენტაბელობას;
2. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ რეალიზაციის შედეგების რენტაბელობას;
3. მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ კაპიტალისა და მისი ნაწილების

შემოსავლიანობას.

იგი გვიჩვენებს ხარჯების ანაზღაურებას და გაიანგარიშება მოგების შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სრულ თვითღირებულებასთან.

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{თვითღირებულება}}$$

პრაქტიკაში ასევე ფართოდ გამოიყენება მოგების პროცენტული შეფარდება ძირითად და საბრუნავ კაპიტალთან (ფონდების ღირებულებასთან)

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{ძირითადი ფონდები+საბრუნავი ფონდები}} \times 100$$

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის განხორციელების დროს ზარალიანი ან დაბალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კაპიტალის გამოყენების დამატებით მაჩვენებლად მიჩნეულია მოგების შეფარდება საწესდებო x კაპიტალთან ან აქტივებთან და იანგარიშება ფორმულით:

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{საწესდებო კაპიტალი}} \times 100$$

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} \times 100$$

პრაქტიკაში მიღებულია მოგების გაანგარიშების ორი ვარიანტი: პირველი ინგლისურ-ამერიკული (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა), რომელიც ემყარება პროდუქციას რეალიზაციიდან ამონაგებს დამატებული ყველა სხვა გაყიდვები, ხოლო ხარჯები კლასიფიცირდება ფუნქციების მიხედვით წარმოებაზე-თვითღირებულება, დანახარჯები მარკეტინგზე, ადმინისტრაციული ხარჯები, ფისკალური ხარჯები და სხვ.

ასეთი დამოკიდებულების საშუალებას იძლევა მოგების შემდეგი სახეები: მთლიანი მოგება (გაყიდვების მოცულობის გამოკლებული წარმოების ხარჯები), ოპერაციული მოგება-მოგება დაბეგვრამდე (მთლიან მოგებას გამოკლებული მარკეტინგის, მენეჯმენტის და სხვა ხარჯები),



წმინდა მოგება (ოპერაციულ მოგების გამოკლებული გადასახადები).

მეორე ფრანგულ-გერმანული ვარიანტი დამყარებულია წარმოების კონცეფციაზე. ამ შემთხვევაში ხარჯები კლასიფიცირდება წარმოქმნების მიხედვით; ნედლეული და მასალები, პერსონალის ხელფასი, ამორტიზაციის ანარიცხები და სხვა. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გამოვყოთ მოგების შემდეგი სახეები:

- მთლიანი დამატებით ღირებულება ანუ მთლიანი საექსპლუატაციო მოგება ტოლია (მთლიან დამატებით ღირებულებას გამოკლებული პერსონალის ხელფასის ხარჯები);

- საექსპლუატაციო მოგება (მთლიან საექსპლუატაციო მოგებას გამოკლებული საამორტიზაციო და სხვა ხარჯები);

- მიმდინარე მოგება (საექსპლუატაციო მოგების გამოკლებული ფინანსური ხარჯები);

- წმინდა მოგება (მიმდინარე მოგების გამოკლებული გადასახადების ხარჯები).

ფრანგულ-გერმანული მეთოდი კი პირიქით იძლევა დამატებითი ღირებულების შემადგენელი ნაწილების ანალიზის საშუალებას, მაგრამ ართულებს მენეჯმენტსა და სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური ბერკეტების მნიშვნელობის შეფასებას. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით იგი მეტად საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ ფრანგულ-გერმანული მეთოდი უფრო მისაღებია სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ მთლიანობაში სასურველია მოხდეს მოგების განსაზღვრის აღნიშნული ვარიანტების შეჯერება.

ჩვენს მიერ ამორტიზაცია განიხილება, როგორც ხარჯები, მეწარმეთა პოზიციიდან გამომდინარე კი საამორტიზაციო სახსრები რჩება მათ განკარგულებაში და წარმოადგენს მათი შემოსავლებით შექმნილ დამატებითი შემოსავლის ელემენტს. იგი შესაძლებელია გამოყენებული იქნას წლის განმავლობაში მოხმარებული ძირითადი აქტივების აღსადგენად. აქედან გამომდინარე მთლიან მოგებას დამატებული ამორტიზაცია უნდა განვიხილოთ რენტაბელობის ერთ-ერთ საზომად.

აღნიშნულის გათვალისწინებით სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანობის შესაფასებლად მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება:

- დამატებითი ღირებულება (პროდუქტის მთლიან ღირებულებას გამოკლებული ნედლეული და მომსახურება);

- მთლიანი მოგება (დამატებით ღირებულებას გამოკლებული პერსონალის ხელფასი);

- საექსპლუატაციო მოგება (მთლიან მოგების გამოკლებული ამორტიზაციის ხარჯები);

- მიმდინარე მოგება (საექსპლუატაციო მოგების გამოკლებული ფინანსური ხარჯები);

- საბალანსო (ბუღალტრული) მოგება (პროდუქციის რეალიზაციიდან, სამუშაოებიდან, მომსახურებიდან მიღებულ ამონაგებს გამოკლებული მათი თვითღირებულება). მას ეწოდება მთლიანი მოგება (ინგლისურ-ამერიკული მეთოდი).

- წმინდა მოგება (საბალანსო მოგებას გამოკლებული გადასახადები).

სოფლის მეურნეობის სისტემაში ეკონომიკური ეფექტი გვიჩვენებს წარმოების შედეგებს აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ხოლო ეკონომიკური ეფექტიანობა შეფარდებითი მაჩვენებელია და გვიჩვენებს რა რაოდენობის რესურსების გამოყენების საფუძველზე იქმნება წარმოების შედეგი.

სოფლის მეურნეობის განვითარების სრული სურათი რენტაბელობის ანალიზით არ შეიძლება შემოიფარგლოს, ამიტომ საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, კოოპერატივების გადახდისუნარიანობის შეფასება, იგი წარმოადგენს მეწარმის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი გადახდის ვალდებულება, რომელიც ეხება სავაჭრო, საკრედიტო და სხვა ფულად ხელშეკრულებებს. საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის შეფარდებით ვალდებულებათა მთლიან თანხასთან.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი

$$= \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\sum \text{მთლიანი ვალდებულებანი}}$$

ზარალიანი და დაბალრენტაბელური ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების ფინანსური ანალიზის მეთოდით, გათვალისწინებულია გაანგარიშებული იქნეს საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, როგორც მიმდინარე აქტივების შეფარდება ვალდებულებათა მთლიან თანხასთან:

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი =

$$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\sum \text{მიმდინარე ვალდებულებანი}}$$

დასავლეთის მეცნიერ ეკონომისტები გადახდისუნარიანობის შეფასების დროს შემოიფარგლებიან შუალედური ლიკვიდობის ე.წ. "ლაკმუსის ქალაღის" კოეფიციენტის გაანგარიშებით. ამ შემთხვევაში გაანგარიშებისათვის გამოიყენება ფორმულა

$$\text{გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{გრძელვადიანი ვალდებულებანი}}$$

ჩვენი აზრით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეები ორიენტირებული უნდა იყვნენ საკუთარი შემოსავლების ზრდასთან ერთად, საკუთარი კაპიტალის მუდმივ ზრდაზე. სოფლის მეურნეობაში ასეთი მიდგომა უნდა გამოვლინდეს მომგებიანობის შეფასების გზით, გაყიდვების რენტაბელობით, ინვესტიციების, აქტივების, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობით.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მეწარმეებს უნდა შეეძლოთ საკუთარი საწარმოს ეკონომიკური ზრდის შეფასების შესაძლებლობა პერსპექტივაში, რათა ჰქონდეთ ბიზნეს საქმიანობის დადებითი დინამიკა.

ეკონომიკური ზრდის თეორია ითვალისწინებს ეფექტიანობის ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორცაა სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსურ ბერკეტების ეფექტიანობა, საწარმოო და საფინანსო ლევერიჯი.

ფინანსური ბერკეტების ეფექტიანობა საშუალებას იძლევა შევავსოთ

საინვესტიციო შემოსავლიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალი. ეს ეფექტი გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის შემოსავლები მოზიდული სახსრების გამოყენების შედეგად.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ლევერიჯი განისაზღვრება გადასახადების და პროცენტის გადახდამდე ნამატი მოგების ტემპის შეფარდებით ნამატი განხილვების მოცულობის ტემპთან.

ფინანსური ლევერიჯი გამოხატავს ურთიერთკავშირს მოგებასა და საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის. ფინანსური ლევერიჯის ზრდა მიიღწევა სახელმწიფო რეგულირების სრულყოფით, მდგრადი ეკონომიკური ზრდით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ლევერიჯის და ფინანსური ლევერიჯის შეფარდებით მაჩვენებლის განხილვის შედეგად შეიძლება სარეკომენდაციო მაჩვენებლად მივიჩნიოთ ინტეგრალური ლევერიჯი (I.L)

$$I.L = 2 \sqrt{\frac{-}{L \text{ საწარმო } \times L \text{ ფინანსური}}}$$

იგი გამოხატავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ეკონომიკური ზრდის საერთო შესაძლებლობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით და თვითღირებულების სტრუქტურის და ნასესხები კაპიტალის ოპტიმიზაციით.

ამრიგად სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანობის შეფასებისათვის განმაზოგადებელ მაჩვენებლებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს; ფასწარმოქმნა და მისი რეგულირება, ფასების დონე, წარმოების სუბსიდირება, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება, რენტაბელობა, მოგება, სას. სამ. საწარმოთა გადახდისუნარიანობა და სხვა.

## თავი 2. სოფლის მეურნეობის აღწარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

### თავი 2.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება და მცირე ზომის ფერმერი ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალეფექტიანობას. მაგრამ ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის 54%-ია დაკავებული. აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობის და დეკაპიტალიზაციის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა და მწარმოებლურობა და სხვა მაჩვენებლები, რაც საბოლოო ჯამში ამ სექტორის პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობაში აისახება.

ისტორიულად საქართველოს ეკონომიკაში აგრარულ სექტორს ყოველთვის წამყვანი როლი ეკავა, იგი ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს ამარაგებდა სუბტროპიკული კულტურებით, ხილით, ბოსტნეულით და კვების პროდუქტებით.

1990 წელს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეტყევეობის და თევზჭერის ხვედრითი წილი ერთ მესამედს შეადგენდა. იხ. ცხრილი 4 გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. სოფლის მეურნეობის წარმოება განიცდის სერიოზულ ნგრევას. საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ეთნო პოლიტიკური კონფლიქტები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რღვევა, რის გამოც ქვეყანამ დაკარგა სტაბილური ბაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც მუდმივად მოიხმარდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მკვეთრად შემცირდა ექსპორტზე ორიენტირებული ჩაის ფოთლის, ყურძნის, მარცვლეულის, ხორცისა და კვერცხის წარმოება მიუხედავად ამისა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოება კვლავ რჩებოდა ერთ-ერთ სიცოცხლისუნარიან დარგად. ეკონომიკის ნგრევის, მრეწველობასა და სხვა დარგების უპირატესი დაცემის შედეგად, სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 1995 წელს გაიზარდა 44,4%-მდე. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად

მცირდებოდა მისი ეფექტიანობა და მოსავალი. ტექნიკისა და ტექნოლოგიური რესურსების, შხამქიმიკატების, თესლის, სასუქებისა და სხვა რესურსების მომარაგებაში არსებული პრობლემები კიდევ უფრო აფერხებდა ამ დარგის განვითარებას. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეკონომიკის სხვა დარგების სწრაფი განვითარების შედეგად სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში თანდათან შემცირდა და 2005 წელს დავიდა 6,7%-მდე, 2010წელს კი 8,4% შეადგინა. ხოლო 2016 წლისათვის უმნიშვნელოდ გაიზარდა და 9,0% შეადგინა.

ცხრილი 4

ნათესი ფართობები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 1990-2016 წლებში

| წლები | ნათესი ფართობები<br>(ათასი ჰექტარი) | რქ. პირუტყვი<br>(ათასი სული) | სოფლის<br>მეურნეობის<br>წილი მშპ-ში % |
|-------|-------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|
| 1990  | 701,9                               | 1298,3                       | 31,6                                  |
| 1995  | 453,1                               | 973,6                        | 44,4                                  |
| 2000  | 610,8                               | 1177,4                       | 21,9                                  |
| 2005  | 539,6                               | 1190,3                       | 16,7                                  |
| 2010  | 256,7                               | 1049,4                       | 8,4                                   |
| 2011  | 262,4                               | 1087,6                       | 8,8                                   |
| 2012  | 259,6                               | 1128,8                       | 8,6                                   |
| 2013  | 310,7                               | 1229,7                       | 9,4                                   |
| 2014  | 316,6                               | 970,0                        | 9,3                                   |
| 2015  | 263,7                               | 992,1                        | 9,2                                   |
| 2016  | 240,0                               | 962,7                        | 9,0                                   |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ქვეყანაში სოფლის მეურნეობის რეფორმები და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მიწის კერძო საკუთრებაში გადასაცემად, მაგრამ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი მეურნეობის ფორმირება კვლავაც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად დარჩა. 1992 წელს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 148 რეზოლუცია, რომელსაც ეწოდებოდა "დადგენილება მიწის პრივატიზაციის შესახებ". მისი მიზანი იყო მიწების განაწილება და საბოლოოდ კერძო მფლობელებისათვის გადაცემა, საბოლოოდ გადაწყდა, რომ გლეხებს

შეძლოთ გაეზარდათ საბჭოთა პერიოდიდან მათ გამგებლობაში არსებული 0,25 ჰა მიწის ნაკვეთები მაქსიმუმი 1,2 ჰა-მდე, ხოლო ქალაქის მაცხოვრებლების, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ სოფელთან გადაეცათ 0,25 ჰა მიწები დასამუშავებლად, ქალაქი მოსახლეობის რომლებსაც მიწები მხოლოდ საცხოვრებლად სჭირდებოდათ გადაეცათ 0,15 ჰა. მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს გადაეცათ 5 ჰა-მდე მიწის ფართობი. 90-იანი წლების პირველ ნახევარში მიწების განაწილება ხდებოდა მიწის საკუთრების სამართლებრივი საფუძვლების გარეშე. იურიდიულად მიწის კვლავ სახელმწიფო ფლობდა. ამ მიზნით 1996 წელს მიღებული იქნა კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". და ამის შემდეგ მოსახლეობის განაწილებული მიწა გადაეცა კერძო საკუთრებაში.

ქვეყანაში 2004 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერით სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე (საკუთრება და იჯარა) მეურნეობებიდან 75,2% გააჩნდა 1 ჰა-ზე ნაკლები მიწა; 18,3%-ს მეურნეობებისა ჰქონდა 1-2 ჰა-მდე, ხოლო 7% ფლობდა 3-20 ჰა მიწას.

მხოლოდ 0,6% ფლობდა 10-50 ჰა-ს, ამავე დროს 500 მეურნეობა ფლობდა 50-100 ჰა-ს, 307 მეურნეობა ფლობდა 100-200 ჰა-ს, 234 ფლობდა 200-500 ჰა-ს და 72 მეურნეობა ფლობდა 500 ან მეტ ჰა-ს<sup>1</sup>. \*\* აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოში მიწების განაწილება დაიწყო იმ პერიოდში როდესაც იყო სამოქალაქო ომი და ეთნიკური კომფლიქტები. ამიტომ მიწების განაწილება ნაჩქარევად და მიწის ხარისხის დიფერენცირების გარეშე მოხდა. მთლიანობაში მიწის რეფორმის შედეგად გაიზარდა კერძო საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა და შესაბამისად კერძო საკუთრებაში წარმოებული პროდუქტის წილი წარმოების მთლიან მოცულობაში. კერძო სექტორი თანდათან ხდება სოფლის მეურნეობის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი. უკვე 1994 წელს კერძო სექტორი იძლეოდა მეცხოველეობის, კარტოფილის,

---

<sup>1</sup> საქართველოს 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა. საქართველოს ეკონომიკური განვითარება სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბ., 2005. გვ. 33, 36, 39.

ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის და ყურძნის თითქმის მთელ პროდუქციას და მარცვლეულის წარმოების ნახევარზე მეტს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების შემცირების ტენდენცია გრძელდება დღემდე და 2016 წელს დამუშავებული ფართობების მოცულობა შემცირდა 2,9-ჯერ. საქართველოში 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობის სექტორში გამოშვების სტრუქტურა შეიცვალა (იხ. ცხრილი 5), თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში ყოვლის მეურნეობაში ყურძენი იყო პირველ ადგილზე, 2010 წლისათვის ყურძნის მოსავალი თითქმის 5,8-ჯერ შემცირდა. წინ წამოვიდა ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება, ხოლო სხვა პროდუქტების წარმოება როგორცაა კვერცხი, რძე შემცირდა მაგრამ გარკვეულ წილად მაღალი დონე შენარჩუნებული იქნა, რაც შეეხება 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით პერიოდს, მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 95%-ით. ზრდის ტენდენციები შეიმჩნევა კარტოფილის, ხილის წარმოებაში, რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქციას, ხორცის წარმოება გაიზარდა 17,2%-ით, კვერცხის წარმოება 21,1%-ით. ამავე პერიოდში მარცვლეულიდან ხორბლის წარმოება განიცდიდა რყევებს, რაც განპირობებული იყო ბუნებრივ კლიმატური პირობებით. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხორბლის წარმოების ამაღლების რესურსები გამოუყენებელი დარჩა.

ცხრილი 5

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება საქართველოში 1990-2016 წლები (ათასი ტონა)

| დასახელება     | 1990  | 2000  | 2005  | 2010  | 2014  | 2015  | 2016   |
|----------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|--------|
| მარცვლეული სულ | 661,0 | 454,0 | 480,0 | 214,8 | 370,9 | 356,2 | 417,62 |
| ხორბალი        | 271,0 | 100,0 | 105   | 48,4  | 47,4  | 125,6 | 126,6  |
| სიმინდი        | 280,0 | 300,0 | 307,0 | 141,4 | 291,6 | 184,6 | 243,7  |
| კარტოფილი      | 301,0 | 100,0 | 174,0 | 228,8 | 215,3 | 186,5 | 249,0  |
| ბოსტნეული      | 452,0 | 350,0 | 162,0 | 175,7 | 153,6 | 152,3 | 141,7  |



|                   |       |       |       |       |       |       |       |
|-------------------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|
| ხილი              | 585,0 | 260,0 | 160,4 | 124,1 | 210,0 | 144,3 | 186,4 |
| ყურძენი           | 700,0 | 200,0 | 250,3 | 120,7 | 172,6 | 214,5 | 159,2 |
| ციტრუსი           | 300,0 | 50,0  | 51,0  | 52,1  | 69,8  | 77,6  | 65,5  |
| ჩაის ფოთოლი       | 500,0 | 4,5   | 3,8   | 3,5   | 1,8   | 2,1   | 3,0   |
| ხორცი             | 170,3 | 107,9 | 104,7 | 56,4  | 59,3  | 66,7  | 66,1  |
| რძე (მილნ.ლიტრი)  | 659,4 | 475,4 | 756,7 | 587,7 | 588,8 | 566,3 | 540,1 |
| კვერცხი (ათ.ცალი) | 769,2 | 364,4 | 504,6 | 445,5 | 551,4 | 602,5 | 590,4 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

უკანასკნელ ათწლეულში შემცირდა ყურძნის წარმოება მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ღვინის წარმოებაში არსებულმა მდგომარეობამ. 2005 წელს რუსული ღვინის ბაზარი ითვისებდა მთლიანი ღვინის ექსპერტის 78%-ს, მაგრამ რუსეთის მიერ შემოღებული ემბარგოს შედეგად საქართველოში მოქმედი ღვინის კომპანიების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მთავრობამ მართალია განახორციელა მევენახეობის მხარდამჭერი ღონისძიებები, მაგრამ იგი მოკლევადიან პერიოდს მოიცავდა და შეარბილა რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს გავლენა მთლიან სექტორზე და მან გაგრძელება ვერ ჰპოვა გრძელვადიან პერიოდში, რის გამოც ყურძნის წარმოება კვლავ შემცირდა.

ადგილობრივი ვაზის წარმოება სპეციფიკური ბუნებრივი (კლიმატი და მიწა) და კულტურული (ისტორიული და სოციალური) რესურსების გამოყენების შედეგია. საქართველოს ადგილობრივი ვაზის წარმოებისათვის ფიზიკური მახასიათებლები (სიმაღლე, დაქანება, მზის მიმართ ექსპოზიცია, მიწის ტიპი, კლიმატი) არის შესანიშნავი, ხოლო ქართული ყურძენი უნიკალურია მთელ რეგიონში.

საქართველოს სოფლის მეურნეობა უკიდურესად არაეფექტიანია, რადგან შედეგები არ შეესაბამება დასაქმების მოცულობას, სოფლის

მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა უკიდურესად დაბალია (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6. სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა 2014-2016 წლებში

| დასახელება   | 2014 | 2015 | 2016 |
|--|------|------|------|
| სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა ტ/ჰა |      |      |      |
| ხორბალი  | 1,4  | 2,6  | 2,6  |
| ფერი   | 1,3  | 1,8  | 2,0  |
| სიმინდი  | 2,3  | 1,7  | 2,6  |
| კარტოფილი  | 11,7 | 8,3  | 12,3 |
| ბოსტნეული  | 6,6  | 6,9  | 8,2  |
| ბაღჩეული   | 23,1 | 22,0 | 22,0 |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

როგორც ცხრილის ანალიზიდან ჩანს ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2014 წელს 1,4 ტონა შეადგინდა 2016 წლისათვის გაიზარდა 2,6 ტონამდე. სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ამავე პერიოდში გაიზარდა უმნიშვნელოდ და 2016 წელს შეადგინა 2,6 ტონა. ძალზე დაბალია კარტოფილის კულტურის მოსავლიანობა, რომელმაც 2016 წელს 12,3 ტონა შეადგინა ბოსტნეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის ამავე პერიოდში 8,2 ტონა შეადგინა. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის პროდუქტიულობის მაჩვენებლებს მასზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი ცხრილი. (იხ. ცხრილი 7) ცხრილის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ დაბალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული პროდუქტიულობა და იგი 2014 წელს საშუალო წლიურად 1364 ლიტრს შეადგენს, 2016 წლისათვის ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გაიზარდა და 1421 კგ. შეადგინა. პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლის სამომავლოდ ათვისება სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის

ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია.

ქვეყანას, რომელსაც აქვს მსხვილი სოფლის მეურნეობის სექტორი, კლიმატური პირობებით განპირობებული აშკარა შედარებითი უპირატესობა სოფლის მეურნეობაში და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებით მინიჭებული წვდომა მსოფლიო ბაზრებზე, უნდა შეძლოს სურსათის ექსპორტის გაზრდა. თუმცა საქართველოს სურსათის ექსპორტის პოტენციალის ათვისება არ არის მარტივი საქმე.


ცხრილი 7

სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლები  
2014-2016 წლებში

|   | 2014 | 2015 | 2016 |
|---|------|------|------|
| ფურისა და ფურკამეჩის საშუალო წველადობა (ლ. წელიწადში) | 1364 | 1325 | 1421 |
| ერთ ცხვარზე მატყლის საშუალო ნაპარსი (კგ. წელიწადში)   | 2,5  | 2,7  | 2,4  |
| ხბოსა და ზაქის ნამატი 100 დედა პირუტყვზე (სული)       | 87   | 85   | 81   |
| გოჭის საშუალო ნამატი 100 დედა ღორზე (სული)            | 910  | 1018 | 865  |
| თიკნისა და ბატკნის ნამატი 100 დედა პირუტყვზე (სული)   | 97   | 96   | 97   |

საქართველოს არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სისუსტეს ძირითადად განაპირობებს ექსპორტის კონცენტრირება კონკრეტულ პროდუქტებზე. 2014-2016 წლებში სასმელებზე, მათ შორის ღვინოზე, ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებზე და მინერალურ წყლებზე მოდიოდა საქართველოს სურსათის ექსპორტის 47%, ხილზე განსაკუთრებით თხილზე მოდიოდა ექსპორტის 28%. საქართველოს სურსათის ექსპორტის შემადგენლობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოტანილი გრაფიკი.

გრაფიკი 1. სურსათის ექსპორტის შემადგენლობა 2014-2016 წლებში



წყარო: VN Comtrade.

პროდუქციის დივერსიფიკაციის ეფექტს თავი რომ დავანებოთ, საექსპორტო ბაზარიც კონცენტრირებულია. 2009-2016 წლებში სურსათის ექსპორტი მოდიოდა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე, ძირითადად რუსეთსა და უკრაინაზე. პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების შეზღუდულ რაოდენობაზე კონცენტრირების გამო ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი დაუცველია. ამ ბაზრებზე მომხდარი შოკებისა და შეფერხებებისადმი.

საქართველოში სურსათის ექსპორტის ზრდის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს:

- ხარისხის გაუმჯობესება და არსებული საექსპორტო საქონლის თხილის, სასმელების (ღვინო, წვენები, მინერალურ წყლები) ჩირისა და ტრადიციული ქართული პროდუქტების (ჩურჩხელის, სულგუნის და მაწვნის რაოდენობის გაზრდა);

- ამ ეტაპზე ძირითადად არა მოთხოვნად ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ მოთხოვნად ბაზრებზე გასვლა. (ჩირი, თაფლი, სანელებლები, ახალი და გამხმარი ბოსტნეული);

- ახალი საქონლის, განსაკუთრებით სერთიფიცირებული ორგანული და მაღალი დამატებული ღირებულების ნიმუშები პროდუქციის წარმოება, როგორცაა ახალი და გაყინული კენკროვნები (მოცვი, მაცვალი, ჟოლო), მაღალი ღირებულების მატარებელი ახალი და გადამამუშავებელი ხილი (კვივი, ფეიხოა) და სამკურნალო მცენარეები.

საქართველოს მიუხედავად დიდი საექსპორტო პოტენციალისა კვლავ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე, რის შედეგად ქვეყანაში კვების პროდუქტების თვითდაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალიან დაბალია<sup>1</sup>.

საქართველოს ძირითად სასოფლო-სამეურნეო საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს მიეკუთვნება: ხილი, ციტრუსი, თხილი, თაფლი, სამკურნალო მცენარეები და სხვა. (იხ. ცხრილი 8). ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ 2000-2016 წლებში სურსათის და სასმელების, ექსპორტის ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა და აღემატება 2016 წლის 2000 წლის დონეს თითქმის 13-ჯერ. მაგრამ ამავე პერიოდში სახეზე გვაქვს ქვეყანაში სურსათის და სასმელების იმპორტის ზრდის ტენდენცია და საკვლევ პერიოდში იგი გაზრდილია თითქმის 6,6-ჯერ. მთლიანობაში საქართველოში საგარეო ვაჭრობაში სხვაობამ ექსპორტსა და იმპორტს შორის 2016 წელს შეადგინა (-5181,5 მლნ. აშშ დოლარი). ანუ სალდო კვლავ უარყოფითია. მხედველობაშია მასალები ის გარემოება, რომ იმპორტირებულ პროდუქციაში გარკვეულად მცირდება სურსათის ხვედრითი წილი და იგი 2016 წლისთვის შეადგენს 11,9%-ს.

საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული სავაჭრო ურთიერთობები, განსაკუთრებით რუსეთთან, რომელიც ითვლებოდა საქართველოს უპირველეს სავაჭრო პარტნიორად, ემყარებოდა ღვინის, ალკოჰოლური სასმელების, მინერალურ წყლის, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტს. რუსეთის ფედერაციის მიერ სხვადასხვა ქართულ პროდუქტზე

---

<sup>1</sup> 1974 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა კვების უსაფრთხოების რისკის ქვეშაა, თუ ადგილობრივ დონეზე მოხმარებული საკვები პროდუქციის 15-20%-ზე მეტი იმპორტირებულია.

ექსპორტის შეზღუდვის შედეგად შემცირდა ვაჭრობა რუსეთთან. 2005 წელს რუსეთის ემბარგომდე რუსეთში იყიდებოდა ხილისა და სუბტროპიკული კულტურების 21%<sup>1</sup>. დღეისათვის ამ პროდუქტების ექსპორტი ძირითადად უკრაინასა და ბელარუსიაში ხდება.

ორი მთავარი ფაქტორი რომელიც დღეისათვის ზღუდავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობები არის:

- ნედლეულის დეფიციტი;
- საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება ფერმერებისაგან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე<sup>2</sup>.

იმისათვის, რომ მეტი გავიტანოთ ექსპორტზე უნდა შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება, არსებობს გადამამუშავებელი ქარხნები, მაგრამ სამწუხაროდ არ გვაქვს საკმარისი საკუთარი ნედლეული, რათა სრულად ავითვისოთ საკუთარი პოტენციალი. ხოლო პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს განაპირობებს: საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება, ძველი ვენახებისა და პლანტაციების (მანდარინი, ჩაი) დეგრადაცია. ბაღების უმეტესობა 50-იან წლებშია გაშენებული. რაც შეეხება თხილთან, ატამთან, ვაშლსა და სხვა ხილთან დაკავშირებული მდგომარეობა შედარებით უკეთესია, თუმცა სახეზე გვაქვს იაფფასიანი სანერგე მასალის გამოყენება, რაც იწვევს მოსავლის შემცირებას და მავნებლებისა და მცენარეთა დავადებებისადმი დაუცველობას.

---

<sup>1</sup> COMTRADE - მონაცემთა ბაზა.

<sup>2</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება. ანდრე მაქსიმოვი. ბერლინი. 2017 წ.

ცხრილი 8

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი და მასში სურსათისა და სასმელების წილის დინამიკა 2002-2016 წლებში  
(მოქმედ ფასებში. მლნ. აშშ. დოლარი)

| წლები<br>დასახელება   | 2002  | 2003       | 2004   | 2005   | 2006   | 2007   | 2008   | 2009   | 2010   | 2011   | 2012   | 2013   | 2014   | 2015   | 2016   |
|---|-------|------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| ექსპორტი სულ<br>(მლნ. აშშ.<br>დოლარი)                       | 345,7 | 461,3      | 646,9  | 865,4  | 936,3  | 1232,1 | 1495,3 | 1133,6 | 1677,3 | 2186,4 | 2376,6 | 2910,3 | 2861,0 | 2204,6 | 2113,1 |
| სურსათის და<br>სასმელების<br>ექსპორტი (მლნ.<br>აშშ. დოლარი) | 100,9 | 160,6      | 199,2  | 298,8  | 225,2  | 285,4  | 236,9  | 301,3  | 330,2  | 422,0  | 485,6  | 728,5  | 781,3  | 573,3  | 643,8  |
| სურსათის და<br>სასმელების წილი<br>ექსპორტში (%)             | 29,2  | 34,8       | 30,8   | 28,7   | 24,0   | 23,1   | 15,8   | 26,5   | 19,7   | 19,3   | 20,4   | 25,0   | 27,0   | 26,0   | 30,4   |
| იმპორტი სულ<br>(მლნ. აშშ.<br>დოლარი)                        | 794,7 | 1139,<br>0 | 1844,3 | 2487,5 | 3674,8 | 5212,1 | 6301,5 | 4475,7 | 5235,9 | 7072,2 | 8056,3 | 8022,7 | 8601,8 | 7300,3 | 7294,6 |
| სურსათის და<br>სასმელების<br>იმპორტი (მლნ.<br>აშშ. დოლარი)  | 130,3 | 177,8      | 343,4  | 401,7  | 549,1  | 745,8  | 822,6  | 672,3  | 825,0  | 1016,6 | 1086,9 | 1088,5 | 1081,5 | 905,5  | 866,0  |
| სურსათის და<br>სასმელების წილი<br>იმპორტში (%)              | 16,3  | 15,6       | 18,6   | 16,1   | 14,9   | 14,3   | 13,0   | 15,0   | 15,7   | 14,4   | 13,5   | 13,5   | 12,6   | 12,4   | 11,9   |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სახეზე გვაქვს ფერმერების ცოდნის სიმწირე. მათ ნაწილს აქვს გავლილი ტრენინგ მოსავლის წარმოებასა და ფერმის მართვაში. ზოგიერთ განათლება საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული. ამასთან ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება მწირია და ვერ აწვდის ფერმერებს სურსათის ღირებულებათა ჯაჭვში კონკურენტულობისათვის საჭირო ტრენინგებსა და ექსტენციის მომსახურებას. ბევრი ფერმერი არ ენდობა ინოვაციებს და ურჩევნიათ არაფორმალური ურთიერთობები პარტნიორებთან.

სოფლად დეგრადირებული და გადაბერებული ბაღები და პლანტაციები, დაბალი ხარისხის ხეხილი და სარგავი მასალა ფერმერულ მეურნეობებს მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველს ხდის. დღეისათვის სუნიანი ბაღლინჯო (ფაროსანა) წარმოადგენს საქართველოში თხილის, ციტრუსის წარმოების საფრთხეს, რაც არის ევრობაზარზე ექსპორტის საყრდენი.

საქართველოში სოფლად სახეზე გვაქვს ფერმერულ მეურნეობებში საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება, რაც ასრულებს და ხარჯიანს ხდის საექსპორტო ტვირთებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მცირე მოცულობებიც კი არ არის ჯეროვნად მომზადებული, რაც დააკმაყოფილოს ექსპორტის სტანდარტები. სოფლად გაბატონებული არაფორმალური ურთიერთობების გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამხარისხებელი საწარმოების მფლობელები უარს ვერ ამბობენ დაბალი ხარისხის და ცუდად დაფასოებული მოსავლის მიღებაზე.

ექსპორტის მცირე მოცულობების გამო, ქართველი ექსპორტიორების უმრავლესობა მოკლებულია ახალ ბაზრებზე შესვლისათვის საჭირო რესურსებს. რის გამოც ქართული სურსათის ექსპორტი დიდ წილად შემოიფარგლება რუსეთისა და დსთ-ის სხვა ქვეყნების ნაკლებად მოთხოვნადი, დაბალი ფასებისა და კლებადი ბაზრებით.

ქვეყანაში 90-იანი წლების დასაწყისში მიწის რეფორმის პარალელურად დაიწყო სოფლის ინფრასტრუქტურის გარდაქმნაც. დაიძალა



აგროსერვის ცენტრები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი და "სოფლქიმია" რომელიც შხამქიმიკატებით და სასუქებით ამარაგებდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ისინი გარდაიქმნა კომერციულ სტრუქტურებად, მაგრამ არ იყო ორიენტირებული მოგებაზე და ინარჩუნებდა მონოპოლიზებულ მდგომარეობას.

საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საორიგაციო სამსახური. წყლის რესურსების გამოყენებასა და მართვის ორგანიზაციები ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და ვერ ინარჩუნებდნენ თავიანთ მდგომარეობას, რადგან წყლის ტუმბოები, რეზერვუარები, არსებული ტექნოლოგიები ამორტიზებული იყო, ხოლო წყლის მიწოდება შეფერხებით ხორციელდებოდა ელექტრო ენერჯის დეფიციტის და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობის გამო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1992-2003 წლებში მიწები 11% - ირწყვებოდა, ხოლო 2003-2010 კი ეს მაჩვენებელი უფრო შემცირდა და შეადგინა 6-7%, როდესაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელი 26-29%-ია<sup>5</sup>.

საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. 1992 წლამდე, საქართველო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ცენტრალიზებულად მარაგდებოდა 90-იან წლებში ტექნიკური პარკის განახლება არ მომხდარა და მკვეთრად შემცირდა მუშა მდგომარეობაში მყოფი მანქანების რაოდენობა და ამის შედეგად მექანიზაციის დონე კრიტიკული გახდა. ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ ინერციით მიმდინარეობს, 2006 წელს საქართველოში ყოველ 1000 ჰა-ზე მოდიოდა 53,2 ტრაქტორი და 0,4 კომბაინი, რაც სლოვენიაზე 35-ჯერ ნაკლები იყო<sup>6</sup>. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი იანგარიშება დამუშავებული მიწების ფართობებთან მიმართებაში, რადგან

---

<sup>5</sup> w.w.w. data world bank. org.

<sup>6</sup> FAO Statistical Yearbook. 2009. Statistics Division FAO.

საქართველოში მკვეთრად შემცირებულია ნათესი ფართობების რაოდენობა.

დღეისათვის საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში ძალზე მცირეა. 2007 წელს სოფლის მეურნეობის წილი მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში შეადგენდა 0,8%, 2008 წელს - 0,5%, 2009 წლისათვის გაიზარდა - 3,4%, 2010 ეს მაჩვენებელი კვლავ შემცირდა 1,0%-მდე. ხოლო 2016 წლისათვის პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 0,8% შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება თხილის წარმოების, ღვინის დამზადების, წყლის ჩამოსხმისა და სხვა სფეროებში.

სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებ მიმზიდველი იყო საბანკო სექტორისათვის. (იხ. ცხრილი 9). შემდგომ არსებული მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა და 2016 წელს სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული კრედიტების წილმა მთლიანი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში 4,0% შეადგინა.

ცხრილი 9

კრედიტების განაწილება დარგების მიხედვით (მთლიანი სესხების პროცენტი)

|   | 2005 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|------|------|------|------|------|------|------|------|
| სოფლის მეურნეობა სატყეო სექტორი, თევზჭერა | 0,49 | 0,6  | 1,01 | 3,0  | 3,8  | 4,6  | 4,6  | 4,0  |

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული "ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია" რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს ჩართვა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში". შემუშავდა ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში. უკვე 2014 წლის 27 ივნისს საქართველოში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას რომელიც მოიცავს თავისუფალ

სავაჭრო სივრცეს (DCFTA). DCFTA-ის ხელმოწერა საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს გზას უხსნის ევროკავშირის ბაზრისაკენ და გაიზრდება ბოსტნეულის, ხილის, თხილის, მცენარეული ზეთების და ცხოველური პროდუქტების წარმოება.

შეთანხმებების შესაბამისად საბაჟო ტარიფები მოეხსნება საქართველოდან ექსპორტირებულ ყველა პროდუქციას. იგი ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის სამი ტიპის გამონაკლისს:

- თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვლევების ფარგლებში ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი;

- პროდუქტები, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გადასახადის ad valorem (ღირებულების შესაბამისი) ადვალორული კომპონენტი გაუქმებულია. რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. საქართველოს ექსპორტიორებისათვის საინტერესოა ამ კუთხით: პომიდორი, კიტრი, ტკბილი ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი;

- პროდუქტები, რომლებიც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო (anti-circum-vention) მექანიზმი: ღორის, საქონლის და ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ბურღულეული, შაქარი, სოკო, ალაო, ქატო, ტკბილი სიმინდი და სხვ.

დღეის მდგომარეობით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნებთან. DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სისტემის რეფორმირება.

იმისათვის რომ საქართველოში წარმოებული საქონელი საბაჟო ტარიფების გარეშე შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე მან უნდა

დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული პირობები. ამიტომ საჭიროა საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის - EVR-ის აღება, რომელიც გაცივმა შემოსავლების სამსახურის მიერ. წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან 4 თვის განმავლობაში. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროდირექტივებთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და დასრულდეს 2030 წელს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, აუცილებელია ერთობლივი მოქმედება რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მცირე მეურნეობათა მდგომარეობა<sup>7</sup>. ამ მიზნით საჭიროა, რომ 2020 წლისთვის ბიუჯეტის სახელმწიფო ხარჯებში, 10%-ით გაიზარდოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი. განვითარდეს ინფრასტრუქტურა სოფლად და ფართოდ დაინერგოს უფასო სასოფლო-სამეურნეო სწავლების სამსახურები, გაძლიერდეს ეკონომიკური რეგულაციები და დაინერგოს პროგრამები, რომლებიც წახალისებენ სუპერმარკეტებსა და ქალაქების საცალოს სავაჭრო ქსელის ობიექტებს, რომ მეტი საქონელი შეიძინონ ადგილობრივი მცირე მეურნეობებიდან, მათ შორის კოოპერატივებიდან. მოხდეს ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა, რისთვისაც აუცილებელია:

- ხელი შევუწყოთ მცირე მეურნეობებს დაარეგისტრირონ მიწა საკუთრებაში, რათა გამოიყენონ საკუთრების უფლება ბანკიდან აღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით;

- მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტი გარდაიქმნას სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად. რომლის კრედიტები ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმერისათვის და კოოპერატივისთვის;

---

<sup>7</sup> "საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ ბაზრებზე". სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წ. გვ. 29.

- გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოო ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ ეროვნულ სააგენტოდ;

- სახელმწიფო შესყიდვების დროს პრიორიტეტი მიენიჭოს მცირე მეურნეობებს.

ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ აუცილებელია საქართველოში შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, როგორცაა სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და სოფლის მეწარმეთა წახალისება, აგროტურიზმისა და ღვინის სექტორის განვითარება, რომლის დიდი პოტენციალი ბოლო ათწლეულის განმავლობაში თანდათან შესამჩნევი ხდება.

## **2.2 დაკრედიტების პრობლემები საქართველოს აგრარულ სექტორში**

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისაკენ, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსებზე, ინფრასტრუქტურაზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას.

სოფლის მეურნეობის დაფინანსების სისტემის სრულყოფის მიზნით 2012 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ა(ა) იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით. ქვეყანაში სააგენტოს მიერ ხორციელდება "ერთიანი პროექტი" რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს [1. 35 გვ.] დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში, აგროდაზღვევა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება, შეღავათიანი აგროკრედიტი, ქართული ჩაი და ა.შ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში 2013 წლიდან შეიქმნა სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერის პროგრამებს, მათ შორის:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოცულობა და სათიბებით უზრუნველყოფა;
- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობით;
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობით;
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით და ხორციელდება სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ბაზრის დივერსიფიკაციის კუთხით. ქვეყანაში არსებულ - 19 კომერციულ-ბანკიდან, აგროკრედიტების გაცემას უზრუნველყოფდა 15 მსხვილი ბანკი. პროექტების მიღება, განხილვა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა მხოლოდ კომერციული ბანკების მიერ, სახელმწიფო უწყებების ჩარევის გარეშე. "შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის" საწყის ეტაპზე სააგენტო ფერმერების და აგრომეწარმეებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლების მეშვეობით სთავაზობდა სამი სახის შეღავათიან კრედიტს:

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადებას) მცირე ფერმერებისათვის;
2. შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი მეწარმეებისათვის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების დაფინანსება

მოკლე ვადით);

3. შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის (ძირითადად-ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).

2017 წლის თებერვალში მთავრობის მიერ მიღებული იქნა დადგენილება №246. რომლის საფუძველზეც "შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი" შედგება შემდეგი ფინანსური პროდუქციისაგან:

I. შეღავათიანი აგროკრედიტი ორი კომპონენტით:

1) შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის.

საბრუნავი საშუალებებისათვის პროექტის ფარგლებში, აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის გაიცემა ბენეფიციარებისათვის შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

ა) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;

ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შექმნას ახდენენ სპირტის წარმოების მიზნით;

გ) ატმის შემსყიდველი საწარმოები;

დ) არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები;

ე) მანდარინის შემსყიდველი და გადამამუშავებელი საწარმოები.

2) შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის. პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებებისათვის სესხი გაცემა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის, არსებულის გაფართოების ან მოდერნიზაციისათვის. აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს აგრო-სესხების გაცემის 20 000-დან 150 000 ლარამდე, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში. 20 000-დან 75 000 ლარამდე.

II. შეღავათიანი აგროლიზინგი. ეს კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით სარგებლობენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციას ან ეწვეიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს.

III. პროგრამა "აწარმოე საქართველოში". პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მისი მიზანია წარმოების განვითარებაზე ორიენტირებულ-ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და ახალი საწარმოების შექმნა, ასევე არსებულის მოდერნიზაცია.

პროექტის განხორციელებაში ჩართული ფინანსური ინსტიტუტები:

- უზრუნველყოფენ დაბალ საპროცენტო განაკვეთს სასაქონლო განვადებაზე;

- გასცემენ კრედიტებს საბრუნავი საშუალებების და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად;

- გრძელვადიანად გასცემენ ძირითად საშუალებებს ლიზინგით.

სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო:

- ახდენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების შესაბამისად საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო ხარჯების საგარანტიო თანადაფინანსებას, საბრუნავი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 8%-ს, ხოლო ძირითადი საშუალებების შემთხვევაში წლიურად 11% (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებზე 9% და 12%);

- აფინანსებს ლიზინგით ძირითადი საშუალებების გადასახადს წლიურად 12%-ით (2015 წლის 1 იანვრამდე გაცემულ ლიზინგზე 13%);

- სესხის ძირითადი თანხის ნახევარს უზრუნველყოფს საგარანტიო წერილით (მეორადი უზრუნველყოფა);

- სასოფლო-სამეურნეო მიწით უზრუნველყოფილი სესხის ჩამოწერის შემდეგ, საფინანსო ინსტიტუტის სურვილის შემთხვევაში, გარანტირებულად შეისყიდოს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით



დატვირთულ მიწას, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმატიული ფასის შესაბამისად;

- მონიტორინგს უწევს პროცესებს, რომ დაცული იყოს შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემას და მომსახურების პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში ძირითადად ვეყრდნობოდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებს, რადგან საქსტატისა და ეროვნული ბანკის მონაცემები ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად ასახავს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის რეალურ მაჩვენებლებს. განსაკუთრებით პრობლემატურია გაცემული სესხების რაოდენობას და მოცულობას, ასევე პორტელის ოდენობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა, ეროვნული ბანკის მიერ. განსხვავების მიზეზს წარმოადგენს ეროვნული ბანკის მიერ სესხებზე მინიჭებული კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც არამეწარმე ფიზიკურ პირებზე გაცემული შეღავათიანი აგროსესხები, რომლებიც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის პირობების მიხედვით მხოლოდ აგრო დანიშნულება შეიძლება იქნეს გამოყენებული, აღრიცხება როგორც სამომხმარებლო სესხები.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემებით, რომელსაც ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაწყებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ყველა კრედიტის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერებზე გაცემულია 25313 სესხი ლარში და 2260 სესხი აშშ. დოლარში, რომელია ჯამური მოცულობა შეადგენს 760800,3 ათას ლარს და 240067,5 ათას აშშ დოლარს. პროექტის ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 17746 აქედან 13849 მცირე ფერმერის (იხ. ცხრილი 10).

ორივე ვალუტაში გაცემული სესხების გაცემით 2016 წლის 31 დეკემბერს არსებულ-კურსის (2,6468 ლარი/აშშ დოლარი) მიხედვით, ჯამში გაცემული თანხის მოცულობა შეადგენს 1,4 მილიარდამდე ლარს.

გაცემულ-სესხების რაოდენობა და მოცულობა 2013-2016 წლებში

| წლები | ყველა სახის ფერმერზე ლარში გაცემული სესხი |                             | ყველა სახის ფერმერზე აშშ დოლარში გაცემული სესხი |                                   | სულ გაცემული       |                             |
|-------|---|-----------------------------|---|-----------------------------------|--------------------|-----------------------------|
|       | სესხების რაოდენობა                        | გაცემული თანხა (ათასი ლარი) | სესხების რაოდენობა                              | გაცემული თანხა (ათასი აშშ დოლარი) | სესხების რაოდენობა | გაცემული თანხა (ათასი ლარი) |
| 2013  | 5818                                      | 158117,3                    | 3999  | 54702,6                           | 6217               | 302904,2                    |
| 2014  | 15170                                     | 343533,5                    | 447   | 75999,8                           | 15617              | 544689,8                    |
| 2015  | 3269                                      | 185486,3                    | 579   | 56985,1                           | 3848               | 336314,6                    |
| 2016  | 1056                                      | 73663,2                     | 835   | 52379,9                           | 1891               | 212302,3                    |
| სულ   | 25313                                     | 760800,3                    | 2260  | 24067,4                           | 27573              | 1396210,9                   |

წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო 2017 წლის მონაცემები.

შესწავლილ პერიოდში მიზნობრიობის მიხედვით ყველა სახის (მცირე, საშუალო და მსხვილ) ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამი (ლარში გამოსახული) ასე გამოიყურება, (იხ. ცხრილი 11).

გაცემულ-სესხების მოცულობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა | 2013-2016 წლებში გაცემული სესხების მოცულობა |                   |                   |                   |                   |      |
|-------------|---|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|------|
|             | 2013 (ათასი ლარი)                           | 2014 (ათასი ლარი) | 2015 (ათასი ლარი) | 2016 (ათასი ლარი) | ჯამი (ათასი ლარი) | %    |
| საბრ. საშ.  | 109199,7                                    | 197029,5          | 113562,5          | 40486,9           | 460278,7          | 33,0 |
| ძირ.საშ     | 193704,5                                    | 347660,3          | 222752,0          | 171815,4          | 935932,2          | 67,0 |
| ჯამი        | 302904,0                                    | 544689,8          | 336314,5          | 212302,3          | 1396210,9         |      |

წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემები. 2017 წელი.

კვლევის შედეგად საინტერესო აღმოჩნდა მცირე ფერმერებზე პროექტის ფარგლებში გაცემული სესხების მოცულობის დაჯგუფება მიზნობრიობის მიხედვით (იხ. ცხრილი 12), როგორც მე-12 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს საკვლევი წლების მიხედვით მცირე ფერმერებზე საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 49%, ხოლო ძირითადი საშუალებებისათვის გაცემული სესხების მოცულობა შეადგენს 51% შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია სოფლის მეურნეობის 45 პირველადი და გადამამუშავებელი დარგი, ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებები, შერეული და მრავალდარგობრივი მეურნეობები.

ცხრილი 12

მცირე ფერმერებზე გაცემულ-სესხების მოცულობა სესხის მიზნობრიობის მიხედვით

| მიზნობრიობა              | მცირე ფერმერებზე გაცემული სესხების მოცულობა |                         |                         |       |
|--------------------------|---|-------------------------|-------------------------|-------|
|                          | 2013<br>(ათასი<br>ლარი)                     | 2014<br>(ათასი<br>ლარი) | ჯამი<br>(ათასი<br>ლარი) | %     |
| საბრუნავი<br>საშუალებები | 20435,2                                     | 55530,9                 | 75966,1                 | 49,0  |
| ძირითადი<br>საშუალებები  | 18567,7                                     | 59952,3                 | 78520,0                 | 51,0  |
| ჯამი                     | 39002,9                                     | 115483,2                | 154486,1                | 100,0 |

წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემები. 2017 წელი

საწარმოთა კატეგორიების მიხედვით გაცემული სესხების რაოდენობა და ჯამების წლების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 13). ცხრილიდან ჩანს, პირველადი წარმოებაზე გაცემული სესხების რაოდენობა შემცირდა 2015-2016 წლებში, რაც აიხსნება სესხის ზღვარის 20000 ლარამდე შეცვლით.

გაცემული სესხების რაოდენობა და მოცულობა საწარმოთა კატეგორიის მიხედვით 2013-2016 წლებში

| საწარმოს კატეგორია          | ყველა ფერმერზე გაცემული სესხი |       |                  |       |
|-----------------------------|-------------------------------|-------|------------------|-------|
|                             | რაოდენობა                     | %     | თანხა (ათ. ლარი) | %     |
| 1                           | 2                             | 3     | 4                | 5     |
| 2013 წელი                   |                               |       |                  |       |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 88                            | 0,32  | 56907,0          | 4,08  |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 31                            | 0,11  | 10853,2          | 0,78  |
| პირველადი საწარმოები        | 6040                          | 21,9  | 175140,5         | 12,54 |
| შემსყიდველი საწარმოები      | 55                            | 0,20  | 56747,8          | 4,06  |
| შესაფუთი და ტარა მასალები   | 3                             | 0,01  | 3255,5           | 0,23  |
| სულ ჯამი                    | 6217                          | 22,55 | 302904,0         | 6,91  |
| 2014 წელი                   |                               |       |                  |       |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 143                           | 0,52  | 96524,5          | 6,91  |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 28                            | 0,10  | 9576,8           | 0,69  |
| პირველადი საწარმოები        | 15358                         | 55,7  | 341577,7         | 24,4  |
| შემსყიდველი საწარმოები      | 82                            | 0,30  | 93564,1          | 6,70  |
| შესაფუთი და ტარა მასალები   | 6                             | 0,02  | 3446,6           | 0,25  |
| სულ ჯამი                    | 15617                         | 56,64 | 544689,7         | 39,01 |
| 2015 წელი                   |                               |       |                  |       |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 127                           | 0,46  | 45370,6          | 3,25  |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 72                            | 0,26  | 7616,9           | 0,55  |
| პირველადი საწარმოები        | 3558                          | 12,90 | 212730,7         | 15,24 |
| შემსყიდველი საწარმოები      | 84                            | 0,30  | 68690,0          | 4,92  |
| შესაფუთი და ტარა მასალები   | 7                             | 0,03  | 1906,2           | 0,14  |
| სულ ჯამი                    | 3848                          | 13,96 | 336314,4         | 24,09 |
| 2016 წელი                   |                               |       |                  |       |
| გადამამუშავებელი საწარმოები | 174                           | 0,63  | 45729,2          | 3,28  |
| ინფრასტრუქტურული საწარმოები | 186                           | 0,67  | 23469,4          | 1,68  |
| პირველადი საწარმოები        | 1473                          | 5,34  | 106210,2         | 7,61  |
| შემსყიდველი საწარმოები      | 56                            | 0,20  | 36795,4          | 2,64  |
| შესაფუთი და ტარა მასალები   | 2                             | 0,01  | 97,9             | 0,01  |
| სულ ჯამი                    | 1891                          | 6,86  | 212302,2         | 15,21 |
| მთლიანი ჯამი                | 27573                         | 100,0 | 1396210,9        | 100,0 |

წყარო: გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მონაცემები 2017 წელი.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად ბენეფიციართა უმრავლესობამ ისარგებლა "შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისათვის" კომპონენტით 41%, რომელსაც შემდეგ მოსდევს უპროცენტო განვადება - 24%, და "შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის" - 23%, რაც შეეხება კრედიტით სარგებლობის მიზნობრიობას, ის შემდეგია 59% მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, 38% არსებული ბიზნესის გასაფართოებლად, 5% ახალი ბიზნესის დასაწყებად და 5% სხვა მიზნებისათვის.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა საშელავათო პერიოდთან დაკავშირებული გარემოება, ფერმერთა უმრავლესობა მოითხოვს, რომ პერსპექტივაში ბანკებმა უნდა განსაზღვრონ რეალური საშელავათო პერიოდი. აღნიშნულს კარგი მაგალითია თი-ბი-სი ბანკი, მის მიერ შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში შექმნილი ახალი პროდუქტი - აგრო-საინვესტიციო სესხი, რომლის მაქსიმალური საშელავათო პერიოდი 5 წელია. აგრო-საინვესტიციო სესხი მრავალწლიანი ნარგავების გაშენებით დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს აღებული სესხის ძირი თანხის გადახდა მხოლოდ მას შემდეგ განახორციელოს, რაც სესხით გაშენებული ბაღი კომერციულ მსხმოიარობაში შევა. სამომავლოდ დახვეწას საჭიროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რადგან იგი წარმოადგენს მცირე ფერმერებისათვის სესხზე უარის თქმას ძირითად მიზეზს. სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს რათა ბანკებმა გადახედონ საკუთარ პოლიტიკას უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მართალია, დღეისათვის პროექტების მართვის სააგენტო ახდენს ძირითადი საშუალებების კომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის 50%-მდე მეორად უზრუნველყოფას, მაგრამ იგი მაინც ვერ აგვარებს პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს არანაირი ბარიერი ქალების და ახალგაზრდების პროგრამაში

მონაწილეობისათვის, მათი პროგრამაში ჩართულობის დონე მაინც დაბალია, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ქვე-კომპონენტი, რომლითაც წახალისებს ქალებს და ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამაში.

სოფლის მეურნეობის გაფართოვებული აღწარმოების და სასაქონლო წარმოების აღმავლობის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების პრობლემის მოგვარება. დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაფინანსება ხდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი თანხებით. სახელმწიფო ატარებს ისეთ საბაჟო და საგადასახადო (ფისკალურ) პოლიტიკას, რითაც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას. მაგალითისათვის საინტერესოა ბალტიის პირეთის პოსტ საბჭოთა ქვეყნების ესტონეთის, ლიტვის და ლატვიის აგრარული სექტორის დაფინანსების გაანალიზება. ლიტვაში სოფლის მეურნეობა ფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან (EAFRD). აღნიშნული ფონდიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 1,8 მილიარდ ევროს, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე, ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები 66 მლნ. ევროს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფს თანხების სახნავ-სათესი მიწების დასამუშავებლად და მეცხოველეობისათვის, ასევე დამატებით თანხები გამოეყოფა იმ პირებს, ვინც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებს. საკომპენსაციო თანხები გამოეყოფათ იმ ფერმერებს, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ნაკლებად შემოსავლიან ადგილებში. რაც შეეხება ლატვიას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს 76 მლნ. ევროს, ესტონეთში სოფლის მეურნეობის განვითარება ფინანსდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სუბსიდიები შეადგენს 35 მლნ. ეევროს), ასევე ევროპის სოფლის მეურნეობის

განვითარების ფონდიდან (EAFRD) გამოყოფილი თანხები 107 მლნ ევროს შეადგენს, რაც აღნიშნული ფონდის ბიუჯეტის (54 მლრდ. ევრო) 0,20%-ია. სუბსიდირებას საქართველოს აგრარულ სექტორშიც ახორციელებს, სხვადასხვა ფორმით, სუბსიდირებას არსებული მოდელი 2013 წელს შეიქმნა და იგი მნიშვნელოვან სოციალურ დატვირთვას ატარებს. მაგალითად. 2016 წელს ყველა მევენახემ 1 კგ ჩაბარებულ რქაწითელზე და მწვანეზე ბიუჯეტიდან 45 თეთრი, 1 კგ. საფერავზე 20 თეთრის სუბსიდია მიიღო. ჯამში ყურძნის სუბსიდირებაში გადახდილმა თანხამ 100 მლნ. ლარი შეადგინა.

ჩატარებული კვლევის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის გაფართოვებული კვლავწარმოების უზრუნველყოფისათვის მეტად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დაფინანსების პირობების სრულყოფა, ახალი ალტერნატიული წყაროების და მექანიზმების მოძიება და დანერგვა. ასევე საჭიროა არსებული საბიუჯეტო წყაროების მიზანმიმართული და ეფექტური გამოყენება, რათა სოფლად ინვესტირებულმა ფინანსებმა უზრუნველყოს მაქსიმალური უკუგება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდება.

### **2.3 საზღვარგარეთ ქვეყნების გამოცდილება აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სფეროში**

#### **ა) სოფლის მეურნეობაში გაფართოვებული აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ამერიკული გამოცდილება**

აღნიშნული ქვეთავის მიზანს წარმოადგენს ამერიკული გამოცდილების გაანალიზება და მისი გათვალისწინება აგრარული სექტორის გაძლიერების საქმეში. ამერიკის შეერთებული შტატების აგრარული სექტორი წარმოადგენს დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე კონკურენტულ და დინამიურ განვითარების მქონე სექტორს. ა.შ.შ-ში აგრობიზნესის განვითარების ასეთი მაღალი დონე განაპირობა წლების მანძილზე სახელმწიფოს მიერ აგრარულ სექტორში აღწარმოების რეგულირების აქტიურმა პოლიტიკამ.

ისტორიულად ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სფეროს რომელიც ტრადიციულად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, რადგან პირველ რიგში აგრარული პროდუქციის ბაზრებზე ვლინდება ყველაზე მნიშვნელოვანი დონით „ბაზრის ფიასკო“, მეორეს მხრივ აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის გარე ეფექტები, მესამე–არსებობს საზოგადოებრივი სარგებელი. ეს უკანასკნელი ხასიათდება, იმით, რომ გარანტირებულ სასურსათო უსაფრთხოებას და კარგ გარემოს მაღალ შეფასებას აძლევენ ადამიანები, მაგრამ იგი სახელმწიფოს საქმეა. სახელმწიფოს მიერ აგრარულ სფეროში რეგულატორის როლის შესრულების შედეგად შესაძლებელია კონკურენციის დონის შენარჩუნება, საკუთრების უფლებათა და არჩევანის თავისუფლების ეფექტური დაცვა. სწორედ სახელმწიფო უზრუნველყოფს ფერმერებისათვის სამართლიანობას. ასე, მაგალითად–იმისთვის რომ უზრუნველყონ ფერმერები საარსებო საშუალებებით იმავე დონეზე, როგორც ქალაქად ა.შ.შ–ში სახელმწიფოს მიერ სუფსიდირდება ელექტროენერჯის მიწოდება სოფლის რაიონებში. განსაკუთრებით აქტიურად არეგულირებს სახელმწიფო სასოფლო–სამეურნეო წარმოების ძირითად ფაქტორს–მიწას. ამ შემთხვევაში რეგულირების ძირითად მიზანს წარმოადგენს კონკურენციის გაძლიერება და შენარჩუნება დარგში. აღნიშნულის მიღწევის მიზნით სახელმწიფო უწყებს მოთხოვნებს მიწის ნაკვეთის მფლობელს, რომ ერთის მხრივ იყოს არა მარტო მიწის მესაკუთრე, არამედ საოფლო–სამეურნეო პროდუქციის უშუალო მწარმოებელი. ამასთან ერთად მეორეს მხრივ აწესებს სხვადასხვა შეღავათებს ფერმერებისათვის–მიწის მფლობელებისათვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფოს ჩარევა აგრარულ სექტორში სათავეს იღებს მე–20 საუკუნის 30–იანი წლებიდან ანუ ე.წ. დიდი დეპრესიის პერიოდიდან. მანამდე თითქმის 70 წლის მანძილზე მოქმედებდა კანონი საკარმიდამო მეურნეობის (Homestead Act) და მორილას (Morrill Act) კანონი. აღნიშნული საკანონმდებლო ბაზის აგრარული პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის განვითარება მისი კომპონენტებით და



როგორც Heady აღნიშნავდა, ეს იყო საუკეთესო შედეგებით ლოგიკური და შედეგებით წარმატებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, რომელიც კი ოდესმე არსებულა მსოფლიოში.<sup>8</sup> (117)

სამწუხაროდ ამერიკის სოფლის მეურნეობის ოქროს საუკუნე დასრულდა დიდი დეპრესიის დაწყებით. 1929 წლიდან 1932 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ინდექსი შემცირდა 56%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის წმინდა შემოსავალი კი 70%-ით, 6,3 მლრდ. დოლარიდან 1,9 მლრდ დოლარამდე.<sup>9</sup> მრავალი ფერმერის შემოსავალი გაცილებით ნაკლები იყო, მათ მიერ გაწეულ ხარჯებზე. ყოველივე ამას მოყვა ფერმერთა დრამატული პროტესტები და გადამამუშავებელი საწარმოების პიკეტირება.

ისმის კითხვა, თუ რა გახდა კრიზისის რეალური მიზეზი სოფლის მეურნეობაში? ამერიკელმა ეკონომისტებმა წამოაყენეს ორი მიზეზი, და შესაბამისად სახელმწიფო რეგულირების ცვლილებების ორი მიმართულება. პირველი მიმართულების მიმდევრები თვლიდნენ, რომ კრიზისი გამოიწვია ფულისა და კრედიტის კოლაფსმა, ხოლო მისგან თავის დაღწევის საშუალებად გამოყენებული იქნა მონეტარული პოლიტიკის ცვლილება<sup>10</sup> მეორე ჯგუფის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ რომ პრობლემა არსებობს თვით სოფლის მეურნეობის შიგნით პროდუქციის წარმოებაში. ამიტომ მათი აზრით მისი თავიდან აცილება შესაძლებელია მიწოდების შემცირებით, რათა გაიზარდოს ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე<sup>11</sup>.

მეორე მიზეზი უფრო გასაგებია, როგორც პოლიტიკოსებისთვის ისე ფერმერებისათვის, რაც საფუძველი გახდა სოფლის მეურნეობის ახალი

---

<sup>8</sup> 117 Heady, Earl O. The Agriculture of the U.S. - Scientific American, # 235(1976), p.106

<sup>9</sup> 118 Paarlberg, Don. Effects of New Deal Farm Programs on the Agricultural Agenda a Half-Century Later and Prospect for the Future. - American Journal of Agricultural Economics, Vol. 65, #5, December 1983, p.1163.

<sup>10</sup> 119 Warren, G.F. and F.H. Pearson. Prices, New York: John Wiley & Sons, 1933, pp. 178-182

<sup>11</sup> 120 Black, John D. Agricultural Reform in the United States. - New York: McGraw-Hill Book Co., 1929.

კურსის პროგრამების შემუშავებისა. მის საფუძველს წარმოადგენდა 1933 წლის კანონი სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ (Agricultural Adjustment Act, AAA), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში – ადმინისტრაციის საქმიანობის რეგულირების შესახებ სოფლის მეურნეობის სფეროში (Agricultural Adjustment Administration), რეგულირება წარიმართა AAA კანონით და (მისი 1938წელს განვითარებული რედაქციით), ასევე 1937 წელს მიღებული ახალი კანონით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მარკეტინგული შეთანხმებების შესახებ. ორივე ეს კანონი მიმართული იყო ფერმერთათვის საბაზრო კოორდინაციის პირობებში ცვლილებების შესატანად. აღნიშნულის მიღწევის მიზნით სახელმწიფომ დაიწყო კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რათა გაზრდილიყო მოთხოვნა და შემცირებულიყო მიწოდება ამერიკული სოფლის მეურნეობის პროდუქტების. აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შემცირების სახელმწიფო რეგულირება ძნელად შესათვისებელი აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკისათვის. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ თავდაპირველი თანაბარი ფასეულობის პირობებში მარკეტინგული ბრძანებები უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე მარკეტინგული შეთანხმებები, მათი დიდი საკანონმდებლო დაცულობით ერთ დროს ის სავალდებულო იყო ყველა კონტრაგენტისათვის. ცალკეული ჯგუფის საქონლის მიმართ მარკეტინგული ბრძანებებით ცდილობდნენ დაეცვათ ფერმერთა შემოსავლები, ცალკეული საქონლის ჯგუფები ხარისხის გათვალისწინებით (მაგალითად ფასების მინიმუმის დაფიქსირება, რომლითაც კონტრაგენტებმა უნდა გადაუხადონ მწარმოებლებს რძის სხვადასხვა კლასებისათვის) და რაოდენობის მიხედვით, რომელიც შესაძლებელია ტრანსპორტირებული იქნეს, კონკურენციის არაპატიოსანი აკრძალული მეთოდებით და არაპატიოსანი ვაჭრობის პრაქტიკით. ასევე მარკეტინგული კვლევის და განვითარების პროგრამით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციისათვის.

მარკეტინგული ბრძანებები არ იქნა გამტკიცებული ინსტიტუციური ცვლილებებით და ფერმერებისათვის არ იყო შედეგის მომტანი. ამიტომ როგორც წესი ისინი მოქმედებდნენ ასოციაციებში გაერთიანებულნი მოლაპარაკებებისას მარკეტინგულ კოოპერატივებთან. ეს კოოპერატივები წარმოადგენდნენ ჰორიზონტალური ინტეგრაციის ნიმუშს და მოქმედებდნენ, როგორც აგენტები ფერმერთათვის გარიგების დასადებად, იმ მიზნით რათა საკონტრაქტო მოლაპარაკებების გზით გავლენა მოეხდინათ ვაჭრობის პირობებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლებისა და მის მყიდველებზე.

სწორედ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სახელმწიფო დიდ დაინტერესებას და კეთილგანწყობას იჩენდა ფერმერთა კოოპერატივებისადმი. დიდი დეპრესიის წლებმა მისცა ბიძგი სახელმწიფო პროტექციონიზმს, როგორც საკრედიტო, ისე ელექტროფიკაციის კოოპერატივების მიმართ. სწორედ ამ პერიოდში იქნა დაფუძნებული საწარმო-საკრედიტო ასოციაცია, ფერმერთა კოოპერატივების დაკრედიტების ეროვნული ასოციაცია, სოფლის რაიონების ელექტროფიკაციის ასოციაცია. ეს პერიოდი ხასიათდება სადაზღვევო, საირიგაციო და სხვა მრავალფეროვანი ასოციაციების ჩამოყალიბებით, რომლებიც სასოფლო რაიონებში ეწეოდნენ სხვადასხვა სახის მომსახურებას.

ახალი კურსის აგრარული რეფორმები მოიცავდა არა მარტო ფასების სტაბილიზაციას, არამედ ისეთი ახალი ინსტიტუტების შექმნას როგორცაა: ფერმერული კრედიტი, მიწის არენდის ახალი ვადების შესახებ ხელშეკრულებები, მოსავლის ფედერალური დაზღვევა, სოფლის მეურნეობის არახელსაყრელი სექტორის სპეციალური მხარდაჭერა. კერძოდ კონგრესის მიერ სანქცირებული იქნა ახლი საკრედიტო პროგრამები, სადაც განსაზღვრული იქნა ფერმერთა დანაკარგები ჩადებული ქონების გამოსყიდვისას, რაც საშუალებას აძლევდა დამწყებ ფერმერებს მიეღოთ კრედიტები ხელსაყრელი პირობებით.

ასევე კონგრესმა გაუზარდა ფედერალურ მიწის ბანკს კაპიტალი, რათა მას საშუალება ჰქონოდა უფრო დაბალი პროცენტით გაესესხებინა თანხა, რაც მას დიდ დახმარებას უწევდა ფერმერთა რეფინანსირებაში, რომლებსაც ემუქრებოდათ ჩადებული ქონების გამოსყიდვის უფლების დაკარგა. ეს ასევე უზრუნველყოფდა სასოფლო ბანკების არაპირდაპირ მხარდაჭერას და ფერმერებს საშუალებას აძლევდა დაეფარათ თავიანთი საბანკო კრედიტები. ამასთან ერთად დაბალი შემოსავლების მქონე ფერმერების დახმარებისათვის შეიქმნა გადასახლების ადმინისტრაცია. მისი საქმიანობის ძირითადი სახეები ჩართული იქნა ა.შ.შ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობაში ახალი სააგენტოს სახით - Farm Security Administration, რომელიც 1946 წელს რეორგანიზებული იქნა Farmers Home Administration და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკუთრების უზრუნველყოფა და იმ ფერმერებზე სესხების გაცემის უზრუნველყოფა, რომლებსაც სხვაგან არ შეეძლოთ კრედიტის აღება.

ახალი კურსის სასოფლო-სამეურნეო რეფორმები მოკლევადიან პერიოდში იყო მეტად მნიშვნელოვანი. მათ რადიკალურად შეცვალეს სოფლის მეურნეობის ირგვლივ არსებული ატმოსფერო, გაიზარდა ყურადღება ფერმერების მიმართ და ამაღლდა დარგის მნიშვნელობა ამერიკის ეკონომიკაში.

საკანონმდებლო ღონისძიებების უმრავლესობა მთავრობის მიერ მიმართული იყო ორი ამოცანის გადასაჭრელად: 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების გასაღიდეზღად, 2. ფერმერთა მიერ ჩადებული ქონების გამოსყიდვისას ფერმერთა მხრიდან დანაკარგების თავიდან აცილებისათვის. ამრიგად ახალი კურსის რეფორმების ყურადღების ცენტრში იყო ფერმერული მეურნეობების შენარჩუნება და განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდაჭერა. ამერიკელი ფერმერები არ იქნენ მიტოვებული ბაზრის განუკითხაობის და ბუნების კაპრიზების ამარა.

გრძელვადიან პერიოდში ღონისძიებებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდების და მიწოდების შემცირების შესახებ

ვერ მოახდინა არსებითი ზეგავლენა ამერიკელი ფერმერების ბედზე, რადგან მან ვერ შეცვალა მოთხოვნა და მიწოდება სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე, მაგრამ ინსტიტუციურ ცვლილებებთან ერთად, იგი ფერმერებს დაეხმარა საქმიანობის უკეთ ორგანიზებაში, ბაზრებზე მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში სახელმწიფო ძალის გამოყენებით საკუთარი ინტერესების უკეთ დაცვაში.

კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებმა საკუთარი ძალისხმევით გაერთიანებით შეძლეს ბაზრებზე აგრობიზნესის მსხვილ ფორმებთან ერთად კონკურენტულ პირობებში თანაბარი პოზიციების შენარჩუნება. ამრიგად ახალი კურსის აგრარული რეფორმების შედეგად რეალურად შეიცვალა „ბიზნეს-გარემო“, ცალკეული ფერმერებისათვის მნიშვნელოვნად შემცირდა ტრანზაქციული დანახარჯები და ამერიკული აგრობიზნესის ინსტიტუციური გარემო. კონკურენცია ფერმერებს შორის კვლავ გრძელდებოდა და მწვავე ხასიათს ატარებდა, რამაც მიგვიყვანა სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან და ფერმერთა გარკვეული კატეგორიის შევიწროებასთან. გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გაზრდა მიღწეული იქნა ფაქტიურად წარმოების ფაქტორების ცვლილების გარეშე. იმ პირობებში, როდესაც ნათესი მიწის ფართობების სიდიდე უცვლელი იყო, წარმოების შეძენილი ფაქტორების რაოდენობა ფაქტიურად გაორმაგდა, ხოლო გამოყენებული შრომის რაოდენობა ფაქტიურად შემცირდა სამი მეოთხედით. 1920 წლიდან 1970 წლამდე პერიოდში სოფლის მეურნეობის საერთო წარმადობა გაორმაგდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 8-ჯერ. ფერმერული მეურნეობების რაოდენობა შემცირდა ამავე პერიოდში 6,5 მლნ.-დან 3,0 მლნ.-მდე. [46, 122 გვ.]

ა.შ.შ.-ს აგრარული სფეროს განვითარების მოცემულმა ტენდენციებამა განაპირობა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირებაში არსებული ცვლილებები. 1920-დან 1970 წლის ჩათვლით სასოფლო სამეურნეო და სასურსათო პოლიტიკა ძირითადად განპირობებული იქნა ჯგუფის მიერ

სახელწოდებით „სასოფლო –სამეურნეო ესტებლიშმენტი“ ("agricultural establishment"). იგი წარმოდგენილი იყო სასოფლო– სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი სათაო ორგანიზაციით. მაგალითად– ფერმერთა ნაციონალური ორგანიზაცია (The National Farmers Organization), მოძრაობა ამერიკული სოფლის მეურნეობისათვის The American Agriculture Movement); ცალკეული სახის სასოფლო– სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, მაგალითად: ხორბლის მწარმოებელთა ნაციონალური ასოციაცია (The National Association of Wheat Growers), სოიოს მარცვლის მწარმოებელთა ნაციონალური ასოციაცია(The American Soybean Association); ა.შ.შ.–ს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო; უნივერსიტეტების სასოფლო–სამეურნეო ფაკულტეტები და განსაკუთრებით კონგრესის სასოფლო–სამეურნეო კომიტეტი [49, 23გვ.]

ა.შ.შ.–ს სოფლის მეურნეობის მინისტრების ყოფილი თანაშემწე ბატ. Don Paarlberg, ეიზენჰაუერის, ჰიქსონის და ფორდის ადმინისტრაციებში ასაბუთებდა, რომ მე–20 საუკუნის 70–იან წლებში ამ ორგანიზაციებს უკვე აღარ შეეძლოთ სოფლის მეურნეობის პრობლემების მთელი სპექტრის კონტროლირება.[45,60-61გვ.] სამომხმარებლო ორგანიზაციათა აქტივისტებმა, გარემოს დამცველებმა, მნიშვნელოვნად გააფართოვეს აგრარული პოლიტიკის პრობლემათა წრე, მაგრამ მათი გავლენა სასოფლო სამეურნეო წარმოების პოლიტიკაზე უმნიშვნელო იყო.

ამერიკის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ფორმის რადიკალური მოდიფიკაციის საგარეო ფაქტორს მე–20 საუკუნის 70–იან წლებში წარმადგენდა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა. 70–იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა კავშირმა დაიწყო მარცვლეულის მასობრივი შესყიდვა ა.შ.შ.–ში. საექსპორტო მოთხოვლილების მოულოდნელმა ზრდამ მკვეთრად შეცვალა სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემო. ჭარბი მარცვლეული ფაქტიურად გაქრა და ფასებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ა.შ.შ.–ში შეიქმნა გარკვეული საშიშროება მარცვლეულის დეფიციტისა. საექსპორტო ბუმს თან მოჰყვა სოფლის მეურნეობის შიგნით შემოსავლების

გადანაწილება მეცხოველეობიდან მარცვლეულის წარმოებაში. ფერმერებს რომლებსაც მოჰყავდათ მარცვლეული გახდნენ სარგებლის ძირითადი მიმღებნი. მათი შემოსავლების ზრდას თან მოჰყვა მოთხოვნის ზრდა სახნავ მიწებზე. ამ პერიოდში მიწის ღირებულება გასამმაგდა.

სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ცვლილებებს მოჰყვა მნიშვნელოვანი ძვრები აგრარულ პოლიტიკაში. მიწის ფართობები, რომლებიც უწინ სახელმწიფო პროგრამებით ამოღებული იქნენ ბრუნვიდან, კვლავ დაუბრუნდნენ წარმოებას. შენახული პროდუქტების გამოყენებით სახელმწიფოს მოქმედებებით უკმაყოფილებამ განაპირობა Farmer-Owned Reserve (FOR), პროგრამის ამოქმედება, რომელიც მნიშვნელოვნად ასტიმულირებდა მარცვლეულის შენახვას ფერმერებში. მხარდაჭერის ფასებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამავე დროს მოხდა სახელმწიფო რეგულირების ეკონომიკურად და სოციალურად გაყოფა ფერმერებთან მიმართებაში. 1973 წლიდან იგი არსებითად გაიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მხარდაჭერად და ფერმერთა შემოსავლების მხარდაჭერად.

ჩვენი აზრით აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამერიკული სოფლის მეურნეობის განვითარების კვალობაზე არსებითად შეიცვალა არა მარტო ფერმერთა რაოდენობა, არამედ მათი მოტივაცია და თვით „ფერმის“ არსი, როგორც ძირითადი ეკონომიკური ერთეულისა. ა.შ.შ.–ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1997 წელს ფერმა განისაზღვრა, როგორც ნებისმიერი ადგილი, რომელზეც შესაძლებელია იწარმოოს და გაიყიდოს 1000 დოლარის და მეტის სასოფლო–სამეურნეო პროდუქცია.[30, 241გვ.] აღნიშნული ცნების ახსნისათვის გამოიყენება ტერმინი საოჯახო ფერმა. საოჯახო ფერმა– ეს არის სასოფლო –სამეურნეო ბიზნესი, რომელიც წარმოადგენს შემდეგ მახასიათებელთა ერთობლიობას:

- აწარმოებს სასოფლო–სამეურნეო პროდუქტებს გასაყიდად იმ რაოდენობით რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ფერმა, ვიდრე მცხოვრები სოფლად;

- იღებს საკმაო შემოსავლებს, რათა აანაზღაუროს საექსპლუატაციო ხარჯები ოჯახისა და ფერმის შესანახად, ვალების გადასახდელად და საკუთრების შესანახად;
- მართავს, როგორც საწარმოს მფლობელი;
- შრომის ძირითად სახეს ფერმაში წარმოადგენს მფლობელის და მისი ოჯახის წევრების შრომა;
- სეზონურ პერიოდში შეუძლია დაქირავებული შრომის გამოყენება(მაგალითად მოსავლის აღება). [30,241გვ.]

ა.შ.შ.-ში ძალიან ძნელია მოიძებნოს ფერმა, რომელიც ზუსტად შეესატყვისება ამ ხუთ მახასიათებელს. ამავე დროს დასავლეთ ევროპის სოფლის მეურნეობაში „საოჯახო ფერმა“ ყველაზე უპირატესი ეკონომიკური ერთეულია. ასევე არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან ფერმის სიდიდე, ა.შ.შ.-ში ის შეადგენს 188 ჰა-ს., ხოლო ევროპაში-18 ჰა-ს.;

ა.შ.შ.-ში სოფლის მეურნეობაში ძირითად საწარმოო ერთეულად განიხილავენ კომერციულ და არა კომერციულ ფერმას. ამ უკანასკნელს ისინი (R.D.Knutson, J.B.Penn, B.L.Fiinchbaugh) მიაკუთვნებენ ფერმას, რომლის გაყიდვათა წლიური მოცულობა არ აღემატება 1000000 დოლარს [35,211გვ.] . საჯახო მეურნეობათა უმრავლესობა რომლებიც ფლობენ ასეთ ფერმას შემოსავალს ნახულობენ არა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან. ასეთი ფერმის მომუშავეებს ძირითადად შეადგენენ მძღოლები, მასწავლებლები, დურგლები, მექანიკოსები და ა.შ. ასეთი ფერმების რაოდენობა ა.შ.შ.-ში შედგენს მთლიანი ფერმების 84% (ანუ 1,7 მლნ.)

პრობლემის კიდევ ერთ წახნაგს წარმოადგენს მსხვილ და მცირე ფერმებს შორის თანაფარდობის ცვლილების დინამიკა. „მცირე ფერმის „ არსის გაგება დროსთან ერთად იცვლება და ასახავს როგორც მწარმოებლობის ზრდას სოფლის მეურნეობაში, ისე ინფლაციას. ა.შ.შ.-ის კონგრესმა 1977 წელს დაადგინა, რომ ნებისმიერი ფერმა რომლის პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა წელიწადში შეადგენს 20000



დოლარამდე მიჩნეულია „მცირე ფერმად“ . დღეისათვის მცირე და დიდ ფერმებს შორის გამყოფ ზღვარად მიჩნეულია 50000 დოლარი.

თავის მხრივ ა.შ.შ.-ის მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (The Small Business Administration). მცირე ბიზნესს მიაკუთვნებს ფერმებს რომელთა გაყიდვების წლიური მოცულობა 5000000 დოლარზე ნაკლებია, გამონაკლისს წარმოადგენს პირუტყვის სასუქი ფერმები, რომელთა მცირე ბიზნესზე მიკუთვნება ხდება 1,5 მილიონ დოლარზე ნაკლები წლიური სავაჭრო ბრუნვისას. ეკონომიკური კვლევის სამსახურის (ERS, USDA) მიერ ჩატარებულ ანალიზთა უმრავლესობაში „მცირე ფერმას“ მიეკუთვნება სასოფლო –სამეურნეო ობიექტები, რომელთა სავაჭრო წლიური ბრუნვის მოცულობა 50000დოლარზე ნაკლებია.

მცირე ფერმათა ეროვნული კომისია (The National Commission on Small Farms) უფრო აფართოვებს მცირე ფერმათა მოცულობებს და მასში ჩართული აქვს ფერმები ვაჭრობის საერთო წლიური მოცულობი 50000 დოლარიდან 250000დოლარამდე. [30,25გვ.] აღნიშნულ ფერმათა უმრავლესობა ეყრდნობა ფერმერის და მისი ოჯახის წევრების შრომას და წარმოადგენენ საბოლოო პროდუქტის მესაკუთრეებს.

ამერიკული ფერმების გაშლილი დახასიათება წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 14). თანამედროვე ეტაპზე ა.შ.შ.-ის სასოფლო–სამეურნეო წარმოებაში წამყვანი როლი უკავია მსხვილ კომერციულ ფერმებს. 1995 წელს დაახლოვებით ამერიკული ფერმების 6% ამუშავებდა მთლიანი სასოფლო–სამეურნეო სავარგულების 25% და ქმნიდა ა.შ.შ.-ის სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის 60%-ს., ხოლო ფერმების 2%-ი ახორციელებდა საერთო გაყიდვების 40% –ს.[30,22გვ.] სწორედ მსხვილი ფერმები გვაძლევენ მნიშვნელოვან წილს წმინდა შემოსავლისა სასოფლო–სამეურნეო წარმოებიდან და მათზე მოდის პირდაპირი სახელმწიფო დახმარებების დიდი ნაწილი, ერთ ფერმაზე გადაანგარიშებით.

ფერმების რაოდენობა, დამუშავებული მიწის ფართობი და ფერმის საშუალო სიდიდე ა.შ.შ.–ში 1988 -1997 წლებში [30, 25გვ]

| წლები | ფერმების რაოდენობა | დამუშავებული მიწის ფართობი (ათას აკრებში) | ფერმის საშუალო სიდიდე, აკრებში |
|-------|--------------------|---|--------------------------------|
| 1988  | 2,200,940          | 994, 423                                  | 452                            |
| 1989  | 2, 174,520         | 990, 723                                  | 456                            |
| 1990  | 2,145,820          | 986,850                                   | 460                            |
| 1991  | 2,116,760          | 981,736                                   | 464                            |
| 1992  | 2,107,840          | 978,503                                   | 464                            |
| 1993  | 2,083,430          | 976,463                                   | 469                            |
| 1994  | 2,064,720          | 973,403                                   | 471                            |
| 1995  | 2,071,520          | 972,253                                   | 469                            |
| 1996  | 2,063,910          | 970,048                                   | 470                            |
| 1997  | 2,057,910          | 968,338                                   | 471                            |

ფერმერული სტრუქტურა გავლენას ახდენს წარმოების ორგანიზაციაზე, როგორც ფერმის შიგნით, ისე ბაზართან ურთიერთობაზე. ფერმერი უწინარეს ყოვლისა აქცენტს აკეთებს მართვისა და კონტროლის ფუნქციაზე, ვიდრე უშუალოდ წარმოებაზე. ამასთან ერთად ფერმერი ყოველთვის ცდილობს გადაწყვეტილება მიიღოს ფასებზე და მოსალოდნელ მომხმარებლებზე დაყრდნობით, უშუალოდ წარმოების დაწყებამდე. ვიდრე დაეყრდნოს საბაზრო პირობებს წარმოების დამთავრების შემდეგ. ასეთი შეთავსება ბაზრის კოორდინაციისა ეკონომიკის კოორდინაციასთან ფერმის საშუალებით მსხვილ ფერმერებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ

წარმოების მომგებიანობა და შექმნან პირობები შემდგომი განვითარებისა. თავისი განვითარების კვალობაზე მსხვილი კომერციული ფერმები თანდათან კარგავენ „საოჯახო ფერმის“ სტატუსს და გვევლინებიან ჩვეულებრივ ფერმებად. აქვე უნდა ავღნიშნოდ, რომ როგორც პროგნოზები გვიჩვენებს აგრობიზნესში წარმოების კონცენტრაცია თანდათან იზრდება, როგორც აღნიშნავს H.Ritchie ა.შ.შ.-ში ცხოვრობს დღეისათვის დედამიწის მოსახლეობის 4%-ი., მაგრამ ისინი აწარმოებენ მსოფლიო სასურსათო პროდუქციის ნახევარს. 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში ხორციტ ვაჭრობა გაიზარდა 33%-ით., ხოლო ა.შ.შ.-ს წილი მსოფლიო ბაზარზე 20%-დან 30% -დე. Agricultural and Food Policy Center (College Station, Tex.: Texas A&M University, December 1996 ) მონაცემებით ა.შ.შ.-ში. ეფექტურ ფერმათა სიდიდე იყო შემდეგი (იხ. ცხრილი 15). სასოფლო-სამეურნეო წარმოების თითოეულ ქვედარგში ჩამოყალიბდა ჯგუფი მსხვილი კომერციული ფერმებისა, რომლებიც აღწევენ საუკეთესო ეკონომიკურ მაჩვენებლებს. განვიხილოთ ფაქტიური მონაცემები აღნიშნულის დასასაბუთებლად, 292464 ფერმიდან, რომლებიც დაკავებულნი არიან ხორბლის მოვლა- მოყვანით, შესაძლებელია გამოვყოთ 3,7%-ი. ფერმებისა, რომლებსაც გააჩნიათ 1000 აკრზე მეტი მიწა, მათ წილად მოდის დამუშავებაში მყოფი მთლიანი მიწის ფართობის 29,1%-ი. 503935 ფერმიდან, რომლებიც დაკავებულნი არიან სიმინდის კულტურის მოვლა-მოყვანით შესაძლებელია გამოვყოთ ორი ჯგუფი. პირველი 0,9%-ი. ყველა ფერმიდან რომლებსაც გააჩნიათ 1000 აკრზე მეტი მიწა და ამუშავებენ მთლიანი მიწის ფართობის 9,0%-ს., მეორე-4,4% ყველა ფერმიდან, რომლებსაც გააჩნიათ 500-999 აკრამდე მიწა და ამუშავებენ მთლიანი მიწის ფართობის 20,7%-ს.

ფერმათა ეფექტური სიდიდე საოჯახო ფერმებთან შედარებით.

საერთო გაყიდვების მოცულობით 250000 დოლარი წლიურად.

| წარმოებული პროდუქტი         | საოჯახო ფერმა | ეფექტური სიდიდე |
|-----------------------------|---------------|-----------------|
| 1. სიმინდი, აიოვას შტატი    | 950 აკრი      | 2,200 აკრი      |
| 2. ხორბალი კანზასის შტატი   | 1,500 აკრი    | 3,300 აკრი      |
| 3. ბამბა, ტეხასის შტატი     | 1,700 აკრი    | 4,000 აკრი      |
| 4. ბრინჯი, არკანზასის შტატი | 500 აკრი      | 1,300 აკრი      |
| 5. რძე, ნიუ-იორკის          | 100 ფური      | 1,200 ფური      |

წყარო: Feedstuffs, Vol. 70, # 42, 1998, October 12, p. 1.

ანალოგიური სიტუაცია შეიმჩნევა იმ ფერმებშიც, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან სოიოს მოვლა-მოყვანაზე. კერძოდ 381000 ფერმიდან პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ფერმათა 1,1%, თითოეული 1000 აკრზე მეტი მიწის ფართობით, რომლებიც ამუშავებენ მთლიანი მიწის ფართობის 10,6%, მეორე—4,3%, რომლებსაც გააჩნიათ 500–დან 999–მდე მიწის ფართობი და დამუშავებული მიწის ფართობიდან 19%, დაკავებულია სოიოს კულტურის ქვეშ.

მელორეობის 138690 ფერმიდან გამოიყოფა 1,1%, რომელშიც თითოეულს ყავს 5000 სულზე მეტი და ასუქებენ მთლიანი სულადობის 35%–ს. შესაბამისად 116680 მერძეული ფერმიდან გამოიყოფა 6,2%–იანი ფერმერთა ჯგუფი თითოეული 900 სულ ფურზე მეტი სულადობით, რომლებზეც მოდის ქვეყნის მერძეული პირუტყვის 39%–ი.

მოტანილი ანალიზიდან ჩანს თითოეული სასოფლ-სამეურნეო პროდუქციის მიხედვით როგორ ყალიბდება ფერმერთა წამყვანი ჯგუფები, რომელთა სიდიდე აღამატება „საოჯახო ფერმის“ პარამეტრებს. მსხვილი ფერმის უპირატესობა „საოჯახო ფერმების“ მიმართ მდგომარეობს

შედარებით დაბალი ტრანსაქციული დანახარჯების სიდიდით თითოეული ფერმის მიხედვით. იგი მიიღწევა გარიგებათა რიცხვის შემცირებით (ტრანსაქციით), რომელ უპირატესობასაც იძლევა წარმოების სიდიდის ეკონომია. იმ შემთხვევაში, როდესაც ფერმის მფლობელი წარმოადგენს იმავდროულად მენეჯერს და კიდევ ერთი უპირატესობა ეკონომიკის კოორდინაცია ფერმის საშუალებით, საბაზრო კოორდინაციასთან შედარებით: ეფექტური მუშაობა ბრძანებით( რაც წარმოადგენს „საოჯახო ფერმის~ საორგანიზაციო მუშაობის ძირითად ღირსებას).

ასეთ მსხვილი ფერმის მაგალითს წარმოადგენს Mountain View Dairy Vado შტატი ნიუ-მექსიკო, რომლის მფლობელიცაა Ed и John DeRuyter (წარმოშობით ჰოლანდიელი), ფერმაში ღია ცის ქვეშ მუდმივად იმყოფება 1700 ფური, რომლებიც წლის განმავლობაში იძლევიან 26000 ფუნტ რძეს (დაახლოებით 11780 კგ.). ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები საკუთარ თავზე იღებენ რისკს დანაკარგისა, როდესაც საბოლოო პროდუქცია არ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. ამიტომ მოცემულ ფერმაში რძის ხარისხი მოწმდება დღეში ორჯერ. მართალია მასზე ისინი არაფერს არ იხდიან, მაგრამ შემოწმების შედეგებზეა დამოკიდებული მათი რძის ფასი. ფერმაში დასაქმებულია 22 კაცი, რომლებიც წლის განმავლობაში ღებულობენ 16–17 ათას დოლარს, რაც ითვლება საშუალოზე მაღალ ანაზრაურებად. იგრძნობა, რომ მფლობელები რომლებიც თვითონვე მართავენ ფერმას, დაქირავებულ მომუშავეებთან კარგ დამოკიდებულებაში არიან.

წარმოების კონცენტრაციის შემდგომი გაღრმავების კვალობაზე აგრარული საწარმოები მთლიანად კარგავენ „საოჯახო ფერმისადმი“ მსგავსებას, თანდათან გამოდის ცალკეულ მესაკუთრეთა კონტროლიდან და ფერმა უკვე გვევლინება ტიპიურ ფერმად.რომელსაც აქვს სასოფლო სამეურნეო სპეციალიზაცია [36,14გვ.] ასეთი „სუპერფერმის“ მაგალითია ფერმა J.G.Boswell Corcoran, კალიფორნიის შტატი. იგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საირიგაციო ფერმა 170000 აკრი სასოფლო-

სამეურნეო მიწის ფართობით. სპეციალიზირებულია ბამბისა და ქერის მოვლა–მოყვანაზე. ტიპური კერძო ფირმა, რომლის მეპატრონეც ცხოვრობს სხვა შტატში, ხოლო მართვა ხორციელდება დაქირავებული მენეჯერის მიერ. ფერმის შიდა მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება საშუალო და მსხვილი ფირმების სტრუქტურას; განყოფილებები და ქვეგანყოფილებები, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია საკუთარ უბანზე შესრულებულ სამუშაოზე და არა მთლიანად ფირმის მიერ გაწეულ სამუშაოს შედეგებზე. მთლიანობაში მკვეთრად არის გამიჯნული, ერთ მხარეს დგანან მენეჯერები, რომლებიც გამოხატავენ მესაკუთრეთა ინტერესებს, ხოლო მეორე მხარეს დაქირავებული მუშაკები.

ფერმაში სახეზე გვაქვს სპეციფიკური აქტივები, მართვის საინფორმაციო სისტემები, სპეცტექნიკა და მოწყობილობები საირიგაციო სამუშაოებისათვის, მანქანათა პარკი, ხარისხის კონტროლის ლაბორატორია და სხვა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ფერმაში ტრანზაქციული ხარჯების შემცირებას წარმოების კომბინირების საშუალებით.[43,207გვ.] „სუპერფირმას“ გააჩნია საკუთარი ბამბის გადამამუშავებელი ფაბრიკა, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი. ჩვენი აზრით „სუპერფირმა“ წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში მომუშავე ფირმის ნათელ მაგალითს და განეკუთვნება „საგემო სისტემის“ შემადგენელ ნაწილს, რომლის აღწერაც მოგვცა ჯერ კიდევ ჯ.კ. გელბრეიტმა.[54,268გვ.] რაც უფრო დიდია ფერმა მით უფრო ეფექტურად ახორციელებს იგი მარკეტინგულ საქმიანობას. ყოველივე ეს მიიღწევა რამოდენიმე მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა დიდი ფერმისათვის ეკონომიკურად მომგებიანია საკუთარი გადამამუშავებელი საწარმოს ქონა. ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი სარეალიზაციო ქსელის ფუნქციონირებაც, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზაქციურ ხარჯებს, ბაზარზე გარიგებათა რიცხვის შემცირების ხარჯზე. ასევე მცირდება გაურკვევლობის რისკი პროდუქციის რეალიზაციისას.

მეორე– დიდი ფერმები წარმოადგენენ მოსახერხებელ პარტნიორს გადამამუშავებელი საწარმოებისათვის, რომლებიც ასრულებენ ინტეგრატორის როლს აგრარულ სფეროში, ვიდრე „საოჯახო ფერმები“. გადამამუშავებელ საწარმებს ურჩევნიათ დიდი მოცულობის ნედლეულის მიღება თანაბარ პირობებში. მაგალითად, 10 მსხვილი ფერმიდან, ვიდრე იგივე მოცულობი ნედლეული მიიღო 100 ჩვეულებრივი „საოჯახო ფერმიდან“, რადგან გადამამუშავებელი საწარმოსათვის იგი დაკავშირებულია შედარებით ნაკლებ დანახარჯებთან. კერძოდ კონტრაქტების გაფორმებასთან, მიწოდების განხორციელებასთან და ა.შ.

სასოფლო–სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის პროცესში ისმის კითხვები: ფერმების პარამეტრების ზრდა, მიგვანიშნებს თუ არა იმაზე, რომ მცირე „საოჯახო ფერმებს“ მომავალი არ აქვს? აღნიშნული მდგომარეობის გამო „საოჯახო ფერმები“ დარჩება თუ არა ა. შ.შ. –ის სოფლის მეურნეობის ძირითად ეკონომიკურ ერთეულად? მიგვანიშნებს თუ არა ეს რომ აგრარული სფეროს სახემწიფო რეგულირება პრინციპულად შეიცვალა წინა წლებთან შედარებით?

აღნიშნულ კითხვებზე ამომწურავ პასუხს იძლევა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და მის მიერ გამოწვეული ინტეგრაციული ფორმების ცვლილება აგრარულ სექტორში. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაცია ცხოვრების წესიდან ბიზნესში. აღნიშნული მთლიანად ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნებზე და შესაბამისად იცვლება აგრობიზნესის მთლიანი მიზანი, რაც მოითხოვს მმართველობითი კონტროლის მაღალ დონეს წარმოების, გადამამუშავების და მარკეტინგული პროცესების განხორციელებაზე.

დარგი, რომელშიც პირველად წარმატებით იქნა განხორციელებული ინდუსტრიული პროცესები მე–20 საუკუნის 60–იან წლებში წარმოადგენდა მეფრინველეობას.მელორეობაში ეს პროცესი დაიწყო 70–იანი წლებიდან და

გრძელდება დღემდე. ხოლო სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში ინდუსტრიალიზაციის პროცესი დაიწყო 80-იანი წლებიდან და გრძელდება დღემდე და თანდათან სრულყოფილ სახეს ღებულობს. სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიალიზაციის შედეგად თანდათან მცირდება ხელით შრომის წილი და დღეისათვის გაწეულ მთლიან დანახრჯებში იგი შეადგენს 10%-ზე ნაკლებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება თანდათან ხდება კაპიტალ და მეცნიერება ტევადი. როგორც ცნობილია ფირმები ითვლებიან ვერტიკალურად-ინტეგრირებულად, როდესაც ისინი აკონტროლებენ ორ ან მეტ დონეს „წარმოება-მარკეტინგის“ სისტემაში რომელიმე სახის პროდუქციისა.

აგრარულ სექტორში განხორციელებული ინტეგრაციული პროცესებიდან შესაძლებელია გამოვყთ შემდეგი:

- ინტეგრაცია საკუთრების საშუალებით;
- ინტეგრაცია საწარმოო კონტრაქტების დახმარებით;
- კოოპერაციული ინტეგრაცია;

ბაზარი აბალანსებს რა ფასების მექანიზმის საშუალებით მოთხოვნა-მიწოდებას, არ წარმოადგენს ეკონომიკის იდეალურ კოორდინატორს ყველა მონაწილისთვის. კერძოდ ფერმერებისათვის ეკონომიკის საბაზრო კოორდინაცია წარმოადგენს უხეში „ჩარჩოს“ პირობებს და ისინი იძულებულნი არიან ან დაემორჩილონ მას ან შეწყვიტონ არსებობა.

საწარმოო და კოოპერაციულ ინტეგრაციაში ჩართვა ფერმერებს საშუალებას აძლევს გადარჩნენ კონკურენტულ ბრძოლაში, მაგრამ მიყვავართ ორ საწინააღმდეგო ეფექტთან. საწარმოო კონტრაქტები ფერმერის მიერ წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მარკეტინგულ სფეროსთან, როგორც წესი საკონტრაქტო კოოპერაცია იწყება წარმოების წინ და მწარმოებელს აიძულებს წარმოებული პროდუქცია მიყოდოს ინტეგრატორს. კონტრაქტის გაფორმებისას ეს უკანასკნელი ფერმერებს ხშირად თავს ახვევს დამატებით პასუხისმგებლობებს მოსავლის მოყვანის ტექნოლოგიების სპეციფიკიდან გამომდინარე. ასეთი ტიპის კონტრაქტების



გაფორმებისას ფერმერები ხშირად კარგავენ კონტროლს მიღებულ მოსავალზე, რადგან ფირმა-კოორდინატორი აკონტროლებს მწარმოებლის, როგორც საწარმოო ისე მარკეტინგულ გადაწყვეტილებებს, ხოლო ფერმერი ხშირად ვერც კი ფლობს საკუთარ წარმოებულ პროდუქტს. ერთი შეხედვით ფერმერი რჩება დამოუკიდებელი, რეალურად კი გადაიქცევა დაქირავებულ სასოფლო სამეურნეო მუშაკად.

კოოპერაციული ინტეგრაცია აძლევს ფერმერს მნიშვნელოვან თავისუფლებას, კოოპერატივები ეხმარებიან ფერმერებს იმის გაკეთებაში რასაც ისინი ვერ აკეთებენ დამოუკიდებლად ცალკალკე. ასეთი ფორმა ფერმერთა ინტერესებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებს ბაზრის კონკრეტულ სტრუქტურებს. კოოპერატივები აერთიანებენ რა ცალკეული ფერმერების გაყიდვებსა და შეძენებს მოქმედებენ მათი სახელით, ცვლიან ეკონომიკის საბაზრო კოორდინაციას ფირმათა დახმარებით. ამავე დროს ცალკე აღებული თითოეული ფერმერი ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურობას. ფერმერები რომლებიც აყალიბებენ კოოპერატივებს, მათ განიხილავენ ერთიან დიდ ფირმად, რომელიც დახმარებას გაუწევს მათ შეამცირონ საბაზრო გარიგებათა რიცხვი და ამის საფუძველზე შეამცირონ ტრანზაქციული ხარჯები.

Mმე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ა.შ.შ.-ში ფუნქციონირებდა 4006 ფერმერული კოოპერატივი, მათგან 2074 დაკავებული იყო მარკეტინგული საქმიანობით, 1458 დაკავებული იყო ფერმერებზე სხვადასხვა სახის რესურსების რეალიზაციით. ფერმერთა კოოპერატივები აერთიანებდა 3,7 მლნ. წევრს, საქმიანი ოპერაციების საერთო მოცულობამ შეადგინა 112,2მლრდ. დოლარი, მთლიანმა შემოსავალმა კი შეადგინა 2,36მლრდი დოლარი.[50, 10გვ.] საშუალო დონის ფერმერებისათვის კოოპერატივებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის და მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ფერმერთა კოოპერატივები ფერმერებს დახმარებას უწევს მრავალი მიზნის მიღწევაში მათ შორის აღსანიშნავია:

- შემოსავლების ზრდაში, ბაზრის ინტეგრაციის და ეფექტიანობის გაზრდით;
  - ფერმერთა დანახარჯების შემცირებაში რესურსების შექმნისას და მარკეტინგული პროდუქციის შეთავაზებისას;
  - ფერმერთა უზრუნველყოფა სპეციფიკური პროდუქტებითა და მომსახურებით, ასევე მომსახურების და საქონლის ხარისხის გაუმჯობესებით;
  - ბაზრის გაფართოებასა და სტაბილიზაციაში;
  - ფერმერებისათვის საშუალების მიცემაში, რათა წარმოდგენილი იქნენ რესურსების ბაზრებზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებაში;
- [46, 157გვ.]

განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ, რომ კოოპერატივები ფერმერებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მომსახურების გაწევის თვალსაზრისით, არამედ კოოპერატივები ფერმერების მიერ განიხილება, როგორც „კონკურენტული კრიტერიუმი“, რომლის საქმიანობის შედეგები შედარებულია საქონლისა და მომსახურების კერძო ფირმებთან.

ამ ტენდენციის ნათელი მაგალითია The Farmland Cooperative System საქმიანობა, წარმოადგენს კოოპერატივთა მსხვილ სისტემას, რომელიც ეკუთვნის კერძო ფერმებს და აერთიანებს 500000– დე „საოჯახო ფერმას“, ამას დამატებული 13000 ღორისა და საქონლის ხორცის მწარმოებლები, რომელიც წარმოადგენს პირდაპირ საკუთრებას Farmland–ის. აღნიშნული მწარმოებლები და მათი ადგილობრივი კოოპერატივები განლაგებულია ა.შ.შ.–ის 50–ვე შტატში. და მსოფლიოს 74 ქვეყანაში, უწინარეს ყოვლისა კანადასა და მექსიკაში. The Farmland Cooperative System გაყიდვათა მოცულობა 2000 წლისათვის შეადგენდა 8,8 მილიარდ დოლარს და ეკავა ადგილი 500 მსხვილ კომპანიათა შორის ჟურნალ ფორტუნის რეიტინგით.[54, 26გვ.] Farmland–ს საქმიანობა აერთიანებს მარცვლეულის და პირუტყვის

საკვების წარმოებას, ღორის და საქონლის ხორცის, ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადამამუშავების პროცესებს.

ა.შ.შ.–ის აგრარული სექტორის განვითარების აღნიშნული ტენდენციების ფარგლებში ისმის კითხვა, როგორია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ინტეგრაციის პროცესში, კერძოდ კი კოოპერაციული ინტეგრაციის განვითარებაში თანამედროვე პირობებში მას განეკუთვნება „ თამაშის წესებზე“ თვალყურის დევნება, უწინარეს ყოვლის ხომ არ ხდება ბაზრის მონოპოლიზაცია.

მაგალითად, როდესაც კოოპერატივი დებს კონტრაქტებს ფერმერებთან ტრადიციულ რეგიონში, იგი შესაძლებელია გახდეს განხილვის საგანი. კერძოდ რამდენად დიდია მისი საბაზრო ძალაუფლება ლოკალურ ბაზრებზე. როდესაც კოოპერატივი იწყებს საკუთარი ღორის სულადობის გამოზრდას ტრადიციულ ფერმებთან კონკურენციაში, ეს ბადებს საკვირველ კავშირებს ინტეგრაციასთან და კონკურენციასთან აგრარულ სფეროში, რომელიც საჭიროებს სახემწიფო რეგულირებას. კოოპერატივი არ წარმოადგენ ისეთ ჯადოსნურ ჯოხს ფერმერებისათვის, რომელიც დაეხმარება მათ ყველა ეკონომიკური პრობლემის გადაჭრაში. როგორც აღნიშნავდნენ R.L.Kohls and J.N.Uhl არსებობს პრობლემები რომელთა გადაჭრაც კოოპერატივებს არ შეუძლიათ საკუთარი წევრებისათვის. აქედან აღსანიშნავია: პირველი–კოოპერატივებს არ შეუძლიათ აკონტროლონ ფასები, თუ ის არ აკონტროლებს მიწოდებებს. მეორე–კოოპერატივების ასოციაციებს არ შესწევთ ძალა აღმოფხვრან სხვა ეკონომიკური სუბიექტების მიერ წარმოდგენილი საბაზრო ფუნქციები. მესამე– ფერმერთა კოოპერატივების წარმატება დამოკიდებულია არა მათ უნიკალურობაზე, არამედ მათ მომგებიან მოქმედებაზე და თავის მესაკუთრეთა დაკმაყოფილებაზე.[46,240-241 გვ.]

ამასთან დაკავშირებით ამერიკულ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა ორი მიდგომა. პირველი–მიდგომის წარმომადგენლები კერძოდ M.Fulton თვლის, რომ ა.შ.შ.–ში კოოპერატივების ევოლუცია ხორციელდება ძირითადად დაცვის ტაქტიკით.სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია

მწარმოებლებს ართმევთ მწარმოებლების მიერ შექმნილ პროდუქციის ფასეულობაზე კონტროლის უფლებას და მწარმოებლებს კოოპერატივების საშუალებით არ შესწევთ ძალა არსებითად შემოიღონ დამატებული ღირებულება თავის პროდუქტზე.

მეორე მიმართულების მხარდამჭერები, როგორცაა M.Cook, შედარებით ოპტიმისტები არიან და თვლიან, რომ ბაზრის წილის ზრდა ფერმერთა მომსახურე კოოპერატივებით, ახალი კოოპერატივების ჩამოყალიბება–განვითარებით და კოოპერატივების სრულყოფა ეკონომიკური მიზნებით რეალურად არის შესაძლებელი.[52, 1162გვ.] ჩვენი აზრით უფრო რეალისტებად გვევლინებიან მეორე მიმართულების წარმომადგენლები. ჩრდილოეთ ამერიკის კოოპერატივები განიცდიან ევოლუციას ახალი სასურსათო პროდუქტების და ახალი საბაზრო სტრუქტურების გაჩენისას. Farmland–ის და Cenex–ის გაერთიანება ამის ნათელი მაგალითია. სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას მიწოდებისა და მარკეტინგის კუთხით მივყავართ არა კოოპერატივების გაქრობასთან, არამედ ინტენსიფიკაციის „ქვემოდან რეგულირებასთან“.

ჩვენი აზრით, იგი თავს იჩენს შემდეგ მომენტებში: პირველი, სულ უფრო მეტი მომხმარებელი ინტერესდება საკვების ხარისხით და მათი თვისებებით, რომელიც განპირობებულია საწარმოო პროცესით.

მეორეს მხრივ, სახეზე გვაქვს ფერმერული კოოპერატივების ევოლუცია იმ მიზნით რათა მოიძებნოს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გადაწყვეტილება აგრარულ სექტორში „პრინციპალ–აგენტი“. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები უკანასკნელ ათწლეულში თანდათან შემცირდა , მაგრამ თითოეული მათგანი უფრო ორიენტირებული გახდა ბაზარზე. ამერიკულ ფერმერთა კოოპერატივებში გადაწყვეტილების მიღებისას თანდათან ხდება უარყოფა იმ პრინციპის, რომ კოოპერატივის ერთი წევრი არის ერთი ხმა და გადადიან გადაწყვეტილების მიღებისას ფერმერთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციათა გათვალისწინებაზე.

მესამე– ძლიერდება კოოპერატივთა სახეების მრავალფეროვნება. ა.შ.შ.–ში სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის სახემწიფო რეგულირების ყველაზე მიმზიდველ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ სახემწიფო თავისი ჩარევით „ არ ზღუდავს“ ფერმერთა აქტივობას, მაგრამ ქმნის თანაბარ კონკურენტულ შესაძლებლობებს აგრარული სფეროს ყველა საწარმოსათვის.

მეოთხე–სამთავრობო ხასიათს ა.შ.შ.–ში სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის სახელმწიფო რეგულირებისა ჩვენი აზრით წარმოადგენს ეკონომიკური გარდაქმნების ევოლუციური ხასიათი. ფერმერთა ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა მკვეთრად შემცირდა და აგრარული სფეროს სახემწიფო რეგულირებაში უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასურსათო პროდუქციის მომხმარებელთა ინტერესები. რეგულირების აქცენტებმა თანდათან გადაინაცვლა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან, საკვების განაწილების და მოხმარების მხარეს. უკანასკნელ პერიოდში დომინირებული მდგომარეობა უკავია სახელმწიფოს მხრიდან სურსათის ხარისხს, უვნებლობას და მედიცინის კუთხით ამერიკელთა რაციონალური კვების საკითხებს, რაც კერძოდ გამოიხატა არა ცხიმოვანი (2%-დე) რძის პროდუქტების წარმოებასა და რეალიზაციაში.

ამრიგად, თანამედრობე ეტაპზე რეგულირების თავისებურებას წარმოადგენს სახემწიფოს მხრიდან მომხმარებელთა უზრუნველყოფა არა უბრალოდ აუცილებელი რაოდენობის სასოფლო–სამეურნეო პროდუქტებით, არამედ სურსათის იმ სახითა და ხარისხით, რომელზეც არსებობს მოცნულ მომენტში მომხმარებელთა მოთხოვნილება. ამის ნათელი მაგალითია ა.შ.შ.–ში ორგანული პროდუქტების (ნატურალური საკვების) წარმოება და მოხმარება. 1990 წელს მიღებული იქნა კანონი ორგანული საკვების წარმოების შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო ამერიკაში აგრობიზნესის ამ სექტორის განვითარებას.

მე–20 საუკუნის 90–იანი წლების მეორე ნახევრიდან აუცილებელი გახდა რეგულირების სრულყოფა საერთაშორისო ასპექტითაც, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი კონკურენტული პირობები. ამისათვის

ინსტრუმენტი გახდა ნატურალურ(ბიო) სურსათზე ახალი სტანდარტების შემოღება. როგორც დენ გლიკმანი (ა.შ.შ.–ის სოფლის მეურნეობის მინისტრი) აღნიშნავდა, ორგანული (ბიო) პროდუქტების წარმოების და რეალიზაციის ნატურალური სტანდარტები საშუალებას გვაძლევს წარმატებით განვახორციელოდ სავაჭრო მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებთან, რათა უზრუნველვყოთ ამერიკელი მომხმარებლისათვის ნატურალურ საკვებზე ერთიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც ქვეყნის შიდა ისე საზღვარგარეთულ წარმოებისაზე [54.]

მე-20 საუკუნის 90–იან წლებში ა.შ.შ.–ში სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის სახემწიფო რეგულირებისთვის დამახასიათებელია სიმძიმის ცენტრის გადატანა, სოფლის მეურნეობიდან სასურსათო პროდუქტების განაწილებაზე, რომლის ნათელი დასტურია ამერიკის კონგრესის მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერა და მოხელეთა რაოდენობა რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მარეგულირებელი საქმიანობით. მაგალითად 1996 საფინანსო წელს კვების დახმარების პროგრამის წლიურმა ასიგნებამ შეადგინა 39,9 მილიარდი დოლარი ანუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტის 61,9 მილიარდი დოლარის 65%-ტი [30,102გვ]. ამ პროგრამის ძირითადი ნაწილი ორიენტირებული იქნა დაბალშემოსავლიან ამერიკულ ოჯახებზე და სასკოლო ასაკის ბავშვებზე, მათ შორის აღსანიშნავია:

- სასკოლო ტალონების პროგრამა (The Food Stamp Program);
- სასკოლო ლანჩების ნაციონალური პროგრამა(The National School Lunch Program);
- მეძუძური ასაკის ბავშვების მყოფე ქალებისათვის და ბავშვებისათვის სპეციალური დამატებითი კვების პროგრამა(WIC);
- სასკოლო სადილების პროგრამა(The School Breakfast Program).

კვების სფეროში პროგრამას ახორციელებდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასურსათო და სამომხმარებლო მომსახურების სააგენტო

(The Food and Consumer Service) ორი მიზნით. მოსახლეობის ჯამრთელობის გაუმჯობესება, ამერიკელთა მიერ იმ საკვების მიღებისა რომელზეც მოთხოვნა არსებობს და მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების მიზნით. მაგალითად სასურსათო ტალონების პროგრამა ემსახურება დახმარების საჭიროების მქონე ამერიკელებს, ხოლო პროგრამის ნახევარზე მეტს წარმოადგენენ ბავშვები. შინამეურნეობის 90%-ტი რომლებიც ღებულობდნენ სასურსათო ტალონებს ჰქონდათ შემოსავლები სიღარიბის ფედერალურ ზღვარს მიღმა. ხოლო 10%-ს საერთოდ არ ჰქონდა შემოსავალი. 1996 საფინანსო წელს მან შეადგინა 15600 დოლარი წელიწადში ოთხსულიან ოჯახზე.[30,103გვ.]

თანამედროვე ეტაპზე აგრობიზნესის სახემწიფო რეგულირების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა ეკონომიკური და სოციალური რეგულირების ერთობლივი შეთანაწყობა. მისი საშუალებით მოხსნილი იქნა საკითხის სოციალური სიმწვავე და მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობის სიდიდე სოფლად. მან ასევე ხელი შეუწყო ფერმების გარდაქმნას სპეციალიზირებულ მეურნეობებად და მათ გარშემო „ბიზნეს–გარემოს“ გაჯანსაღებას. ა.შ.შ.–ში სოფლად სოციალური რეგულირების თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მისი განხორციელება და კოორდინაცია ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

დღეისათვის სოციალურ რეგულირებას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სააგენტო (USDA Rural Development), რომელიც შეიქმნა 1994 წელს რეორგანიზაციის შედეგად (the Farmers Home Administration, the Rural Development Administration, the Rural Electrification Administration.) ეს განხორციელდა იმ მიზნით, რომ ყველა სააგენტოს რომლებიც ემსახურებიან ამერიკის სოფელს ემოქმედათ

ერთად და თანმიმდევრულად. სოფლის განვითარების საგენტო შედგება სამი სააგენტოსაგან (სექტორისაგან) 1. RUS (the Rural Utilities Service), რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის სოფლის მოთხოვნილებებს ისეთ მომსახურებებზე როგორცაა წყლის გაწმენდა, კანალიზაცია, ნაგვის გატანა, ელექტრო ენერჯით მომარაგება და ტელეკომუნიკაცია;

1. RHS (the Rural Housing Service) რომელიც უზრუნველყოფს ერთ შვილიან და მრავალშვილიან ოჯახების მოთხოვნებს საბინაო მშენებლობაზე, ასევე სამედიცინო, სახანძრო და პოლიციის განყოფილებებს შენობებით;
2. RBS (the Rural Business-Cooperative Service), რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის სოფლის მოთხოვნებს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე, ბიზნესის და კოოპერატივების დახმარებაზე, რათა შეინარჩუნონ სიცოცხლის უნარიანობა ცვალებადი ეკონომიკის პირობებში.

დღეისათვის 53 მილიონი ამერიკელი ცხოვრობს ა.შ.შ.–ში. სასოფლო რაიონებში (დაახლოებით ქვეყნის მოსახლეობის 20%). უკანასკნელი 20 წლის მანძილზე სოფლად ფერმებში დასაქმებულ მომუშავეთა რაოდენობა შემცირდა 50%-ით, ხოლო სოფლად ამერიკელთა 80% შემოსავალს დებულობს არა სოფლის მეურნეობიდან [30,78გვ]. ეკონომიკური სიცოცხლის უნარიანობის შენარჩუნებისათვის ამერიკის სოფლის რაიონებში აუცილებელია ახალი ბიზნესის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა არა სასოფლო სამეურნეო დარგებში, რომლებიც ქრებიან სოფლის მეურნეობაში ახალი ეფექტიანი მეთოდების გამოყენებით. დაწყებული მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან თანამედროვე პერიოდის ჩათვლით ა.შ.შ.–ს სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაკავებულია ფერმებიდან გამონთავისუფლებული თანამშრომლების დახმარებით რათა ისინი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით დასაქმდნენ არა სასოფლო სამეურნეო დარგებში.



ქვემოთ მოტანილია სამი ტიპიური მაგალითი, სოფლის განვითარების სააგენტოს თანამედროვე საქმიანობის.

1. East Prairie, მონტანის შტატში უმუშევრობის დონე შემცირდა 10,3%-დან 6,7%-დე. ეკონომიკური სტიმულირების პროგრამების დახმარებით. რომლებიც ჩართული იქნა USDA პროგრამაში ცალკეული სასოფლო ზონების გაუმჯობესების შესახებ EZ/EC {Rural Empowerment Zones/ Enterprise Communities},. უმუშევრობის ასეთი მკვეთრი შემცირება შესაძლებელი გახდა მცირე ძრავების დამამზადებელი ქარხნის გახსნით, სადაც დასაქმდა 161 ადამიანი. E2/EC პროგრამამ შესაძლებელი გახადა როგორც საწარმოს ისე მიმდებარე გზის რეკონსტრუქცია.
2. Villa Ridge-ში, ილინოისის შტატი, ადგილობრივი მოსახლეობის უხდებოდა სასმელი წყლის მოპოვება წვიმის წყლის შეგროვებით ან საკუთარი სახსრებით იძენდნენ ბოთლის ძვირად ღირებულ წყალს. RUS "Water 2000" 9 წყალი2000) პროგრამით მათ მიღეს წყლის კომუნალური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ საცხოვრებელ სახლებს სუფთა სასმელი წყლით.
3. Zeeland-ში, მიჩიგანის შტატი, 8 მილიონი დოლარის სესხით, RBS-ის გარანტიით, დაფინანსდა სოიოს მარცვლის გადამამუშავებელი ქარხნის მოწყობილობების შექმნა, მშენებლობა და მონტაჟი. ახალმა ქარხანამ დამატებით შექმნა 20 სამუშაო ადგილი და უზრუნველყო ქარხნის ირგვლივ 80 მილის რადიუსში მოწეული მოსავლის 50%-ის გადამამუშავება. ამასთან ერთად იგი ხელს უწყობს რეგიონში სოიოს საკვების დამზადებას, რომელზეც მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება მეცხოველეობის და მეფრინველეობის დარგების განვითარების ხარჯზე [30,79გვ].
4. აღნიშნული მაგალითები ნათლად მოწმობს, რომ სახელმწიფო თავისი მარეგულირებელი საქმიანობით ხელს უწყობს აგრობიზნესის განვითარებას რეგიონში.

ა.შ.შ.–ში სოფლად სოციალური რეგულირება მოწოდებულია არა იმისათვის, რომ ისინი ცხოვრობენ დაშორებულ სოფლის რაიონებში და დააფინანსოს სიღარიბე და ჩამორჩენა. საწინააღმდეგოდ იგი მიმართულია თანაბარი კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების ხელშეწყობისაკენ შორეულ რაიონებში ქვეყნის სხვა რეგიონებთან.

თანმიმდევრული სოციალური რეგულირების შედეგად ა.შ.შ. სოფლის რაიონებში ფერმერული მეურნეობების ირგვლივ ჩამოყალიბებულმა ჯანსაღმა „ბიზნეს გარემომ“ და განვითარებულმა ინფრასტრუქტურამ (გზები, ტელეკომუნიკაცია) შექმნა პირობები განათლების და სამედიცინო მომსახურების მიღებისა არა ნაკლებ ვიდრე ქალაქში.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი წერდა, რომ „ამ პროგრამათა ხარჯები რამდენჯერმე აღემატება გადასახადის გადამხდელთა ნებისმიერ შემოსავლებს, იმ პირთათვის რომლებიც სარგებელს ნახულობენ სოფლის მეურნეობაში. მაგალითად თანხა ძირითადად ხმარდება მოსავლის მოყვანას, შენახვას და „ჭარბი“ სურსათის თავიდან მოცილებას, რომელიც ყალიბდება სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგად მაღალი ფიქსირებული ფასებით და ამ პროგრამათა მართვაზე გაწეული ხარჯებით. მცირე საშუალებები მიედინება ინდივიდუალურ ფერმერებთან. განიხილავენ თუ არა მომხმარებლები შედარებით დაბალ ფასებს, რაც მოჰყვება სუბსიდიების ამოწურვას და ფასებით მხარდაჭერას როგორც მსხვერპლს?“[52.] აღნიშნული ციტატა ნათლად მიუთითებს იმ ცვლილებების არ ცოდნას რომლებიც განხორციელდა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე და ვასკვნით, რომ სახელმწიფო რეგულირება ზრდის სურსათზე ფასებს მომხმარებელთათვის. არ შეესაბამება რეალობას. იგი იგნორირებას უკეთებს მიზნობრივი ფასების პროგრამის ფარგლებში შედეგებს, რომელიც შემოღებული იქნა 1973 წლიდან, რომლის თანახმადაც ფასების სახელმწიფო მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და

ფერმერთა შემოსავლების მხრდაჭერა გამოყოფილი იქნა ერთმანეთისაგან და არსებითად შემცირდა 1985 წლიდან სესხების დონეც.

რეალურად რომ მივაღწიოთ მ. ფრიდმანის მიერ აღწერილ საბოლოო შედეგებს ან (ფერმერებისათვის) სესხების დონე უნდა აღემატებოდეს კონკურენტულ წონასწორობას, ან სახელმწიფომ მკაცრად უნდა აკონტროლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, რომ საბაზრო ფასები გაიზარდოს კონკურენტულ დონეზე მაღლა. როგორც პირველი ისე მეორე მოვლენა ეკონომიკის სინამდვილეში არ არსებობს.

სოფლის მეურნეობის რეგულირების შედარებით სასარგებლო პოლიტიკა ტარდება განვითარებულ ქვეყნებში. ასევე ხარჯები მის განხორციელებაზე (სახელმწიფო ხარჯები) მკვეთრად განსაზღვრული და გამჭვირვალეა კონტროლისათვის, მაგრამ სარგებელი ეკონომიკისათვის არც თუ ისე შესამჩნევია, რამაც მიგვიყვანა იმ გარემოებასთან, რომ უკანასკნელ ათწლეულში მკვეთრად გაისმა მოწოდებები დერეგულირების პოლიტიკისაკენ, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე.

ძირითად ბრალდებებს დერეგულირების მომხრეთაგან წარმოადგენდა შემდეგი: პირველი– სახელმწიფო რეგულირების კურსის განხორციელებას, რომელიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების დაცვას მიყვავართ მრავალ გვერდით ეკონომიკურ პრობლემასთან. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში საქმე გვაქვს წარმოების ფაქტორების არასაკმარის მობილობასთან. ამ შემთხვევაში ფერმერულ პროგრამებს მიყვავართ თვითლიკვიდაციისკენ, რადგან მათთვის გამოყოფილი თანხების კაპიტალიზაცია ხდება აქტივების ნორმატიულ ღირებულებაში, რომელიც თავის მხრივ ზრდის წარმოების ხარჯებს. ა.შ.შ.–ის ზოგიერთ შტატში სასოფლო-სამეურნეო მიწის 13ა–ის ფასი შეადგენს 100000 დოლარს [47, 20გვ.]. წარმოების ფაქტორების არა საკმარისი მობილობა იწვევს აგრარულ სექტორში ეფექტიანობის არასაკმარის დონეს, რასაც საბოლოო ჯამში

მიყვავართ გადასახადის გადამხდელთა თანხების არაეფექტურ ხარჯვასთან.

მეორე– სამწუხაროდ ძალიან დიდია და აქვს ზრდის ტენდენცია სახელმწიფო რეგულირების ხარჯებს სოფლის მეურნეობაში. 1990 წელს მსოფლიოს 24 განვითარებულ ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერისათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 300 მილიარდი დოლარი. საშუალოდ ერთ ფერმერზე E3C-ში წლიურად მოდის სუფსიდია გაცილებით მეტი ვიდრე პლანეტის მოსახლეობის ნახევარს აქვს შემოსავალი. ფერმერები აიოვას შტატში სახელმწიფოსაგან ღებულობენ გაცილებით მეტ ფულად დახმარებას, ვიდრე მთელი აფრიკა ღებულობს მსოფლიო ბანკიდან. იაპონელი ფერმერები სახელმწიფოსაგან მხარდაჭერის მიზნით წლიურად 15000 დოლარს ღებულობს თითოეული. რაც იმის მანიშნებელია, რომ თითოეული მათგანის მიერ წარმოებულ ერთ დოლარ პროდუქციაში  $\frac{3}{4}$  მოდის მათთან სახელმწიფოდან. ევროპელ ფერმერებს გადაუხადეს 18 ამერიკული ცენტი თითოეულ ბუშელ შაქარზე, რომელიც შესაძლებელია შექმნილი ყოფილიყო 5 ცენტად 1 ბუშელი მსოფლიო ბაზარზე [47,13-14გვ.]

მესამე–რეგულირების ეფექტიანობის შეფასებისას, კერძოდ სახელმწიფო მხარდაჭერის სახით მიიღწევა სახსრების გამოყოფა ღარიბი ფერმერებისათვის (დაბალი შემოსავლების მქონე), მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხდება ამ თეზისის ვულგარული ცვლილება, ფაქტიურად ღებულობენ მხარდაჭერას მსხვილი ფერმერული მეურნეობები დაქირავებული მუშახელით. რომელთა მფლობელების შემოსავლები ბევრად აღემატება ა.შ.შ.–ის ეკონომიკის სხვა სფეროებში დასაქმებულთა საშუალო შემოსავლებს. ა.შ.შ.–ში ფერმერთა საერთო რიცხოვნობა აღემატება 2,1 მილიონს, რეალურად კი არსებობს დაახლოებით 314000 კომერციული ფერმა (ფერმები რომელთა მფლობელები მთელი თავისი არსებობის მანძილზე დასაქმებულნი იყვნენ სოფლის მეურნეობაში. მე–20 საუკუნის 40–იანი წლებიდან 70–იანი წლების

ჩათვლით 1%-ზე ცოტა მეტი ფერმერები ღებულობდნენ 21% სარგებელს სახელმწიფო მხარდაჭერისაგან. ხოლო 90-იანი წლებიდან ამერიკის უმსხვილესი ფერმერები ყოველწლიურად 500000 დოლარის გაყიდვების მოცულობით, ღებულობენ 60% მთლიანი სახელმწიფო მხარდაჭერიდან [47,15გვ.]. აღნიშნული გარემოების გამო მსხვილი ფერმერები თანდათან ავიწროებენ წვრილ ფერმერებს თავისი უნარით მიიღონ უპირატესობა ფასების მხარდაჭერის არსებული სქემით

მეოთხე- სასოფლო- სამეურნეო წარმოების სახელმწიფო რეგულირებაზე გაწეული ხარჯების შეფასებისას, ამ მიზნით გაწეულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად მხედველობაშია მისაღები ბიუროკრატიის ზრდა. (კერძოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროში დასაქმებულ სახელმწიფო ჩინოვნიკთა შენახვაზე გაწეული ხარჯების ზრდა). ასე მაგალითად, ა.შ.შ.-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროში დასაქმებულია 116000 ადამიანი, რაც ყოველ სამ ფერმერზე ერთ სახელმწიფო მოხელეს შეადგენს.

მეხუთე-გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო რეგულირების პროგრამის განხორციელება დაკავშირებული იყო კორუფციულ ქმედებებთან. ა.შ.შ.-ის მერძეულმა კოოპერატივებმა 1981-1983 წლებში 1,3 მილიონი დოლარი გაიღეს ა.შ.შ.-ის წარმომადგენელთა პალატის 293 წევრისათვის, როდესაც მიიღებოდა კანონი „რძის წარმოების რეგულირების შესახებ“. ამ კანონმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სარგებელი „რძის“ პროგრამებიდან, რომლის შესაბამისადაც ფერმერები ღებულობდნენ კომპენსაციას რძის წარმოების შემცირებაზე. აღნიშნული კანონის მოქმედების შედეგად რძის ცალკეულმა მწარმოებლებმა მიიღეს 1.0 მილიონ დოლარზე მეტი.

აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გატარება ეწინააღმდეგება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს და ექვემდებარებოდა GATT-ის მხრიდან ამჟამად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მხრიდან მუდმივ კრიტიკას. რამდენადაც საექსპორტო

სუფსიდიების სისტემის გამოყენება ბოჭავს მსოფლიო ბაზარზე სასოფლო – სამეურნეო პროდუქციის თანაბარ კონკურენტულ პირობებს. ეს თავის მხრივ ზღუდავს მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას.

მეშვიდე– ფერმერთა მხარდაჭერის პროგრამების ფორმირება– გამოყოფას გაკოტრების ზღვარზე მყოფი ფერმერებისათვის დიფერენციაციის გარეშე, ხშირად მიყვავართ წარმოების ფაქტორების (უწინარეს ყოვლისა მიწის) შემდგომ არაეფექტიან გამოყენებამდე და ფასებით არაკონკურენტული სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდამდე. ასე მაგალითად, მე–20 საუკუნის 80–იან წლების შუა პერიოდში როდესაც ა.შ.შ.–ში შეიმჩნეოდა სოფლის მეურნეობის დაცემა, სუფსიდიების ნაკადი გაიზარდა და 1985 წელს სახელმწიფო სუფსიდიებმა ფერმერებისათვის, რომლებიც ტექნიკურად გაკოტრებულნი იყვნენ შეადგინა 1 მილიარდი დოლარი [31,194გვ.]. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ბადებს ორ უარყოფით შედეგს. ერთის მხრივ მრავალი მათგანი, რომლის ვალებიც იქნა ჩამოწერილი, კვლავ ყიდულობენ მიწებს, სასოფლო–სამეურნეო ტექნიკას, რაც საბოლოო ჯამში ამძიმებს სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ჭარბწარმოების პრობლემას, ზრდის მიწის ფასს და საარენდო ქირას უმრავლეს შტატებში. მეორე მხრივ ფერმერები, რომლებიც თვითონ იხდიან გადასახადებს, აღიზიანებთ სამართლიანობის გრძნობა და ფორმირდება უარესი პირობები კონკურენციისათვის.

მერვე– რამდენადაც აგრარული სფეროს სახელმწიფო რეგულირებისათვის გატარებული პოლიტიკა წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს, ამდენად იგი განიცდის ამ უკანასკნელის ძლიერ ზეგავლენას. ასე მაგალითად, ა.შ.შ.–ში მე–20 საუკუნის 80–იანი წლებიდან ნელნელა და თანმიმდევრულად ცდილობენ სოფლის მეურნეობისათვის სუფსიდიების შემცირებას, რათა შეემცირებინათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

ამრიგად ამერიკელი აგრარული სფეროს დარეგულირების მხარდამჭერები მივიდნენ 1996 წელს Farm Bill–ის მიღებასთან, იგი 1996

წლის 4 აპრილიდან გახდა კანონი. ამ კანონმა ა.შ.შ.–ში. არსებითად შეცვალა სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. აღმოიფხვრა კავშირი ფერმერთა შემოსავლების მხარდამჭერ გადასახადებსა და სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ფასებზე. ასე მაგალითად, ფერმერები რომლებიც ჩართულნი იყვნენ ხორბლის საფურაჟე მარცვლეულის, ბამბის და ბრინჯის წარმოების პროგრამებში ერთ–ერთ რომელიმე წინა წელში ხუთი წლის მანძილზე, შეუძლიათ შევიდნენ შვიდ წლიან წარმოების ახალ პირობებთან შეგუების ხელშეკრულებებში და მიიღონ სერიული ფიქსირებული ყოველწლიური – „გარდამავალი გადასახადები“.

ეს არსებითად წარმოადგენს პრინციპიალურ განსხვავებას ძველ გამოცდილებასთან შედარებით, როდესაც სუბსიდიებს უხდიდნენ ფერმერებს იმ შემთხვევაში თუ მოცემული სასოფლო–სამეურნეო პროდუქცია გაიყიდებოდა სახელმწიფო პოლიტიკით დადგენილ ფასზე დაბლა. 1996–1997წელი წარმოადგენდა პერიოდს როდესაც ყველას აწყობდა ახალი კანონის მოქმედება, მაგრამ უკვე 1998 წლიდან სიმინდზე, სოიოზე, ღორის ხორცზე ფასების დაწვეის შედეგად Farm Bill მოექცა კრიტიკის ქვეშ. მაგრამ როგორც გვიჩვენებს პრაქტიკა აგრარულ სექტორში დერეგულაციის მომხრეების მოქმედებები გამოიყურება უფრო ემოციურად და არსებით ზეგავლენას ვერ ახდენს განვითარებული ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაზე. 24 განვითარებულმა ქვეყანამ უკანასკნელ წლებში გაზარდეს სოფლის მეურნეობისათვის სუბსიდიები.

ამრიგად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა ფუნქციონირებს ეფექტურად, იმპორტის შეზღუდვას და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საექსპორტო შიდა წარმოების სტიმულირების სახელმწიფო პოლიტიკამ შესაძლებელია არასასურველი ზეოქმედება მოახდინოს ეკონომიკის სხვა სექტორების წარმოებასა და ვაჭრობაზე. ამდენად ქვეყნის აგრარული სფეროს რეგულირება –დერეგულირების პროცესები გამომდინარეობს მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობიდან და რაც უფრო არა ეფექტურად ფუნქციონირებს ქვეყნის

ეკონომიკა, მით უფრო გამართლებულია სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი აქტიურად ჩაერიოს სასურველი სამეურნეო სექტორის განვითარებაში.

## **ბ) ევროკავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებანი**

ევროპის ქვეყნების აგრარული პოლიტიკა ერთერთია ევროკავშირის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან, რომელიც არსებობის დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა აგრარული სფეროს ფარგლებში იყო სოფლად მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესება და ევროკავშირის ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი სურსათის უზრუნველყოფა ე.წ. (CAP) 2011 წლიდან საკ-ის მიზანია გაზარდოს წარმოების კონკურენტუნარიანობა, წახალისოს ინოვაციები და ხელი შეუწყოს სოფლად ადგილების შექმნას. ევროკავშირის დონეზე სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ცნობილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესპ) სახელით. იგი ჯერ კიდევ 1957 წელს ევროგაერთიანების შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა რომლის მიზანი იყო:

ა) სურსათის სტაბილური მიწოდება მასალების ფასად;

ბ) ფერმერებისათვის ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველყოფა;

გ) ტექნიკური პროგრესის გზით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების გაზრდა.

ესპ-მ მრავალი ცვლილება განიცადა. ამჟამად მასში ასახულია ლისაბონის პროცესის სულისკვეთება - ზრდისა და მეტი სამუშაო ადგილისაკენ სწრაფვა და ძირითადი მოთხოვნები ინოვაციის, განათლების, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების და სხვა სფეროების მიმართ.

ყველა წევრი სახელმწიფო ადვილად თანხმდება რომ ეს პოლიტიკა ერთიანი უნდა იყოს. ესპ-ს განხორციელებაზე ევროკავშირის ბიუჯეტის ნახევარი იხარჯება (50 მლრდ. ევრო წლიურად). აგრარული სექტორი ეს არის სფერო, სადაც ქვეყნების პოლიტიკა შეთანხმებულია და ძირითადად ევროკომისიის მიერ იმართება.

ტიპიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, თითოეულ



მომუშავეზე შემოსავლის დონე და წარმოებაში ჩართულ ადამიანის რიცხვი მცირეა (საშუალოდ ევროპული ფერმის წლიური შემოსავალი 35000 ევროა) ესპ. თავდაპირველად კონცენტრირებული იყო ს/ს წარმოების ზრდაზე და უხდიდა ფერმერებს წარმოების ზრდისათვის.

საერთო აგრარული პოლიტიკა თავდაპირველად იყო ოთხ საერთო პოლიტიკას შორის, რომლებიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან საფუძვლად უდევს ევროგაერთიანების განვითარებას. ეს ოთხი პოლიტიკაა - საქონლის, ადამიანების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

50-იან წლებში საფრანგეთს ჰქონდა დიდი აგრარული სექტორი რომელიც მუდმივ სუბსიდირებას მოითხოვდა. შესაბამისად საფრანგეთის ინტერესში იყო დაცული ბაზრის არსებობა. გერმანიასაც გააჩნდა დაცული ბაზარი, რომელიც აგრარული სექტორის სუბსიდირებას ახდენდა, ამიტომ ეს ორი ქვეყანა უპრობლემოდ თანხმდებოდა იმაზე, რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპების შემოტანა აგრარულ ბაზარში მოიტანდა სავალალო ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს. პრობლემა ის იყო რომ თუ აგრარულ სექტორში იარსებებდა თავისუფალი ბაზარი, რეალურად გამოდიოდა კონკურსი რომელი მთავრობა უფრო მეტს გადაიხდიდა თავისი აგრარული სექტორისათვის, რაც არცერთ სახელმწიფოს არ აწყობდა. მეორეს მხრივ აუცილებელი იყო აგრარულ პროდუქციაზე ფასების ეკვალიზაცია, რომ მომხდარიყო სამრეწველო პროდუქტებში ჭეშმარიტი კონკურენციის პირობების შექმნა. ლოგიკა შემდეგი იყო: მაღალი ფასები განაპირობებდა მაღალ ხელფასებს, რაც თავის მხრივ განაპირობებდა სამრეწველო წარმოების ხარჯების ზრდას. კომისია ვეღარ ახერხებდა ამ პროდუქციის შენახვას და მოძებნა გამოსავალი დაიწყო ექსპორტის სუბსიდირება. ექსპორტის სუბსიდირება ნიშნავდა, რომ ევროკომისია უხდიდა სხვაობას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასს და ევროკავშირში არსებულ ფასს შორის მწარმოებლებს, რითაც საშუალებას აძლევდა მათ გაეტანათ პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალ დემპინგურ ფასებში. ასეთი

პოლიტიკა იწვევდა მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების განსაკუთრებით აშშ-ის გალიზიანებას.

აგრარული საკითხის კომისიის სიკო მანსპოლტის შეხედულება ამ პრობლემასთან დაკავშირებით საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის რეფორმებს, რომელიც დაიწყო გასული საუკუნის 70-იან წლებში. მანსპოლტის აზრით აუცილებელი იყო ნელ-ნელა გადასვლა ფასების მხარდაჭერის სისტემიდან ფერმების ინდუსტრიალიზაციასა და მათი ეფექტიანობის გაზრდისაკენ. ამის საფუძველზე მოხდებოდა ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება და კომისიისათვის ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთის მოცილება.

1968 წელს შეიქმნა მანსპოლტის გეგმა, ე.წ. "სოფლის მეურნეობა 1980". რომელიც ხელს უწყობდა მცირე ფერმერებს დაეტოვებინათ მიწები და ახდენდა დიდ სუბსიდირებას. ასევე ითვალისწინებდა გრანტებს, პენსიებს და სხვა სახის ფინანსურ დახმარებებს ვინც 55 წელზე მეტი ასაკის იყო. საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს მოსწონდა მანსპოლტის გეგმა და მოითხოვდა რომ მისი შესრულება ყოფილიყო მთავრობის და არა კომისიის ხელში. მანსპოლტის გეგმას ყავდა მოწინააღმდეგენი გერმანიის მხრიდან. გერმანიის მთავრობის მიუხედავად იმისა, რომ არ სურდა "აგრარული რეფორმის სასწრაფოდ განხორციელება, მაინც მოსურნე იყო როგორღაც მოეგვარებინა "ღვინის მდინარეებს და კარაქის მთების" პრობლემა, რადგან 60-იანი წლებისათვის ევროგაერთიანების ბიუჯეტში საფრანგეთს სურდა ინდუსტრიული ზრდის შენარჩუნება, რომ არ დაეკარგა აგრარულ სექტორში დასაქმებული ელექტორატი, ამიტომ ფრანგებმა მხარი დაუჭირეს სუბსიდიას, რომ შეენარჩუნებინათ სოფლის მოსახლეობა. ხოლო გერმანიამ მიიღო საკვების ფასებით ეკვალიზაცია მთელ ბაზარზე.

გერმანია უკმაყოფილო იყო ექსპორტის სუბსიდირებით, რადგან არ სურდა დაეკარგა თავისი საექსპორტო პოზიციები არგენტინასთან, თავის მხრივ არგენტინასაც არ სურდა ევროპული ნაწარმის შემოსვლა. აქ მთავარი როლი ითამაშა ნიდერლანდების და საფრანგეთის ერთობამ. გერმანიამ

პოზიციები დათმო, რადგან არ სურდა გაენაწიებინა პატარა ქვეყნები.

საკ-ის თავდაპირველი იდეა იყო ფასების შენარჩუნება ბაზარში ჩარევით, ისე რომ უზრუნველყოფილიყო ყველა ფერმერის და აგრარულ სექტორში დასაქმებულ პირთა ინტერესები. პირველ წლებში მინისტერიალზე თანმხდებოდა ფასები ანუ მინიმალური ფასი, რომლითაც უნდა გაყიდულიყო ესათუ ის პროდუქცია. კომისიის ჩარევის შედეგად ხდებოდა ფასების რეგულირება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კომისიას შეეძლო ან შეესყიდა ან გაეყიდა პროდუქცია იმისათვის, რომ დაერეგულირებინა ფასები. თუ ფასი ძალიან ვარდებოდა კომისია ყიდდა შესყიდულ პროდუქტს და ფასი რეგულირდებოდა. ამგვარი პოლიტიკა საწყის ეტაპზე წარმოადგენდა უდიდეს სტიმულს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლობისათვის.

კომისია მუდმივად ყიდულობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას რათა ფასი აეწია და მწარმოებლებისათვის ზარალი შეემციებინა. საბოლოოდ იმის გამო, რომ ჭარბი პროდუქცია ძალიან დიდი იყო ყველაზე მეტ თანხას გერმანია იხდიდა. ამ ფულის უდიდესი ნაწილი კი აგრარული ბაზრის რეგულირებისათვის იხარჯებოდა. ამიტომ გერმანიამ წამოაყენა ალტერნატიული ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იყო შესყიდვების ინტერვენციის დროს კვოტების დაწესება, რათა არ მომხდარიყო დიდი რაოდენობით პროდუქციის შესყიდვა და გაერთიანების ფინანსური სახსრების ფლანგვა.

70-იან წლებში მსოფლიოში აგრარულ პროდუქციაზე ფასების ზრდამ აზრი დაუკარგა ევროგაერთიანებაში ფასების შემცირებას, რომლის ძირითადი მიზეზი იყო ცუდი მოსავალი და მსოფლიო მოთხოვნის გაზრდა. შემდგომ მას დაერთო ნავთობის კრიზისი, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. შესაბამისად მანსჰოლტის იდეამ, რომ ფერმერებს დაეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები და სხვა სფეროებში დასაქმებულიყვნენ აზრი დაკარგა და 70-იან წლებში მანსჰოლტის გეგმა დავიწყებას მიეცა.

ევროგაერთიანებაში შესვლისთანავე სოფლის მეურნეობის სფეროში

რეფორმირების ლიდერობა ხელთ იგდო დიდმა ბრიტანეთმა. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ დიდი ბრიტანეთი აგრარული პროდუქციის იმპორტიორი იყო. ამის გამო მას სურდა აგრარული პოლიტიკის დაფინანსების სისტემის შეცვლა, რათა ბრიტანელი გადასახადების გადამხდელთა ფული შეტანილი ევროგაერთიანების ბიუჯეტში არ მომხმარებოდა ისეთ ინიციატივებს, რომელსაც დიდი ბრიტანეთისათვის მოგება არ მოჰქონდა.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საპ-ის ფასი ძალზე გაიზარდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა აგრარული სფეროს რეფორმირების აუცილებლობა. 80-იან წლებში ევროგაერთიანებაში აგრარულ პოლიტიკაში განხორციელდა ორი რეფორმა. 1974-79 წლებში საპ-ის ფასი (დაფინანსება გაერთიანების მხრიდან) გაიზარდა 23%-ით, მაშინ როდესაც შემოსავლები იგივე პერიოდის განმავლობაში გაიზარდა მხოლოდ 10%-ით. 1980-82 წლებში აგრარულ პროდუქციაზე ფასების მეტნაკლებად სტაბილიზაცია მოხდა. 1983 წელს როდესაც აშშ დოლარის კურსი კვლავ დაეცა საპ-ის ფასი კვლავ გაიზარდა 30%-ით. ამ პერიოდისათვის გაერთიანებას ბიუჯეტმა მიაღწია ლიმიტს, როდესაც მას უკვე აღარ შეეძლო დაეფინანსებინა საკუთარი ბიუჯეტიდან. აგრარული პოლიტიკა და ცხადი გახდა რომ საჭირო იყო აგრარული პოლიტიკის რეფორმა.

1984 წლიდან ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ რამდენიმე რეფორმის გატარებაზე, დაწესდა კვოტები რძის პროდუქციაზე და საბიუჯეტო დისციპლინის წესები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი უნდა განსაზღვრულიყო წინასწარ და შემდეგ უნდა განხილულიყო აგრარული სექტორის ბიუჯეტი. 1985 წელს ევროკომისიის ინიციატივით და ძალისხმევით სახელმწიფოები შეთანხმდნენ რომ 1992 წლისთვის საერთო ბაზარი საბოლოოდ უნდა დახურულიყო. ამავდროულად გაერთიანების ახალი სახელმწიფოები - ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია მოითხოვდნენ სტრუქტურული ფონდების გაზრდას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსურად ზარალდებოდნენ. 1986 წლის ურუგვაის

მაუდისათვის ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა დაიწყეს პაკეტების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა გაერთიანებას აგრარული პროდუქტის დემპინგს მსოფლიო ბაზარზე.

მომდევნო რეფორმა, რომელიც ერთ-ერთი წარმატებული იყო აგრარულ პოლიტიკაში წარმოადგენდა 1992 წელს განხორციელებული მაკშარის რეფორმა. 1992 წელს ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ბურლულეულზე გარანტირებული ფასები შეემცირებინათ 29-25%-I. მომდევნო სამ წელიწადში და ასევე მოეხდინათ სხვა აგრარული ნაწარმის ფასების შემცირება. ამავე პერიოდში ურუგვას რაუნდმა კრიტიკულ მომენტს მიაღწია და აუცილებელი გახდა პაკეტში სოფლის მეურნეობის ჩართვა. მაკშარის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულის და ხორცის ფასი და გაუთანაბრდნენ მსოფლიო ფასებს. ფერმერებს აუნაზღაურეს დანაკარგები იმ პირობით, რომ თუ ისინი დატოვებდნენ ფერმერებს და სხვა სფეროში გადავიდოდნენ.

კიდევ ერთი რეფორმა საერთო აგრარულმა პოლიტიკამ განიცადა 2000 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა ამბიციური პროგრამა "დღის წესრიგი 2000". 1999 წელს, ევროკავშირმა მიაღწია შეთანხმებას ამერიკასთან, რომ 2003 წლამდე გაგრძელდებოდა მარცვლეულის და მესაქონლე ფერმერების სუბსიდირება და ეს დახმარება შეეხებოდა იმ ფერმერებს, რომლებიც არ დაარღვევდნენ წარმოებას და კონკურენციის წესებს.

2003 წელს ბალცბერგის კონფერენციაზე დასახული იქნა განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულება 2007-2001 წლებისათვის. შედეგად შეიცვალა სახელმწიფოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკა. თამაშში ჩაერთო:

- მეტი რგოლი (ეროვნული, რეგიონული, შუალედური, ადგილობრივი);
- მეტი სუბიექტი (არამარტო სახელმწიფო მართვისა და აგრარული სექტორის წარმომადგენლები);
- ახალი ინსტრუმენტები და მიდგომები, რომელიც მეტია ვიდრე

წერტილოვანი დახმარება.

"დღის წესრიგი 2000"-ში წარმოდგენილია კავშირის დეცენტრალიზაციის პრინციპი, რომელსაც უნდა გაეადვილებინა პროცესი, სინამდვილეში სახეზე გვაქვს მეტი სირთულე ევროპაში და ამავე დროს გაძლიერდა ცენტრალიზაციის ტენდენცია.

მართვის ცენტრალიზებული სისტემა ჯერ კიდევ გავრცელებულია სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკაში. რეგიონული განვითარება კი პირიქით დეცენტრალიზაციის გზით მოდის.

ჩრდილოეთ ევროპის ისეთ ქვეყნებში როგორცაა: შვედეთი, ირლანდია, ავსტრია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია და ყველაზე ძლიერი ცენტრალიზებული მართვის მქონე საფრანგეთი. აგრეთვე სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან ერთადერთი საბერძნეთის სოფლის განვითარება ფინანსდება ცენტრიდან. ოდნავ განსხვავდება ჰოლანდია, სადაც პროვიციებს ეძლევათ საშუალება თავად განსაზღვრონ დახმარების მიმართულება. ხოლო იტალიასა და გერმანიაში რეგიონები სარგებლობენ ფართო უფლებებით. ადგილობრივი ხელისუფლებები ადგენენ განვითარების გეგმებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინირებულად. ცალკე უნდა გამოიყოს დიდი ბრიტანეთი, სადაც არ არსებობს განვითარების საერთო გეგმა. შერეული მოდელის ჯგუფში წარმოდგენილია ესპანეთი, პორტუგალია, ფინეთი და ბელგია.

ევროპაში გამოკვეთილია სოფლის მეურნეობაში განვითარების ორი ტენდენცია. ერთის მხრივ ძლიერია ეროვნული მართვა, მეორეს მხრივ სახეზე გვაქვს ადგილობრივი მართვის გავრცელება. ეს ორი ტენდენცია ყოველთვის წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან. ამ ორ ტენდენციასთან ერთად იკვეთება კიდევ ერთი, მეტად შეზღუდული შუალედური დონე. კერძოდ იტალიაში სახეზე გვაქვს არაერთგვაროვანი მართვის სისტემა, რომელიც შეიძლება შევადაროთ პატარა ნაჭრებისაგან შეკერილ საბანს (patchwork). ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციული მართვა თანდათან უფრო რთულდება.

ევროკავშირში ფერმების საშუალო მოცულობა 2005-2013 წლებში 12-დან 16 ჰა-მდე გაიზარდა. ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის სლოვაკეთში აგრომეურნეობების მოცულობა თითქმის სამჯერ გაიზარდა 27 ჰა-დან 81 ჰა-მდე. ჩეხეთში 84 ჰა-დან - 133 - ჰამდე. დანიაში 52 ჰა-დან 67 ჰა-მდე, გერმანიაში 44 ჰა-დან, 59 ჰა-მდე, საფრანგეთში 49 ჰა-დან 59 ჰა-მდე.

მსხვილი ფერმები გაჩენის პროცესი ძირითადად ევროკავშირის სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის Commou ou Agricultural Policy (CAP)-ის დამსახურებაა.

2003 წლიდან ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო შეთანხმდა 2005 წლიდან აგრარული პოლიტიკის სფეროში ერთობლივი რეფორმების გატარების თაობაზე, რომლის მოქმედების ვადა 2013 წლამდე განისაზღვრებოდა. რეფორმა ერთის მხრივ ითვალისწინებდა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ხარჯების შეზღუდვას, მეორეს მხრივ გადაწყდა ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის "ძველი სვეტის" გაფართოვება სოფლის განვითარების ხელშეწყობის გზით. რომლის დაფინანსება უნდა მოხდეს "პირველი სვეტიდან" - წარმოების ტრადიციული წახალისება გადანაწილების გზით. ამასობაში მარცვლეულის ფასები იმდენად მიუახლოვდა მსოფლიო საბაზრო ფასს, რომ განვითარებად ქვეყნებში მარცვლეულის ექსპორტირებისათვის ექსპორტის სუბსიდირება საჭირო აღარ იყო. აგრარულ სექტორში გატარებული რეფორმის შედეგები ევროპის ბიუჯეტს აშკარად დაეტყო<sup>12</sup>.

ევროპული ფერმების წმინდა შემოსავალში სახელმწიფო დახმარების 40% უკავია. CAP-ის ფარგლებში ევროკავშირი 2020 წლიდან ახალი რეფორმის დანერგვის გეგმავს. ევროპარლამენტის აგრარული კომიტეტი მოითხოვს, რომ მომდევნო რეფორმა უფრო "მწვანე" იყოს, ფოკუსირებული გარემოს დაცვასა და მცირე ფერმებზე. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს

---

<sup>12</sup> რაინერ კლუმპი "ეკონომიკური პოლიტიკა" მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები, მესამე განახლებული გამოცემა.

ყოველწლიურად თავისუფალ სავაჭრო სივრცეს (DCFTA) DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, რამაც საქართველოში წარმოებულ საქონელს გაუხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. DCFTA ითვალისწინებს საქართველოს საბაჟო სისტემის ევროკავშირის საბაჟო სისტემასთან დაახლოებას, რაც მიზნად ისახავს ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნას. 2018 წლის სექტემბრიდან ძალაში უნდა შევიდეს ახალი საბაჟო კოდექსი და შესაბამისი მეორადი კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპულ კოდექსთან. ასოცირების შეთანხმების მიხედვით 2018 წლისთვის უნდა დაინერგოს "უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის" ინსტიტუტი. აღნიშნული სტატუსი მიენიჭება საქართველოს ექსპორტირებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. მათი საშუალებით მეწარმეები ნაკლები კონტროლის გარეშე სწრაფად და იაფად მოახერხებენ ევროკავშირში ექსპორტისას საბაჟო პროცედურების განხორციელებას.



### თავი 3. გაფართოვებული აღწარმოების ხელშეწყობის მიმართულებები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

#### 3.1. სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მიმართულებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების რეგულირება ძირითადად მოითხოვს მისი სწორი სტრატეგიის შემუშავების და აგრარული სექტორის განვითარების ზუსტი ორიენტირების განსაზღვრას.

სამწუხაროა მაგრამ ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანაში ფაქტიურად თვითდინებაზე იქნა მიშვებული აგრარულ-სექტორის განვითარება. სახელმწიფომ მთლიანად მოიხსნა საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფის ვალდებულებები. სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს აგრარული სექტორის გრძელვადიანი (5-7 წლიანი) განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA). ახალი პროგრამის ამოსავალი საწყისი უნდა გახდეს ეროვნული თავისებურებებისა და მსოფლიო მეურნეობის განვითარების გამოცდილების შეხამება (სინთეზი). საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომი და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოება.

ასეთი პროგრამის სახით უნდა მოგვევლინოს 2018-2024 წლების ქვეყანას აგრარული განვითარების ახალი სტრატეგია, მისი ცალკეული რეგიონების სასურსათო ბაზრის ფორმირების თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა

და სურსათის წარმოების განსაზღვრულ დონის მიღწევას, საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, სურსათის სამამულო მწარმოებელთა მხარდაჭერას, სურსათზე გარანტირებული ფასების დადგენა-შენარჩუნების, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის და მთელ რიგ ღონისძიებების, რომელთა გატარება აუცილებელია სასურსათო ბაზრის ფორმირებასა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის<sup>13</sup>.

ქვეყნის ახალი აგრარული სტრატეგიის მიზნის მისაღწევად აუცილებელია აგრარული სექტორის საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც იმავდროულად შექმნის ხელსაყრელ პირობებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში უკვე ჩამოყალიბებულია და მოქმედებს აგრარული სექტორის საკანონმდებლო სამართლებრივი უზრუნველყოფის დამოუკიდებელი სისტემა.

ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში. სოფლის მეურნეობის პრობლემის ირგვლივ აქ არსებული კანონმდებლობა იმ უზარმაზარი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელსაც აღნიშნულ სახელმწიფოებში აგროსასურსათო სექტორის მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო - სამართლებრივი და ფინანსურ-ადმინისტრაციული ღონისძიებები ქმნის.

აშშ-ში აგრარული სექტორის განვითარების საკითხი უმაღლეს ეროვნულ ინტერესთა სფეროშია მოქცეული. აგრარული სფეროს განვითარების კონცეფცია კარგა ხანია იპყრობს ქვეყნის კონგრესისა და პრეზიდენტის ყურადღებას. სწორედ ამიტომაც, რომ უკვე ორი ათეული წელია, რაც აშშ-ში აგრობიზნესის პრობლემები განიხილება ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილად. ამერიკელები მიიჩნევენ, რომ მათი სიძლიერე სურსათშია და მისი დაკარგვა არ შეიძლება. მართლაც, აშშ. მსოფლიოში პირველ ადგილზეა სურსათის წარმოებასა და ექსპორტის

---

<sup>13</sup> ახალ პროგრამაში ასახული უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო საბიუჯეტო მოცულობა ასევე მთელი რიგი სხვადასხვა სახის შეღავათები და სტიმულები მასში ჩართული ბიზნეს სუბიექტებისათვის.

მხრივ. ყოველივე ეს არის იმის მიზეზი, რომ აშშ-ში აგრარული სექტორი ყველაზე უფრო პროტექციონისტულად დაცული სფეროა. მთავრობა არ იშურებს ფინანსურ სახსრებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისა და რეგულირებისათვის. რისთვისაც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 60-65 მლრდ. დოლარი გამოიყოფა. რაც ფედერალურ ბიუჯეტის 4-5 პროცენტია<sup>14</sup>. აშშ-ში სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემა, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა რეგულირება ე.წ. "აგრარული კანონებით", რომელთაც კონგრესი 5-7 წლის პერიოდულობით იღებს და რომელთაც მათი მოქმედების პერიოდში ქვეყნის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტებია. განსაკუთრებით საინტერესოა 1996 წელს ფედერალური აგრარული კანონის სპეციალური ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს სასურსათო პროდუქციის ექსპორტს. ამ ნაწილში წარმოდგენილია ისეთი ტრადიციული პროგრამები, როგორცაა: "სურსათი მშვიდობისათვის", "სურსათი პროგრესისათვის", "საექსპორტო კრედიტების გარანტირების პროგრამა". აღნიშნული პროგრამები მიმართულია განვითარებად, ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სურსათის ექსპორტის ხელშესაწყობად, ასევე ამ სახელმწიფოთა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებისათვის კრედიტების გამოყოფისათვის სურსათის შესაძენად.

ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული ხაზით გატარებული ღონისძიებები უფრო მრავალფეროვანია, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია, ამ ქვეყნების აგრარული სექტორის რეგულირდება ორ დონეზე: პირველი ცალკეული ქვეყნების მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და მეორე - თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით. ამჟამად ამ გაერთიანებაში აგრარული სექტორისადმი გაწეული დახმარებების

---

<sup>14</sup> სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე მიმართული მრავალმილიარდიანი სახსრები უზრუნველყოფს "სასურსათო უსაფრთხოების და სურსათის სტაბილურ ფასებს აშშ-ში". ასეთი მდგომარეობისათვის, სენატორ კონრატას სიტყვებით, თითოეული ამერიკელი საშუალოდ დღიურად იხდის 14 ცენტს, რომელიც ბიუჯეტის მეშვეობით მიდის ფერმერთა დაფინანსებაზე.

ძირითადი სიმძიმე ცენტრალურ სტრუქტურებზე გადის.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან აგრარული სფეროს განვითარების სრულყოფილი ბაზა გააჩნია გერმანიას, საფრანგეთს და შვეციას, რაც საკმაოდ კარგადაა გაშუქებული სპეციალურ ლიტერატურაში. მთლიანად ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად გაერთიანდეს: პირდაპირი რაოდენობრივი რეგულირება, ფასებით რეგულირება და საბაჟო რეგულირება. სამივე ჯგუფის ინსტრუმენტების ერთობლიობა დაკონკრეტებულია სავაჭრო წესებში, რომელიც ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტების ჯგუფების მიხედვით დგება. ევროკავშირის ქვეყნები იყენებენ ასევე აგრარული სექტორის რეგულირებისა და მხარდაჭერისათვის პროგრამულ მიდგომას.

ამჟამად საქართველოში არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია და მის ბაზაზე შესაბამისი საკანონმდებლო საქმიანობის დახვეწა აქტიურად მიმდინარეობს, აგრარული რეფორმის დაწყებიდან დღემდე მიღებულია და ფუნქციონირების სამი ათეულზე მეტი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას აღნიშნულ სფეროში. 1996 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონები: "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", უფრო მოგვიანებით მიღებულ იქნა კანონები: "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება მიწის პრივატიზების შესახებ (2005 წლის 7 ივლისი)", "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" (2005 წლის 27 დეკემბერი), უკანასკნელ პერიოდში მიღებული იქნა "სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი" (2012 წ. 8 მაისი) "სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ" (2013 წლის 12 ივლისი) და ა.შ.

სამწუხაროდ საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული

აგრობიზნესის განვითარების ერთიანი კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედება მასში შემავალი ყველა დარგის ერთიანი სქემით განვითარებას. აგრობიზნესის ნორმატიულ ბაზას კანონის თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი, რომელთა სხვადასხვა თვეებსა და განყოფილებებში დაფიქსირებულია და გამტკიცებულია აგრარული სფეროს სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კვლავწარმოების გაფართოების საქმეში მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავება, აღნიშნული კანონის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ფერმერული მეურნეობებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და ფუნქციონირების სპეციფიკის განსაზღვრა. აგრარულ სექტორში მოღვაწე ფიზიკურ პირებს არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნით მათ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, შეღავათიანი აგროკრედიტების მიღებისას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და ა.შ.

საქართველოში მიწის ბაზრის გამართულ-ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ცვლილებები შევიდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების კანონმდებლობაში და საგადასახადო კოდექსში. მოქმედი კანონმდებლობით ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადისაგან განთავისუფლებულია 2004 წლის 1 იანვრამდე საკუთრებაში გადაცემული 5 ჰა-მდე მიწის ფართობი. ამის გამო წვრილი საოჯახო მეურნეობებისათვის არიდებენ ახალი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების შეძენას, რადგან აღნიშნული პერიოდის შემდეგ შეძენილი მიწის ფართობებზე ვალდებულნი არიან წარადგინონ დეკლარაცია და დარეგისტრირდნენ მიწის გადასახადის გადამხდელად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება მიწის გადასახადისაგან განთავისუფლდეს

მოსახლეობის საკუთრებაში არსებული 20 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები, რაც გამოაცოცხლებს ქვეყანაში მიწის ბაზარს და სტიმულს მისცემს სოფლად მოქმედ (ფერმერულ) მეურნეობებს შეიძინონ ახალი მიწის ფართობები, გაამსხვილონ. საკუთარი მეურნეობები და მთლიანობაში გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

თანამედროვე პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების რეალური საკანონმდებლო გარანტიების შექმნას. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია "სასურსათო უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შემუშავება და მიღება. ამ საქმეში სხვა ქვეყნებს საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვთ<sup>15</sup>.

დასახელებული კანონი უნდა შემუშავდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად და აქედან გამომდინარე ქმნიდეს მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის აუცილებელ საკანონმდებლო ნორმატივებს.

კანონმა უნდა ახსნას ისეთი ფუძემდებლური სფეროს შინაარსი, როგორცაა: აგრარული სფერო, აგრობიზნესი, სასურსათო უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასურსათო კრიზისი, კვების ფიზიოლოგიური ნორმები, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კვების პროდუქტები, სასურსათო დამოუკიდებლობა, კვების პროდუქტების წარმოების აუცილებელიდან, კვების პროდუქტების ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომება, სახელმწიფო სასურსათო რეზერვი, ადამიანისათვის სურსათის საარსებო მინიმუმი.

ასეთი კანონის შემუშავება და მიღება აუცილებელია იმ მხრივაც, რომ საქართველო ემზადება ევროკავშირის წევრობისათვის. 2014 წლის ივნისში

---

<sup>15</sup> საგულისხმოა რომ რუსეთის ფედერაციაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე, ანალოგიური კანონი ფუნქციონირებს 1999 წლიდან.

ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირისა და საქართველოს შორის "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება", რომელიც კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს ხსნის საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის შემდგომ დაახლოებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ინსტრუმენტები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს უფრო ეფექტურად, როგორც საწარმოო ისეა სავაჭრო სფეროებში. ხელისუფლების ორგანოებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ეკონომიკური ინსტრუმენტები სახელმწიფოს ამკრძალავი შემზღვეველი ვექტორის ტრანსფორმაციის პროცესში, რათა ხელსაყრელი პირობები შეუქმნან ქვეყანაში კომერციული ტიპის ორგანიზაციების ფუნქციონირებას. აქტიურად უნდა გამოიყენონ საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო რესურსები, სასოფლო-სამეურნეო სექტორის და სასურსათო საქონლის ბაზრის ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა მატერიალური და მიმოქცევის ხარჯების შემცირების ღონისძიებების გვერდით. სახელმწიფომ უნდა გასწიოს აქტიური მუშაობა, რომელიც უზრუნველყოფს სამეწარმეო ორგანიზაციების მფლობელთა საქმიანი აქტივობის სტიმულირებას საგარეო ბაზარზე. სახელმწიფო, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე მართვის ორგანოებმა უნდა გააფართოვონ ურთიერთობა იმ ფერმერულ მეურნეობებთან, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით. აუცილებელია გააქტიურდეს სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკას, რათა ამაღლდეს ამ სუბიექტების კონკურენტუნარიანობა.

საქართველოში სოფლად ფერმერებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების

(კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო 25 წლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალურ განვითარებას. რადგან კომერციული საბანკო სექტორი არ წარმოადგენს საიმედო პარტნიორს.

სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა საჭიროებს აუცილებელ რეგულირებას და კოორდინაციას განსაკუთრებით საწყის ეტაპზე მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში სახელმწიფო რეგულირების განხორციელება აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

აგროკრედიტის სისტემის ფუნქციონირების მთავარი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მოთხოვნილების რეგულირება, საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება. აგროსაკრედიტო სისტემის ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირება ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას, აღწარმოების მაშტაბების გადიდებას და სოფლად კონკურენტული გარემოს ფორმირებას.

აგრარული სექტორის განვითარების ეფექტიანი რეგულირების კიდევ ერთი მექანიზმია რეგიონული გაერთიანებების ჩამოყალიბების სტიმულირება, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის დარგების კონკურენტუნარიანობის განვითარებას. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კოოპერატიული და ფერმერული არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბებას, რომლებიც თავის თავზე აიღებენ რეგიონულ-კლასტერის ფუნქციებს.

ქართველი და ევროპელი მეცნიერების ნაშრომების ანალიზის საფუძველზე გადავწყვიტეთ შეგვექმნა "რეგიონული კლასტერის" მოდელი. რომლის ფორმირებაც შეამცირებს აგრარულ სფეროში ხარჯების



მოცულობას. ისეთი ღონისძიებებისათვის როგორცაა:

- ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიება;
- ევროპული და მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით წარმოების დაგეგმვა;
- ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება;
- წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა.

ამ მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფერმერთა ასოციაციის და სას.სამ. კოოპერატივების შექმნა, საწევრო შენატანების საფუძველზე. ეს შენატანები უზრუნველყოფს მხოლოდ ასოციაციას ძირითადი რამოდენიმე თანამშრომლის ხელფასის ხარჯების დაფარვას.

ასოციაციის ძირითადი მიზნები უნდა იყოს:

- წევრთა რაოდენობის ზრდა;
- გასაღების ბაზრების მოძიება;
- წევრებისათვის რეკომენდაციების გაწევა;
- დარგში სიახლეებისა და თანამედროვე ტენდენციების კვლევა;
- საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისათვის ღონისძიებების


განხორციელება;

- საერთაშორისო პარტნიორების და ინვესტორების მოძიება;
- პროდუქციის მსხვილი საექსპორტო პარტიების კონსოლიდირება,

ბაზარზე სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფისათვის.

სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული ასოციაციის წახალისება გამორიცხული იქნება საგადასახადო შეღავათებით და მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით.

მაგალითად: სხვა თანაბარ პირობებში ჩვეულებრივი საკონსულტაციო შპს-სა და ბიზნეს-ასოციაციას შორის უპირატესობა მიენიჭება ასოციაციას. ასევე რეგიონული ხარჯების გეგმაში შესაძლოა პრიორიტეტად განისაზღვროს ის პროექტი, რომელსაც წარმოადგენს კონკრეტული ასოციაცია. რეგიონული კლასტერის სქემას ექნება შემდეგი სახე:



სქემა 12  
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების რეგიონული კლასტერის სქემა

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე სახელმწიფო მხარდაჭერისა და სტიმულირების გარეშე აღნიშნული ტიპის ასოციაციების ეფექტიანი ფუნქციონირება ნაკლებ შესაძლებელია.

საქართველოში აგრარული სფეროს პრიორიტეტული დარგების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან პარტნიორობის ისეთი ფორმის განვითარება, როგორცაა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნა. თავდაპირველად განისაზღვრა სამი ტიპის ეკონომიკური ზონების შექმნა, კერძოდ: 1) სამრეწველო-საწარმო; 2) ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის; 3) ტურისტულ-რეკრეაციული რომელსაც შემდგომ დაემატა საპორტო ეკონომიკური ზონების ფორმირების მექანიზმი ეფუძნება პრეფერენციებს სამი მიმართულებით: საგადასახადო და საბაჟო შეღავათები, ინფრასტრუქტურის სახელმწიფო დაფინანსება, ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება.

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ეკონომიკური ზონების ეფექტიანობას, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ფორმამ

საქართველოში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, ჩვენი აზრით, მომავალში მისი გამოყენება ერთობ ხელსაყრელი და მისაღებია დეპრესიულ რეგიონებში რომელთა ბიუჯეტები განიცდიან ფინანსების დეფიციტს აგრარული სფეროს ინოვაციურ-საინვესტიციო პროექტების თანადაფინანსებისას.

სასოფლო-სამეურნეო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობის მიზნით ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა სასურველია მიმართული იქნეს მოტივაციური გარემოს ფორმირებისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური კაპიტალის ეფექტურ გამოყენებას აგრარულ სექტორში.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და კერძო ინვესტიციების რესურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის გაფართოვებული კვლავწარმოება და სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებელთა მიმოქცევის დანახარჯების მინიმიზაცია. ჩვენს ხელს არსებული საექსპერტო შეფასებები მოწმობენ, რომ მასტიმულირებელი საკრედიტო, სადაზღვევო, საბაჟო-სატარიფო და საგადასახადო გარემოს შექმნა მეწარმე სუბიექტებისათვის უზრუნველყოფს აგრარულ სფეროში ძირითადი სახის პროდუქციის წარმოების გადიდებას 1,5-2-ჯერ ამის შედეგად გაიზრდება სასურსათო საქონლის შიდა ბაზარზე მაღალხარისხიანი სასურსათო საქონლის რაოდენობა მინიმალური დანახარჯებით.

დადებითი ეკონომიკური შედეგების მიღწევის მიზნით, ხელისუფლების მართვის ორგანოების მიერ გადახედვას საჭიროებს საგადასახადო შეღავათების სისტემა. მან ხელი უნდა შეუწყოს აგრარულ სფეროში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტების ზრდას, მათი საქონლისა და მომსახურების სოციალურ დანიშნულებას. დღეისათვის მოქმედი გადასახადების სახეები, მათი სიდიდე და გადახდის პირობები არ ასრულებს მასტიმულირებელ როლს მცირე და ფინანსურად არამდგრადი მეწარმე-სუბიექტებისათვის. თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს არ გააჩნიათ პერსპექტივა

მიმოქცევის ხარჯების მინიმიზაციის რადგან მათ უხდებათ რეგულარულად ბიუჯეტში ქონების, დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადის გადარიცხვა.

გადასახადების მაღალი დონე გავლენას ახდენს აგრობიზნესში დასაქმებულ საწარმოთა მიმოქცევის ხარჯების ზრდის ტემპზე, რაც თავის მხრივ აქვეითებს მათ კონკურენტუნარიანობას ქვეყნის შიგნით და გარე ბაზარზე. სასოფლო-სამეურნეო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ხელისუფლების ორგანოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ფიუჩერული ბირჟების, ეკონომიკური ზონების, ინტეგრირებულ სამეწარმეო ფორმირებათა დივერსიფიკაციას.

საქართველოს აგრარულ სექტორში სახელმწიფო რეგულირება უნდა პასუხობდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და კორპორაციების ეკონომიკურ ინტერესებს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საქმეში საგულისხმოა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. კოოპერატივების ფორმირების პროცესი ქვეყანაში (სოფლად) უფრო ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს. ჩვენი ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ამ კუთხით საერთაშორისო დახმარების პროგრამები, მოვახდინოთ მთელი ტირაჟირება. ამისათვის კი სახელმწიფოს შიგა რესურსების გამოყენებისადმი მეწარმე სუბიექტებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა საჭირო.

ჩვენის აზრით აუცილებელია სოფლად კოოპერატივების მატერიალურ ტექნიკური ბაზის მცირე ფინანსური რესურსების ფორმირება, ამავდროულად არ უნდა გამოირიცხოს იმ პროექტების სრული დაფინანსება გრძელვადიანი დაფარვის პირობებით, რომლებიც წარმოდგენილი იქნება მრავალწევრიანი, მაგრამ შედარებით დაბალი საბაზისო სასტარტო ქონების მქონე კოოპერატივებით. კოოპერატივების მუშაობაში სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერის მნიშვნელოვანია შემდეგი სახის ინოვაციები:

- პროდუქციის ბრენდირება, ამ მიმართულებით უნდა შეირჩეს რამოდენიმე სასურსათო პროდუქტი, რომელიც იწარმოება მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტებისაგან;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლისათვის რეგლამენტირებული გრაფიკით;

- საქართველოში სახელმწიფოს ძირითად ამოცანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების და ექსპორტიორების ხელშეწყობა გვევლინება, პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი რიგი კომპლექსის გატარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოში მიღებული თამაშის წესებს და ადგილობრივი მეწარმეების მიჩნევა პრიორიტეტად. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ როგორი გარანტიებიც არ უნდა იყოს ჩადებული კოოპერატივის წესდებაში, ოქროს კუთვნილი ქონების დაკარგვისაგან დაცულობის მექანიზმები, მისდამი ნდობის ხარისხი მაინც დაბალია, თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ მოსახლეობას მწარედ ახსოვს, როდესაც სახელმწიფომ უკანონოდ მიითვისა საკოლმეურნეო ქონება. დღეს მათ უდიდესი ნაწილი გასხვისებულია ისეთ სუბიექტებზე, რომელთაც არაფერი აკავშირებთ აგრარულ სექტორთან, უდიდესი ნაწილი კი გამოუყენებელია.

სახელმწიფო რეგულირების ბერკეტების გამოყენება საშუალებას იძლევა გადაილახოს არსებული შეზღუდვები და შეიქმნას ოპტიმალური პირობები სოფლის მეურნეობის ეფექტური დაფინანსებისა.

საქართველოში სოფლად სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა ფორმებიდან აღსანიშნავია სათემო კავშირები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. სათემო ორგანიზაცია ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს საერთო პრობლემის გადასაჭრელად. თემის სამეწარმეო მობილიზაცია წარმოადგენს ვერტიკალური კოოპერაციის ტიპიურ მოდელს, კოოპერირების სხვადასხვა ფორმის ელემენტების გამოყენებით. სოფლად სათემო ორგანიზაციებს შესწევს ძალა აღძრან საზოგადოებრივი აქტივობა იმ

სფეროებში რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოსათვის და დღეისათვის სახელმწიფომ სოფლად აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ძალა.

აგრარული სექტორის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია მიწის წვრილ მესაკუთრეთა, მათი ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებებისა და მათთან კოოპერირების სხვადასხვა ფორმით ინტეგრირებულ გადამამუშავებელ საწარმოთა ფუნქციონირება, რომელიც მიზანშეწონილია სარისკო კაპიტალის მოპოვების გზით.

სარისკო კაპიტალის ინვესტირების ძირითადი მახასიათებელია საწარმოს პარტნიორად გახდომა სხვადასხვა სახის რისკების გაწვევაში. აგრარულ სექტორში სარისკო კაპიტალის განვითარება წარმოადგენს ეფექტიან საბაზრო მექანიზმს და ამ ტიპის კომპანიების განვითარებას სოფლად თან სდევს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი. ამგვარი სესხების ასაღებად საჭიროა ნაკლები უზრუნველყოფა, არის უფრო გრძელვადიანი, ხოლო გადახდები უშუალოდ არის დაკავშირებული დაგეგმილი ფულადი სახსრების მოძრაობასთან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აღწარმოების განვითარების სახელმწიფო რეგულირების საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ. 2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ" და ამის საფუძველზე შექმნა სსიპ - "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო". სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სწორად განვითარებით მიიღწევა მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური განვითარება, მოსახლეობის დასაქმება.

დღეისათვის საქართველოში სოფლად არის უაღრესად დიდი მოლოდინი, რომ კოოპერატივი არის ის ფორმულა, რომელიც ქართველი ფერმერების წინაშე მდგარ ყველა პრობლემას მოაგვარებს, ამასთან აუცილებელია გაუმჯობესდეს ფერმერთა განათლება, მათთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მიწის რეგისტრაციის სისტემის

გაუმჯობესება, დაფინანსების ხელშეწყობის უზრუნველყოფა და სხვ.

სოფლად თანამედროვე ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აუცილებელი საშუალებაა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის და მცირე ფერმერებს დაეხმარება მაქსიმალური სარგებლის მიღებაში და საშუალებას მისცემს მას თავისი საქმე იმ პრინციპებზე ააგოს, რომელიც ევროპული სოფლის მეურნეობას დაედო სათავეში.

კოოპერაციულ პრინციპებზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობის სინერჯის ეფექტი გააჩნია, რომელიც მიიღწევა ეკონომიკური ეფექტის, სოციალური ეფექტის და სოფლად ეკონომიკური თვითმართველობის განვითარების კვალობაზე.

არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში სახელმწიფოს მაკორდინირებელი როლი სოფლის მეურნეობაში მდგომარეობს მეწარმე სუბიექტებისათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნაში. ასეთი მასტიმულირებელი გარემოს შექმნა აგრარული მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების ისეთი ფორმების გამოყენებას ნიშნავს როგორცაა: მომხმარებელთა მოთხოვნები სასურსათო საქონელზე, ინფორმაციული მომსახურების ორგანიზაციის ღონისძიებების შემუშავება და ა.შ.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიზნით ხელისუფლების ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი დადგენილებების თანხვედრა ფერმერული მეურნეობების მიზნებთან და ინტერესებთან. სამთავრობო სტრუქტურებმა საკუთარი ძალისხმევა უნდა მიმართონ საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენებისაკენ, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფის აგრარულ სექტორში წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და შიდა ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

აღნიშნულ ღონისძიებების გატარებისათვის ქვეყნის ხელისუფლებას გააჩნია ყველა რესურსი, რომლის ამოქმედებაც უახლოეს პერიოდში უზრუნველყოფს აგრარულ სექტორში სახელმწიფო და კერძო სექტორების

ინტერესების დაახლოებას და ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების ზრდას.

### **3.2. აგრო დაკრედიტების ახალი სისტემის ფორმირების პერსპექტივები საქართველოს აგრარულ სექტორში**

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოვებული აღწარმოების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია ფინანსური რესურსების დეფიციტი. რის გამოც დარგის ნორმალური განვითარება პრაქტიკულად შეფერხებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას აუცილებლად ესაჭიროვება სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის გარეშე სოფლად ფერმერული მეურნეობები ვერ განვითარდება. თანამედროვე აგროკრედიტების სისტემა წარმატებით მუშაობს საფრანგეთში, აშშ-ში ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიის რაიფაიზენ კრედიტი, ბელგიაში-ბრეინდენბონდი, ჰოლანდიაში-რაბობანკი და ა.შ. მსოფლიო მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის და ადგილობრივი სპეციფიკის თავისებურებათა გათვალისწინებით პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა შესაძლებელია სოფლად "სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემის" ფორმირებით.

ჩვენი გათვლებით სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემას პერსპექტივაში შემდეგი სახე ექნება. სისტემის ძირითად სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ქვეყნის „აგრობანკი.“ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერიტორიული მოწყობის პრინციპის გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე შეიქმნება ქ. თბილისში ცენტრალური (საქართველოს) აგრობანკი და შესაბამისად ქ. ქუთაისში ფილიალი. ქ. თბილისის ცენტრალური ფილიალი მოემსახურება აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქ. ქუთაისის ფილიალი დასავლეთ საქართველოს. აგრობანკის შექმნის აუცილებლობა გამომდინარეობს მათი მომსახურების სფეროში შემავალი ობიექტების სპეციფიკური თავისებურებებიდან. კერძოდ: ა) აგრობანკი მოემსახურება წარმოების გაფართოვებისა და სრულყოფისათვის აუცილებელი ღონისძიების დაკრედიტებას (მიწა, შენობა-ნაგებობანი,



სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტები და ა.შ.) ამ შემთხვევაში გაცემული კრედიტების ხანგრძლივობა 3-5 და მეტი წლით განისაზღვრება. ანუ ეს ბანკები შეასრულებენ გრძელვადიანი დაკრედიტების ფუნქციებს; ბ) აგრობანკი მოემსახურება ასევე ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველთა მოვლა შენახვისათვის გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცედურებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური საშუალებებით დაკმაყოფილების სფეროს (თესლი, სარგავი მასალები, სათადარიგო ნაწილები, პირუტყვის საკვები, მედიკამენტები, პროდუქციის შენახვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია და ა.შ.). ამ კრედიტების ხანგრძლივობა შეადგენს ერთი თვიდან ერთ წლამდე, ხოლო ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში სამ წლამდე ვადით, ძირითადი ფუნქცია იქნება მოკლე და საშუალოვადიანი დაკრედიტება.

წარმოდგენილი საბანკო სისტემით აგრარული სექტორის მომსახურების გამარტივების და სრულყოფის მიზნით სფსს-ში მუნიციპალურ დონეზე შეიქმნება "მუნიციპალური აგრარული ასოციაციები", საბანკო მომსახურების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სასურველია აგრარული ასოციაციები შექმნა ყველა სასოფლო მუნიციპალიტეტში.

აგრარული მუნიციპალური ასოციაციები ჩამოყალიბდება სრული ნებაყოფლობის პრინციპით. არანაკლებ 10 მონაწილეს (ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შეეძლებათ გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბონ ასოციაცია.

სფსს-ს საქმიანობის მართვისა და მონიტორინგის მიზნით ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნება "სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტების დეპარტამენტი". მისი ძირითადი ფუნქცია იქნება სისტემაში შემავალი ყველა ორგანიზაციის მუშაობის კონტროლი და მართვა. ასეთი დეპარტამენტის არსებობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საწყის ეტაპზე სფსს რჩება, როგორც სახელმწიფო სტრუქტურა. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სისტემის ბანკების თავდაპირველი კაპიტალის შექმნაში გადამწყვეტი როლი

სახელმწიფო სტრუქტურებს განეკუთვნება. გარდა ამისა საწყის ეტაპზე სისტემა განსაკუთრებულ რეგულირებას და კოორდინაციას საჭიროებს. ეს სიტუაცია გაგრძელდება იმ ეტაპამდე სანამ ბანკები არ უზრუნველყოფენ მიღებული სესხების უკან დაბრუნებას. შემდეგში ისინი გადაიქცევიან სისტემის წევრთა კერძო სტრუქტურებად და სფსს გამოვა სახელმწიფო დაქვემდებარებიდან. აღებული სესხის დაბრუნებამდე კი:

- სისტემის თანამშრომლები ითვლებიან სახელმწიფო მოსამსახურეებად;

- სისტემის საქმიანობა რეგულირდება სპეციფიკური კანონით და არა კანონით კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.

კონკრეტულად, სფსს-ს მუშაობის ძირითადი პრინციპები დარეგულირდება საქართველოს პარლამენტის მიერ მისაღები კანონით "სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემის ორგანიზაციის და ფუნქციონირების შესახებ", რომლის ძირითადი ამოსავალი მომენტები იქნება:

- აგრობანკი და ასოციაცია მოემსახურება მხოლოდ სფსს-ს წევრებს. წევრად ჩაითვლება ყველა ის პირი, რომელიც ცხოვრობს სისტემის მომსახურების ზონაში და სისტემის ანგარიშზე გააჩნია სიმბოლური თანხა 10 ლარი;

- აგრობანკის შემოსავლები განთავისუფლებული ყველა სახის გადასახადისაგან;

- ფერმერებს (გლეხებს) აქტივების შეძენა შეუძლიათ ასოციაციებში, რომლებიც თავის მხრივ აქტივების შესაბამის ოდენობას იძენენ შესაბამის ბანკებში;

- აგრობანკი იხილავს განცხადებას კრედიტის მიღებაზე და გასცემს კრედიტებს ასოციაციებზე. ამასთან, პროცესის გაადვილების მიზნით განაცხადების განხილვა და ფერმერებზე კრედიტის გაცემა განხორციელდება დაჩქარებულ რეჟიმში;

- აქციების რაოდენობის მიუხედავად თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

ისინი ირჩევენ კენჭისყრით ასოციაციის დირექტორს. რაც შეეხება ბანკის დირექტორს, ისიც ექვემდებარება არჩევნებს და წარმოადგენს მისი მომსახურების არეალში მსგავსი ასოციაციების პრეროგატივებს;

- როგორც ბანკის, ისე ასოციაციების დირექტორებად შეიძლება არჩეული იქნენ (შესაბამისი პროფესიის) მსესხებლები და ის ფერმერები (გლეხები) რომლებიც ცხოვრობენ ბანკების (ასოციაციების) მომსახურე ტერიტორიაზე;

- აგრობანკი უფლებამოსილი იქნება თვითონ განსაზღვროს საკრედიტო განაკვეთები. ამასთან ისინი კანონის თანახმად ვალდებული იქნებიან განაკვეთი განსაზღვრონ მინიმალურ დონეზე საექსპლუატაციო დანახარჯების, ფინანსირების ღირებულებისა და შესაბამისი რეზერვების აუცილებელი არსებობის გათვალისწინებით.

- სფსს-ს საბრუნავი კაპიტალის ფორმირების ძირითადი წყაროები იქნება:

სახელმწიფო შეღავათიანი კრედიტები;

სფსს-ს წევრთა პირადი დანაზოგები და შენატანები;

სხვა ალტერნატიული წყაროები.

სფსს-ს საკრედიტო რესურსების ფორმირების მთავარი და მუდმივი წყარო იქნება ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გამოშვება და რეალიზაცია. ამ მიზნით პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რომელიც უზრუნველყოფს სფსს-ს სისტემაში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შეუფერხებელ რეალიზაციას.

1. ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) გასაღებაზე უნდა არსებობდეს სოლიდარული პასუხისმგებლობა. ე.ი. თუ რომელიმე კონკრეტულ ბანკს საშუალება არ ექნება მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, პასუხისმგებლობა გადანაწილდება სისტემაში არსებულ სხვა ბანკებზე და ეს გრძელდება მანამ სანამ მათი რეზერვები სრულად არ ამოიწურება;

2. ფასიანი ქაღალდების პროცენტები უნდა განთავისუფლდეს ყველა სახის გადასახადისაგან;

3. კომერციულ ბანკებს უნდა შეეძლოთ ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) გამოიყენონ როგორც ლიკვიდური საშუალება საკუთარი რეზერვების დასაკმაყოფილებლად;

4. ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს საკრედიტო რესურსების რეგულირება მოთხოვნილების დონეზე;

5. პოტენციურ მყიდველებს (კომერციულ ბანკებს და ინვესტორებს) ქვეყნის მთელი ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდები მიეყიდებათ საინვესტიციო დაწესებულებების მეშვეობით;

6. საკრედიტო რესურსების ხარისხის გაზრდის მიზნით, როგორც წესი, მსესხებელმა სავალდებულო წესით უნდა შეისყიდოს მიღებული სესხის არა ნაკლებ 10%-ის ღირებულების აქციები;

7. სესხის მყარი და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის საგარანტიო პირობების გამტკიცებისათვის, სისტემაში შემავალი ყველა ორგანიზაციისათვის სავალდებულო მოთხოვნის სახით უნდა დაწესდეს პირობა, იქონიოს რეზერვის მუდმივი მოცულობა აქტივების გარკვეული პროცენტის ფარგლებში (სათანადო განგარიშების საფუძველზე) საბანკო კანონმდებლობისა და მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 7%-ის ფარგლებშია.

სფსს-ს სტაბილური ფუნქციონირების მიზნით საგარანტიო ღონისძიებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მათ შორის აღსანიშნავია საბანკო დაწესებულებათა საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა. ამ მიზნით სისტემაში იქმნება სპეციალური სადაზღვევო ფონდი. მისი ფორმირება ხორციელდება სისტემის მონაწილე ბანკების ანარიცხების და თვით ფონდის კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე. ანარიცხების შეტანა სადაზღვევო ფონდში გაგრძელდება მანამ, სანამ ფონდის კაპიტალის მოცულობა არ მიაღწევს დაზღვეულ ვალდებულებათა 2%-ს (სადაზღვევო სისტემას მიღებული ნორმატივი).

საქართველოს აგრარული სექტორის დაკრედიტების სფეროში არსებული მდგომარეობისა და მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სფსს-ს სრულყოფილი ამოქმედება საშუალებას მისცემს აგრარულ სექტორს მიიღოს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების 30-40%.

რეგულარული ფინანსური წყაროების არსებობა საშუალებას მისცემს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკებს იფიქრონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების შეძენაზე, რაც ხელს შეუწყობს აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას ოპტიმალურ ვადებში, რაც უზრუნველყოფს მოსავლიანობის გადიდებას, ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას. ფაქტია, რომ მიწის რეფორმის პროცესში დაშვებული შეცდომების და ზოგიერთი ფაქტორის გაუთვალისწინებლობამ მიწის სავარგულების კატასტროფული დეგრადაცია გამოიწვია (ეროზია, დანაწევრება, დასარევლიანება და ა.შ.).

სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მუდმივი წყაროს არსებობა განაპირობებს სასურსათო უსაფრთხოების პარამეტრების დონეზე სოფლის მეურნეობის ძირითადი სახეობის პროდუქციის სტაბილური წარმოების შესაძლებლობას. ამალდება მოსახლეობის კვებისათვის გამოყენებული პროდუქტების უსაფრთხოების ხარისხი. მოსავლიანობის 2-2,5-ჯერ გადიდება მიგვიყვანს აგრარული ბაზრის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებასთან და სტაბილიზაციასთან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მის დამოკიდებულებას იმპორტირებულ პროდუქციაზე და დაიცავს მას უცხოური ბაზრების ექსპანსიისაგან. პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად შემცირდება მისი თვითღირებულება, რაც უმთავრესი პირობაა მისი კოკნურენტუნარიანობის ამაღლებისა იმპორტულ ანალოგებთან მიმართებაში. ვინაიდან საგარეო სავაჭრო ბალანსში, განსაკუთრებით იმპორტულ ნაწილში საკმაოდ მაღალია, იგი დადებითად იმოქმედებს სავაჭრო დეფიციტის შემცირებაზე.

სფსს-ს სფეროში კაპიტალის დასაბანდებლად მიმზიდველი და

ხელსაყრელი გარემოს არსებობა ხელს შეუწყობს ფულადი კაპიტალის გადინების ქალაქიდან სრულად, ანუ შეიქმნება რეალური მექანიზმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ფულადი კაპიტალის თანაბარი გადანაწილებისათვის.

სფსს-ს შექმნა სტიმულს მისცემს მწარმოებლებს დაიწყონ რეალური ღონისძიებების განხორციელება ეფექტიანი პირველადი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციული ერთეულების ჩამოყალიბებისათვის (ძირითადად კოოპერატივების გზით) ვინაიდან ასეთი მიდგომა მომგებიანია არა მარტო წარმოების პროცესის, არამედ ხელსაყრელი კრედიტების ნაკლები დროითი დანახარჯებით მოპოვებისათვის. ამას ადასტურებს იმ ქვეყნების გამოცდილება რომლებმაც გაიარეს რეფორმირების პროცესი.

სფსს-ს მუშაობის სპეციფიკა საკრედიტო სფეროში არსებული კონკურენტული ფონის გაზრდით "აიძულებს" კომერციულ ბანკებს შეცვალონ საკუთარი დამოკიდებულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართ. რაც გამოხატულებას ჰპოვებს მათი მხრიდან კრედიტის თანდათან შემსუბუქებაში.

სფსს-ს ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პირობა ქვეყნის აგრარული სფეროს დაკრედიტების. ჩვენი აზრით ქვეყნის აგრარული სფეროს დაკრედიტების წყაროების სტრუქტურა ასე უნდა გამოიყურებოდეს (იხ. ცხრილი 16).

ცხრილი 16

სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ძირითადი წყაროების სტრუქტურა

| დაკრედიტების წყაროები                      | სავარაუდო ხვედრითი წილი (%) |
|--|-----------------------------|
| 1. სპეციალურ ფერმერული საკრედიტო სისტემა   | 30-40                       |
| 2. კომერციული ბანკები                      | 15-20                       |
| 3. სახელმწიფო ბიუჯეტი                      | 10-25                       |
| 4. სადაზღვევო კომპანიები                   | 5-10                        |
| 5. ინდივიდუალური კრედიტორები               | 5-10                        |
| 6. ფერმერთა საკუთარი დანაზოგები            | 10-12                       |
| 7. ურთიერთდახმარების ადგილობრივი სალაროები | 5-10                        |
| 8. სხვა ალტერნატიული წყაროები              | 1-2                         |

მსოფლიო გამოცდილებით ცნობილია, რომ რეალურ წყაროებს შორის, რომლის მეშვეობითაც ხდება ამა თუ იმ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დაფინანსება, როგორც მარტივი ასევე გაფართოვებული აღწარმოების სახით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სახელმწიფო ფინანსები და შესაბამისად სახელმწიფო რეგულირებისა და მისი მოქმედების ჩარჩოები განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. ამ პროცესის წარმართვისათვის საჭიროა სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურები. კერძოდ მთავრობის კანცელარიაში უნდა ჩამოყალიბდეს "სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური", მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება: აგრარული სექტორის საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, საინვესტიციო პროცესების რეგულირება, სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან შემოსავლების და ფასების მხარდაჭერა, შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება, საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და ა.შ.

ამასთან "სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური" თავის საქმიანობას განახორციელებს მხოლოდ აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძველზე შედგენილი კონკრეტული ეტაპობრივი პროდუქტების მიხედვით შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით. სწორედ ეს პროგრამები უნდა გახდეს მომავალში აგრარული სფეროს შეუფერხებელი ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი სტიმულატორი და გარანტი. შაგულისხმოა, რომ საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი მთავარი ბერკეტების მოქმედების და გავლენის ხარისხი ეკონომიკის სხვა დარგებში უმეტეს შემთხვევაში სასურველ ეფექტს იძლევა, რასაც ვერ ვიტყვით აგრარულ სექტორზე. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ამ სფეროში პერიოდული ხელოვნური ჩარევის გარეშე შესაძლებელია გამოუსწორებელი უკუეფექტების მიღება. ეს ერთადერთი სფეროა, რომელიც სახელმწიფო რეგულირების მუდმივი კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს. არცერთ სხვა დარგს არ ჭირდება ამდენი სახელმწიფო ჩარევა, როგორც აგრარულ სექტორს. ამიტომ აგრარული სფეროს

დაფინანსების და რეგულირების საკითხებში სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელ ღონისძიებად გვესახება.

კომერციული საბანკო სექტორი აგრარული სექტორის დაფინანსებისას ძირითადად იყენებს მათ ხელთ არსებულ დეპოზიტურ თანხებს და სხვა აქტივებს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი როლი საკმაოდ მაღალია. ეს განსაკუთრებით საგრძნობია აგრარული დარგის ისეთ სფეროებში როგორცაა: შენახვა-გადამუშავება, რეალიზაცია, საინფორმაციო მომსახურება, ექსპორტი და ა.შ. საქართველოს აგრარულ სექტორში კომერციულ-ბანკების როლი მკვეთრად უნდა გამოიხატოს ორი მიმართულებით. ერთი - როგორც პირდაპირი ფინანსირების წყარო (კრედიტის გაცემა) და მეორე - როგორც სფსს-ს აქტივობის შემავსებელი. რაც გულისხმობს სფსს-ს ფასიანი ქაღალდების შემსყიდველის ფუნქციას. ამრიგად კომერციული ბანკების სისტემა არის და მომავალშიც დარჩება აგრარულის სფეროს მამოძრავებელ ბერკეტად.

რაც შეეხება სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის ხარისხს იგი ძირითადად დამოკიდებულია იმ ტემპებსა და პრინციპებზე, რომლითაც მოხდება აგრარული სფეროს განვითარება. აგრარული სფეროს ტექნიკური დონის ამაღლება გამოიწვევს სადაზღვევო სისტემის ეფექტიანობის ზრდას და პირიქით რაც უფრო მალე მოხდება ამ პროცესების განვითარება და სრულყოფა, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდება სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა აგრარული სფეროს დაფინანსების მთლიან სისტემაში. ამდენად სადაზღვევო სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხი დარგის აღმავლობის მუდმივი კომპონენტი იქნება.

ინდივიდუალური კრედიტები საქართველოში მოიხსენიება მევახშეებად, ხოლო მათ მიერ დაბანდებული კაპიტალი - სავაზო კაპიტალად. განვითარების გარკვეულ ეტაპზე იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის ნორმალურ განვითარება-ფუნქციონირებაში. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება საგრძნობი, როდესაც სახელმწიფო რეგულირების დონე და ხარისხი დაბალია.



ეკონომიკაში ე.წ. "ვიწრო ადგილები"-ის ამოვსებაში ინდივიდუალური კრედიტორების როლი შეუცვლელია. ეს ინსტიტუტი ძირითადად საქმიანობს მცირე დაფინანსების საკითხებში. თუმცა სამომავლოდ მათი მნიშვნელობა თანდათან შემცირდება. უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები და ინდივიდუალური კრედიტორები თავიანთი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და რაც მთავარია შემცირებული რისკის პირობებში. ამიტომ ყოველთვის და ყველგან ისინი არ წარმოადგენენ საიმედო პარტნიორს. ეს ნიშნავს, რომ მწარმოებლები კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ეს ნაკლებად სჭირდებათ, როდესაც მათი ფინანსური შესაძლებლობები ხელსაყრელი საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია მეტად მტკივნეულია, როდესაც საქმე გვაქვს ე.წ. განვითარებად ქვეყნებთან. როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბანკო სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, მათი აქტივები მწირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციაში საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებში. ამიტომ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ისინი თავს იკავებენ კაპიტალის დაბანდებისაგან. სწორედ ამ სიტუაციაში იმყოფება დღეს საქართველოს ეკონომიკა, რაც აუცილებლად მხედველობაშია მისაღები.

რაც შეეხება დაკრედიტების დანარჩენ წყაროებს, კერძოდ ფერმერთა საკუთარ დანაზოგებს და "ურთიერთდახმარების სალაროებს", გარკვეული ხელშეწყობის შემთხვევაში სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ. პრობლემა ის არის, რომ საკუთარი კაპიტალის ზრდა უშუალო კავშირშია შემოსავლის ზრდასთან. ე.ი. საკუთრების დონის ამაღლებასა და წარმოების გაფართოვებასთან ერთად მათი ფუნქციონირება უფრო მყარ ნიადაგზე გადავა. ეს კი იმის გარანტიას იძლევა, რომ როგორც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, ისე საქართველოშიც ურთიერთდახმარების კრედიტის მექანიზმი

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროდ იქცევა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მეტად საინტერესოა მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის გარდაქმნა სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, რომლის კრედიტი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმერისათვის და სას.სამ. კოოპერატივისათვის. მაგალითად, ფრანგული ფინანსური ორგანიზაცია France Credit Agricole-ს და ნიდერლანდების Rabobank-ს მრავალი წლის წარმატებული გამოცდილება აქვს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორმხრივი მფლობელობის პირობებში. საჭიროა, რომ საქართველოშიც შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე მეწარმეებს ისარგებლონ კრედიტით.

აუცილებელია გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებული ეროვნული სააგენტო.

უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს მხრიდან სესხების თანაბარი ხელმისაწვდომობა ფერმერებისათვის და დამწყები ბანკებისათვის.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აგროდაზღვევის განვითარებაა მიჩნეული, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აგრორისკების დაზღვევა ერთ-ერთ რთული სახეობაა და აგრონომიული სფეროს ღრმა ცოდნას მოითხოვს.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია ისე, რომ ფერმერის აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით. ფერმერები ვალდებულნი არიან კარგად ერკვეოდნენ დაზღვევის პროდუქტებში. ქვეყანაში აგრარულ სექტორში უმეტესობა მცირე ზომის ფერმერებია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადაზღვევო კომპანიების დანახარჯებს, რის გამოც მათ უფრო მსხვილი მეურნეობების დაზღვევა ურჩევნიათ.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია:

- ქვეყნის აგრარულ სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირების შემოსავლების გადიდება;
- ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

დღეისათვის სახელმწიფოს ინიციატივით ქვეყანაში ამოქმედდა აგროდაზღვევის ერთიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც მთავრობა აფინანსებს სადაზღვევო პრემიის გარკვეულ ნაწილს.

საქართველოსთვის ასევე გასათვალისწინებელია ავსტრალიაში ფერმერთა ფინანსური საკითხის მოსაგვარებლად ახალი პლათფორმის Formecco, გამოჩენა, რომლის მიზანია ფერმერთა შემოსავლების ზრდა. ონლაინ პროგრამა მოიცავს მათი ბიზნესის ფინანსურ საკითხებს. იგი რეალურ დროში ქმნის ანგარიშებს და სთავაზობს ფერმერების შემოსავლის გაზრდას, ხარჯის შემცირებას და სურსათის წარმოების გამარტივების საშუალებებს.

პროგრამაში განსაკუთრებით ყურადღებაა გამახვილებულ პროდუქციაზე რომელსაც ფერმერი ყიდის და კარნახობს მას ფასის გაზრდის შესაძლებლობებს. Formecco ანგარიშების მონაცემების მიღებიდან 1 საათში აყალიბებს, პროექტის მიხედვით შედეგების გამოყენება შესაძლებელია კრედიტორებთან, იურიდიულ და საკონსულტაციო ფირმებთან თანამშრომლობა.

ფერმერთათვის შექმნილ ინდივიდუალურ ანგარიშებში შედის:

- ფერმებში არსებული მარაგების შეფასება;
- საბანკო დოკუმენტაციის მიმოხილვა;
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შეფასების კვალიფიკაცია;
- ბიუჯეტის შედგენის შესაძლებლობა;
- შიდა და გარე ფასები ბირჟებზე;
- შესაძლო სცენარის ფინანსური მოდელირება;

- წარმოების ძირითადი მაჩვენებლები;
- სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა;
- კაპიტალური ხარჯების დაგეგმვა;
- პროდუქციის თვითღირებულება;
- მოგების პროგნოზირებადი ზრდა.

სოფლის მეურნეობაში დაკრედიტება საბანკო სექტორის მიერ ძირითადად ხორციელდება მოკლე ან საშუალოვადიანი ხაზით, რომლის გამომწვევი მიზეზია ის ფაქტი რომ, რაც უფრო მოკლევადიანია სესხი მით უფრო მეტი სიზუსტით ხდება ფერმერის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზება და შეფასება. სამწუხაროდ მოკლევადიანი სესხებით შესაძლებელია სოფლად მიმდინარე სიჭარბების ძირითადად საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. ხოლო სოფლის მეურნეობის სრულყოფილი დაფინანსება საჭიროებს დიდ თანხებს (ტექნიკური გადაიარაღება, უძრავი ქონების შეძენა და ა.შ.). კერძოდ გრძელვადიან დაფინანსების (აგროდაკრედიტების). ამ მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს მთავრობამ უნდა ამოქმედოს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ახალი მექანიზმი. კერძოდ საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთზე მიმაგრებული კრედიტები შეთავაზებული უნდა იქნეს სოფლად იმ ფერმერების მიმართ, რომლებიც ვერ ახერხებენ სახელმწიფო აგროპროგრამით სესხების აღებას.

კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის დაფინანსების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა. ბანკი ამ დროს ადგენს შეძლებს თუ არა კლიენტი კრედიტის დროულ დაბრუნებას. ამდენად ეროვნულმა ბანკმა ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა დაამუშაოს სოფლად ფერმერული მეურნეობებისათვის ლიკვიდობის, აქტივების უკუგების, ფინანსურ ლევერიჯის და მომგებიანობის გამარტივებული და შეღავათიანი კოეფიციენტები, რომელსაც შემდგომ შესთავაზებს კომერციულ ბანკებს აგრარული სექტორის დაფინანსების პროცესში

გამოსაყენებლად.

ეროვნული ბანკის მიერ უნდა დამუშავდეს სოფლის მეურნეობისათვის ფინანსური რისკების გათვლის შეღავათიანი მექანიზმი, რომელიც მიეხმება ფინანსურ დაზღვევას და სახელმწიფო სოფლის მეურნეობასთან ფინანსური ურთიერთობის დროს გაითვალისწინების საკუთარი მხრიდან სოფლის მეურნეობის ამ სადაზღვევო მექანიზმის ამოქმედების ხელშემწყობ პირობებს.

აგრარული სექტორის დაკრედიტების შემოთავაზებული მექანიზმის ამოქმედების შედეგად შესაძლებელი გახდება ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოებული აღწარმოების განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას და სტიმულს მისცემს სასურსათო პროდუქციის საექსპორტო რეალიზაციას.

## დასკვნები და წინადადებები

სადისერტაციო კვლევის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სრულყოფისა და აგროდაკრედიტების ახალი სისტემის პრობლემების გამოვლენა და მისი მაქსიმალური შესაძლებლობების ამოქმედების მექანიზმის დანერგვა.

სასოფლო -სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სრულყოფას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სახელმწიფოებრივი ინტერესები, რადგან აღწარმოების განვითარება და აგროდაკრედიტების ახალი სისტემის ამოქმედება ხელს უწყობს ქვეყანაში დაჩქარებული ეკონომიური ზრდის მიღწევას და აგრარული სექტორის განვითარების აღმავლობას.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების აღმავლობის მიღწევისათვის აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება და აგროდაკრედიტების სისტემის ეფექტიანი მართვა, კერძოდ:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების განვითარების საგნად გვევლინება წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ეკონომიკური პროცესების განახლება. ამასთან ერთად აღწარმოებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომელიც მიმართულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებისაკენ. აღწარმოების პროცესის უზრუნველყოფა მოითხოვს გარკვეული რესურსების ქონას ნატურალურ-ნივთიერი ფორმით (სამუშაო ძალა, ნედლეული, მასალები ძირითადი საწარმოო ფონდები). თითოეული მათგანი აღწარმოების პროცესში ასრულებს თავის ფუნქციონალურ როლს. განსაკუთრებული მნიშვნელობა მათგან ენიჭება მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, რომელთა საფუძველს წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, ისინი ახდენენ უშუალო ზეგავლენას აღწარმოების სრულყოფაზე და სოფლის მეურნეობის ეფექტიანობაზე.
2. ქვეყნის აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პოტენციალის

შეფასებისათვის ანალიზის მეთოდის გამოყენება ეყრდნობა ეფექტიანად ფუნქციონირებად საწარმოებს და მოიცავს მნიშვნელოვან ხარჯებს მენეჯერების, მარკეტოლოგების, იურისტების და პროგრამისტების დასაქმებისათვის. მაგრამ დამწყები მეწარმეების და ფინანსურად არასტაბილური საწარმოების საქმიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მათ მიერ გაწეულ მატერიალურ და მიმოქცევის ხარჯებზე. აღნიშნული მეთოდის ძირითად ელემენტებს განეკუთვნება: სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალური დანახარჯები დაკავშირებული წარმოების საშუალებების გამოყენებასთან, ხოლო მათი მიმოქცევის ხარჯები - მოიცავს შრომის ანაზღაურებას, საამორტიზაციო ანარიცხებს და დანახარჯებს მარკეტინგზე. მათზეა დამოკიდებული სწორედ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შემოსავლიანობა (მომგებიანობა), მათი ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა მემცენარეობის და მეცხოველეობის დარგებში. ამ მეთოდის გამოყენება ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას მისცემს მიიღონ ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებები და მონიტორინგი გაუწიონ საბიუჯეტო სახსრების განაწილებას.

3. სასოფლო-სამეურნეო აღწარმოების სისტემაში სახელმწიფო რეგულირება კანონზომიერია განვიხილოთ, როგორც ურთიერთობა მართვის პროცესში ხელისუფლების ორგანოების, ფერმერული (გლეხური) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და კორპორაციულ ბიზნეს-სტრუქტურებთან, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, პირველ რიგში საწარმოო და სავაჭრო პროტექციონიზმის ინსტრუმენტების ადეკვატურ შერჩევაზე. მისი განხორციელების დროს სახელმწიფო ზრდის ეფექტიან ურთიერთშემოქმედებას სასოფლო-სამეურნეო, გადამამუშავებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო საწარმოებზე პარტნიორული მხარდამჭერი და ორგანიზაციულ-გამკარგულელებელი მეთოდების გამოყენების ხარჯზე. სოფლად სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს დამატებული ღირებულების

შემცირებას აგრარული სფეროს პროდუქტების ფასების სტრუქტურაში, რომელიც მიიღწევა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებელ საწარმოებზე ზემოქმედების ხარჯზე, გადამამუშავებელი საწარმოების მოდელირების და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

4. საქართველოში სოფლის მეურნეობის აღწარმოების განვითარების საქმეში მნიშვნელოვანია სახელმწიფო მხარდაჭერა. აგრარული სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ქვეშ უწინარეს ყოვლისა განიხილება ფასწარმოქმნის რეგულირება და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების შესატყვისად ფასების ჩამოყალიბება, პროტექციონისტული პოლიტიკა, საფინანსო-საკრედიტო მხარდაჭერა, საგადასახადო რეგულირება, დარგისა და აგრარული ბაზრების სახელმწიფო მართვა.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოვებული აღწარმოებისათვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს რენტაბელობა. იგი განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობას, როგორცაა ინვესტიციები, დაფინანსება და ა.შ.

რენტაბელობის გაანგარიშების მეთოდოლოგიაში გამოყოფენ სამ ჯგუფს:

✓ მაჩვენებლები რომლებიც ასახავენ საწარმოო დანახარჯების და საინვესტიციო პროექტების რენტაბელობას;

✓ მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ რეალიზაციის შედეგების რენტაბელობას;

✓ მაჩვენებლები, რომლებიც ასახავენ კაპიტალისა და მისი ნაწილების შემოსავლიანობას.

სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მხარდაჭერის ეკონომიკური ბერკეტების ეფექტიანობის შეფასებისათვის განმაზოგადებელ მაჩვენებლებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს; ფასწარმოქმნა და მისი რეგულირება, ფასების დონე, წარმოების სუბსიდირება, შრომის ნაყოფიერება, ფონდუკუგება, რენტაბელობა, მოგება, სას. სამ. საწარმოთა



გადახდისუნარიანობა და სხვა.

6. დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა წელი ტემპით ვითარდება და მცირე ზომის ფერმერული მეურნეობები ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალეფექტიანობას. 90-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ქვეყანაში სოფლის მეურნეობის რეფორმები და გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მიწის კერძო საკუთრებაში გადასაცემად, მაგრამ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი მეურნეობის ფორმირება კვლავაც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად დარჩა. 90-იან წლებში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების შემცირების ტენდენცია გრძელდება დღემდე და 2016 წელს დამუშავებული ფართობების მოცულობა შემცირდა 2,9-ჯერ. სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა უკიდურესად დაბალია, ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 2016 წელს შეადგინა 2,6 ტონა, ძალზე დაბალია კარტოფილის კულტურის მოსავლიანობა, რომელმაც 2016 წელს 12,3 ტონა შეადგინა, ხოლო ბოსტნეულის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ ამავე პერიოდში 8,2 ტონა შეადგინა. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძულ პროდუქტიულობას, მან 2016 წლისათვის 1421 კგ. შეადგინა. პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებლები ნათლად მიუთითებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლის სამომავლოდ ათვისება სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვია.

7. საქართველოში სოფლად სახეზე გვაქვს ფერმერულ მეურნეობებში საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება, რაც ართულებს და ხარჯიანს ხდის საექსპორტო ტვირთებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მცირე მოცულობებიც კი არ არის ჯეროვნად მომზადებული, რათა დააკმაყოფილოს ექსპორტის სტანდარტები. სოფლად გაბატონებული არაფორმალური ურთიერთობების გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამხარისხებელი საწარმოების მფლობელები უარს ვერ ამბობენ დაბალი ხარისხის და ცუდად დაფასოებული მოსავლის მიღებაზე.

8. დღეის მდგომარეობით საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მისი დამზადების ტექნოლოგია შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნებთან. DCFTA-ის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სისტემის რეფორმირება.

9. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ამერიკული გამოცდილების გაანალიზება და მისი გათვალისწინება აგრარული სექტორის გაძლიერების საქმეში. აშშ-ის აგრარულ სექტორში განხორციელებული ინტეგრაციული პროცესებიდან შესაძლებელია გამოვყთ შემდეგი:

- ინტეგრაცია საკუთრების საშუალებით;
- ინტეგრაცია საწარმოო კონტრაქტების დახმარებით;
- კოოპერაციული ინტეგრაცია;

საწარმოო და კოოპერაციული ინტეგრაციაში ჩართვა ფერმერებს საშუალებას აძლევს გადარჩნენ კონკურენტულ ბრძოლაში, კოოპერაციული ინტეგრაცია აძლევს ფერმერს მნიშვნელოვან თავისუფლებას, კოოპერატივები ეხმარებიან ფერმერებს იმის გაკეთებაში რასაც ისინი ვერ აკეთებენ დამოუკიდებლად ცალცალკე. ასეთი ფორმა ფერმერთა ინტერესებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებს ბაზრის კონკრეტულ სტრუქტურებს. კოოპერატივები აერთიანებენ რა ცალკეული ფერმერების გაყიდვებსა და შენაძენებს მოქმედებენ მათი სახელით, ცვლიან ეკონომიკის საბაზრო კოორდინაციას ფირმათა დახმარებით.

10. თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღწარმოების სახელმწიფო რეგულირების ქმედითი ინსტრუმენტი უნდა გახდეს აგრარული სექტორის გრძელვადიანი (5-7 წლიანი) განვითარების ახალი სტრატეგია, რომელიც შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA). ახალი პროგრამის ამოსავალი საწყისი უნდა გახდეს ეროვნული თავისებურებებისა

და მსოფლიო მეურნეობის განვითარების გამოცდილების შეხამება (სინთეზი). საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტი უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომი და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოება.

11. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კვლავწარმოების გაფართოების საქმეში მნიშვნელოვანია ფერმერული მეურნეობის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავება, აღნიშნული კანონის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ფერმერული მეურნეობებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და ფუნქციონირების სპეციფიკის განსაზღვრა. აგრარულ სექტორში მოღვაწე ფიზიკურ პირებს არ გააჩნიათ იურიდიული სტატუსი, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნით მათ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, შეღავათიანი აგროკრედიტების მიღებისას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და ა.შ.

12. საქართველოში სოფლად ფერმერებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე მეურნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო 25 წლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალურ განვითარებას. რადგან კომერციული საბანკო სექტორი არ წარმოადგენს საიმედო პარტნიორს

13. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აღწარმოების განვითარების სახელმწიფო რეგულირების საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ. 2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ" და ამის საფუძველზე შექმნა სსიპ - "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო". სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სწორად

განვითარებით მიიღწევა მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო დარგების ინტენსიური განვითარება და მოსახლეობის დასაქმება. სოფლად თანამედროვე ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ის აუცილებელი საშუალებაა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის და მცირე ფერმერებს დაეხმარება მაქსიმალური სარგებლის მიღებაში და საშუალებას მისცემს მას თავისი საქმე იმ პრინციპებზე ააგოს, რომელიც ევროპული სოფლის მეურნეობას დაუდებს სათავეს.

14. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოვებული აღწარმოების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია ფინანსური რესურსების დეფიციტი. რის გამოც დარგის ნორმალური განვითარება პრაქტიკულად შეფერხებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას აუცილებლად ესაჭიროვება სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის გარეშე სოფლად ფერმერული მეურნეობები ვერ განვითარდება. თანამედროვე აგროსაკრედიტების სისტემა წარმატებით მუშაობს საფრანგეთში, აშშ-ში ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიის-რაიფაიზენის კრედიტი, ბელგიაში-ბრეინდენბონდი, ჰოლანდიაში-რაბობანკი და ა.შ. მსოფლიო მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის და ადგილობრივი სპეციფიკის თავისებურებათა გათვალისწინებით პრობლემის პრაქტიკული გადაჭრა შესაძლებელია სოფლად "სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემის" ფორმირებით.

15. ჩვენი გათვლებით სპეციალური ფერმერული საკრედიტო სისტემა პერსპექტივაში წარმოადგენილი იქნება აგრობანკით, რომელიც ორი ფილიალი მოემსახურება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებს. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერიტორიული მოწყობის პრინციპის გათვალისწინებით. პირველ ეტაპზე შეიქმნება ქ.თბილისში საქართველოს ცენტრალური „აგრობანკი“, ხოლო ქ. ქუთაისში დასავლეთ საქართველოს ფილიალი. აგრობანკი მოემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოვებისა და სრულყოფისათვის

აუცილებელი ღონისძიების დაკრედიტებას (მიწა, შენობა-ნაგებობანი, სოფლის ინფრასტრუქტურის ობიექტები და ა.შ.) ამ შემთხვევაში გაცემული კრედიტების ხანგრძლივობა 3-5 და მეტი წლით განისაზღვრება. აგრობანკი ასევე მოემსახურება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ცხოველთა მოვლა-შენახვისათვის გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცედურებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური საშუალებებით დაკმაყოფილების სფეროს (თესლი, სარგავი მასალები, სათადარიგო ნაწილები, პირუტყვის საკვები, მედიკამენტები, პროდუქციის შენახვა, ტრანსპორტირება, რეალიზაცია და ა.შ.). კრედიტების ხანგრძლივობა ამ სფეროსათვის შეადგენს ერთი თვიდან ერთ წლამდე,

16. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მეტად საინტერესოა მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის გარდაქმნა სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, რომლის კრედიტი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი ზომის ფერმერისათვის და სას.სამ. კოოპერატივისათვის. მაგალითად, ფრანგული ფინანსური ორგანიზაცია France Credit Agricole-ს და ნიდერლანდების Rabobank-ს მრავალი წლის წარმატებული გამოცდილება აქვს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ორმხრივი მფლობელობის პირობებში. საჭიროა, რომ საქართველოშიც შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე მეწარმეებს ისარგებლონ კრედიტით. ასევე აუცილებელია გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებული ეროვნული სააგენტო.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი რ., გიორგაძე ჰ., ბენია შ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მიკროეკონომიკური ანალიზი. თბ. 1998
2. ბაიდაური დ., სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითადი პრიორიტეტები საქართველოს აგრარულ სექტორსი (დისერტაცია) თბ. 2006
3. გოგობია რ., სასურსათო სექტორის პრიორიტეტული განვითარება საქართველოში, სისტემური ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საწინდარი. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, შრომების კრებული, თსუ, 2012
4. ებერლინი რ., ჰერანზი მ., სილერი მ., ნილი ა., ოგრადი ს., ანგელოვსკი დ., ჩეკურიშვილი ზ., სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორის შეფასება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საქართველო. FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპასა და ცენტრალური აზიისათვის, 2012.
5. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014
6. კოლუაშვილი პ., აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბ. 1998, გვ. 25-28.
7. კოლუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. აგროსექტორის დაკრედიტების პრობლემები. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ. თბ., 2006
8. კოლუაშვილი პ., ზიბზიბაზე გ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თბილისი 2010
9. კოლუაშვილი პ., კუნჭულია თ., „რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს აგრარული სტრატეგია“ ჟურ. ეკონომიკა და ბიზნესი #1; თბილისი 2011
10. კოლუაშვილი პ., მესხიშვილი ა., მიწის მართვის სისტემა რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს. [www. geostat. ge](http://www.geostat.ge)
11. კოლუაშვილი პ., საინვესტიციო სისტემა კოოპერატივების ფინანსური მხარდაჭერისათვის , „აერონიუს ჯი“ 2017
12. კოლუაშვილი პ., კოოპერაციული აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა გადაუდებელი აუცილებლობაა. ჟ. ახალი აგრარული საქართველო. თბ. #2(82) 2018.

13. მექვაბიშვილი ე., არჩვაძე ი., „საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“ ჟურ. ეკონომიკა და ბიზნესი #1 თბ. 2010
14. მსოფლიო ბანკის ანალიზი, 2000- საქართველო. რეფორმები კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში. მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, 121 გვ.
15. საქართველოს სოფლის მეურნეობა . სტატისტიკური კრებული, სსდ. თბ. 2010-2017წ.წ.
16. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ. 2013წ.
17. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წ.წ. თბ. 2017
18. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge);
19. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია // [www.economists.ge](http://www.economists.ge)
20. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი. Ei-LAT. 2012 წ.
21. საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის პოტენციალის ათვისება. ანდრე მაქსიმოვი. ბერლინი. 2017 წ.
22. "საჯარო პოლიტიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ ბაზრებზე". სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2015 წ. გვ. 29.
23. სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების განვითარების სააგენტო.<http://acda.gov.ge/>
24. სურსათის ეროვნული სააგენტო. <http://nfa.gov.ge/>
25. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. <http://apma.ge/>
26. პაპავაძე, პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, თბილისი, 2005
27. ტურაბელიძე ნ., მიწის რესურსების მართვა, სტუ. თბ. 2011
28. შეღავათიანი აგროკრედიტის შეფასება. თბ., 2017.
29. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგრარულ სექტორში. თბ. 2011 გამომცემლობა უნივერსალი.

30. ჩხეიძე თ., ქველაძე ქ., მიწის რესურსის და მიწათსარგებლობის აქტუალური საკითხი საქართველოში, თბ 2015
31. Agricultural Fact Book 1997. -Washington, D.C., USDA, 1998, p.241.
32. J. Bovard. The federal agricultural swamp. - The economics of Liberty. Ed by L.H. Rockwell. Auburn, 1990, p.194
33. Black, John D. Agricultural Reform in the United States. - New York: McGraw-Hill Book
34. Evaluation of the structural effects of direct support; European Commission 2013
35. The Common Agricultural Policy; A partnership between Europe and Farmers; European Commission -2013
36. R.D.Knutson, J.B.Penn, B.L.Flinchbaugh. Agricultural and Food Policy, Fourth Edition. - PrenticeHall, Upper Saddle River, NJ, 1998, p. 215.
37. Statistical Highlights of U.S. Agriculture 1997/98. Statistical Bulletin 936. -Washington,D.C., NASS-USDA, March 1998. , p. 14
38. Eggertsson T. Economic Behavior and Institutions T. Eggertsson – London: Cambridge, 1990. p. 79.
39. Latvian Rural Development National Strategy Plan  
[http://www.jm.gov.lv/oloc\\_upe/Strategic\\_Plan](http://www.jm.gov.lv/oloc_upe/Strategic_Plan).
40. Estonian Rural Development Strategy.  
<http://www.agri.ee/public/juulkatalg>
41. Eggertsson T. Economic Behavior and Institutions T. Eggertsson – London: Cambridge, 1990. p. 79.
42. Milgrom K.P. Economics, organization and management / R.P. Milgrom, J. Roberts. – New-jersey: Englewood Cliffs, 1992 – P. 93-117.
43. International Monetary Fund. <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo>.
44. Heady, Earl O. The Agriculture of the U.S."-Scientific American, # 235(1976), p.106
45. Paarlberg, Don. Effects of New Deal Farm Programs on the Agricultural Agenda a Half-Century Later and Prospect for the Future. - American Journal of Agricultural Economics, Vol. 65,#5, December 1983, p.1163.
46. Paarlberg, Don, Farm and Food Policy - Issues of the 1980s. - Lincoln: University of Nebraska Press, 1980, p. 60-61.
47. R.L.Kohls, J.N.Jhl, Marketing of Agricultural Products, Eighth Edition, - Prentice Hall, Upper Saddle River, NJ, 1998, p. 240



48. D. Yerex The farming fiasco. GP Publications Limited; Wellington, 1992, p.20
49. Warren, G.F. and F.H.Pearson. Prices, New York: John Wiley & Sons, 1933, pp. 178-182
50. K.L.Robinson, Farm and Food Policies and Their Consequences,- Prentice Hall, EnglewoodCliffs, NJ, 1989, p. 23.
51. D.A.Frederick, Co-ops 101: An Introduction to. Cooperatives, - Washington, D.C., Rural Business-Cooperative Service (USDA), June 1997, p. 10
52. The Farmland Cooperative System, 07/28/98,- II <http://www.Farmland.Com/news/system.html>
53. M.Lang, The Future of Agricultural Cooperatives in Canada and the United States: Discussion, - American Journal of Agricultural Economics 77 (December 1995), p. 1162-1164.
54. Financial Times London Edition, December 16, 1997
55. Аузан А.А. Институциональная экономика: новая институциональная экономическая теория/А.А. Аузан. – М.: ИНФРФ-М, 2005. – 416 с.
56. Боев В.Р. Аграрный рынок и система ценообразования // В. Об.: Агрорные отношения теория историческая практика, Перспективы развития. М. Наука, 1998. с. 168-180.
57. Васильева Н.К. Теория и методология формирования системы устойчивости развития аграрного сектора региона: дис. д-р. экон. наук/Н.К. Васильева. – Ставрополь Севкав ГТУ, 2007. 490 с.
58. Варламова Т.П. Большая экономическая энциклопедия / Т.П. Варламова, Н.А. Васильева, Л.М. Неганова, - М.: Эксмо, 2007. 816 с.
59. Дж.К.Гэлбрейт, *Экономические теории и цели общества*. - М., 1976
60. Грядов С.М. Предпринимательство в АПК/С.И.Грязов, И.Т. Удалов. – М.: Колос, 1997. 351 с.
61. Давыдянц Д.Е. Инновационный механизм государственной поддержки организаций и предпринимательства, реализующих инвестиционные проекты с привлечением кредитов банков: теория, практики, эффективность / Д.Е. Давыдянц Ю.В. Белолопатенко. – Ставрополь: Сервишкола, 2005. – 88 с.
62. Довыдату В.Е. Оценки, анализ и пути повышения эффективности экономики / Д.Е. Давыдяну. – Ставрополь. изд-во «Кавказский край». 2001. 500 с.

64. Зырянова Т.В. Государственное регулирование АПК в условиях формирования системы продовольственной безопасности региона: дис. д-ра. экон. наук./Т.В. Зырянова а. - Екатеринбург: УГСХА. 2002 - 355 с.
65. Игнатова Т.В. Государственное регулирование экономики, /Т.В. Игнатова – Ростов Н/Д. изд-во. СКАГС, 2006. – 291 с.
66. Капаров Б.М. Эволюция теорий саморегуляции / Б.М. Капаров // По пути к возрождению: перспективы развития российской экономики: труды Россистей научнопрактической конференции. Т-2-СПБ. изд.во. науки, 2006, с. 85-93.
67. Киселев С.В. Сельская экономика / С.В. Киселев, А.М. Емельянов. – М.: Изд. дом. «ИНФРА-М», 2008. 572с
68. Крылов В. Государственное регулирование агропромышленного производства – объективное требование рыночной экономика /В. Крылов// Достижения науки и техники АПК. – 2002. №5. с. 7-10.
69. Шульц Дон Е. Маркетинг. Интегрированный подход. / Дон. Е. Шульц, Филип Дж. Китчер. – М.Ж ИНФРА-М. 2004. – 372 с.
70. [www. enpard.ge](http://www.enpard.ge)
71. [www. Oxfam. Org.uk](http://www.Oxfam.Org.uk)
72. [www. rcda.ge](http://www.rcda.ge)
73. [www. data worldbank.org](http://www.data.worldbank.org)
74. [www. agrocartu.com.ge](http://www.agrocartu.com.ge)
75. <http://faostat.fao.org>
76. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge)
77. [www.europages.com](http://www.europages.com)
78. [www.freshinfo.com](http://www.freshinfo.com)